გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 ნოემბერი ოთხშაბათი 2011
№270(13567) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## EURO 2012




## ხორვატია, ირლანდია, ჩეხეთი, პორტუგალია: ჩვენც მანდ ვართ!







## რაგბის კავშირი ეძებს: 40-60 წლამდე გამოცდილ მწვრთნელს ფსიქოლოგისა და პედაგოგის კარგი თვისებებით




## ზესტაფონმა ცხრილი გაასწორა, გორელებმა კი ნაცადი სცადეს: დილა თემურ მახარაძეს ჩააბარეს



| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 13 | 9 | 2 | 2 | 27 | 14 | 29 |
| 2 | ტორპედო | 13 | 9 | 1 | 3 | 17 | 8 | 28 |
| 3 | დინამო | 13 | 8 | 2 | 3 | 27 | 14 | 26 |
| 4 | მეტალურგი | 13 | 7 | 3 | 3 | 19 | 14 | 24 |
| 5 | მერანი | 13 | 7 | 2 | 4 | 16 | 13 | 23 |
| 6 | ბაია | 13 | 6 | 1 | 6 | 16 | 12 | 19 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 13 | 4 | 4 | 5 | 13 | 17 | 16 |
| 8 | გაგრა | 13 | 4 | 2 | 7 | 12 | 17 | 14 |
| 9 | კოლხეთი | 13 | 3 | 3 | 7 | 11 | 20 | 12 |
| 10 | დილა | 13 | 3 | 2 | 8 | 17 | 21 | 11 |
| 11 | სპარტაკი | 13 | 2 | 4 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 12 | სიონი | 13 | 1 | 4 | 8 | 8 | 22 | 7 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი



# ზესტაფონი გამოიკვეთა

## მოხეტიალე კოლხეთი ზუგდიდმა შეიფარა

15.11. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 0 |
| ზესტაფონი | 2 |

0:1 აფციაური (39. დვალის პასით), 0:2 გელაშვილი (44. გრიგალაშვილის პასით)

| კოლხეთი 4-5-1 | ზესტაფონი 4-2-2 |
|---|---|
| ნადირაშვილი | მამალაძე |
| ცხვიტარია | ალადაშვილი |
| ინწკირველი | თ. ლონლაძე |
| ლომაშვილი | გ. ონიანი |
| მეგრელიშვილი | ელიავა |
| შავგულიძე | აფციაური |
| ქებაძე | გორგიაშვილი |
| პ. დათუნაიშვილი | ბაბუნაშვილი |
| გვალია | შ. გრიგალაშვილი |
| მდივნიშვილი | დვალი |
| ციცხვაია | გელაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| დ. მახარაძე | გ. ჭიაბრიშვილი |

**კოლხეთი**

46. ქებაძე - **ცხადაია**
54. შავგულიძე – **გოგონაია**
69. ცხვიტარია – **გულუა**

*სათადარიგოები:* **ბობლიაშვილი, გ. კილასონია, თედიაშვილი, წიქარიშვილი**

**ზესტაფონი**

69. აფციაური – **ბენაშვილი**
69. გელაშვილი – **ფიფია**
78. გორგიაშვილი – **შარვაძე**

*სათადარიგოები:* **მეშველიანი, სარდალიშვილი, ჭანკოტაძე, ს. ლომია**

გაფრთხილება: **გელაშვილი (30)**
არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

"ზესტაფონმა" ზუგდიდში გამოტოვებული მატჩი დამაჯერებლად მოიგო და უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში ერთპიროვნული ლიდერობა დაიბრუნა. სავსებით მოსალოდნელი იყო, "კოლხეთს" მოქმედი ჩემპიონისთვის მედგარი წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ასე არ მოხდა და ფეროელებმა დიდი ანგარიშით არა, მაგრამ დიდი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით გაიმარჯვეს.

"ზესტაფონმა" ზუგდიდში რამდენიმე ფეხბურთელი მოისაკლისა – დისკვალიფიცირებული **ედიკ საჯაია** და ტრავმირებულები, **როინ კვასხვაძე, მამუკა კობახიძე** და **ირაკლი ძარია.** ექსპერიმენტული იყო **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდის ცენტრალურ მცველთა დუეტი, სადაც **გიორგი ონიანს** მარჯვენაფლანგელი **თემურ ლონლაძე** შეუწყვილდა.

ზამთრისპირის კვალობაზე ზუგდიდის მოედანს არა უშავდა და "ზესტაფონს" თავისი ფეხბურთის თამაში თავიდანვე გამოუვიდა. მართალია, ნომინალური სტუმრები ტაიმის ბოლოსკენ დაწინაურდნენ, მაგრამ მანამდე ორი საგოლე შანსი გაუშვეს ხელიდან – **ნიკა გელაშვილმა** და **შოთა გრიგალაშვილმა** მიზანს მცირედით ააცილეს.

"ზესტაფონის" ორივე გოლი მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა. ჯერ ფოთელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლეს იმერლებმა და **კახა ალადაშვილის** წამოწყებული და **ჯაბა დვალის** გაგრძელებული კომბინაცია **თორნიკე აფციაურმა** დააგვირგვინა, შემდეგ კი დვალმა გაამწვავა თამაში, იერიში კი გრიგალაშვილის პასითა და გელაშვილის გოლით დასრულდა.

მეორე ტაიმში რამდენჯერმე არ გაუმართლა ბომბარდირთა დავის თანალიდერ ჯაბა დვალს, რომელმაც არაერთი საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან – ძელსაც გაარტყა ბურთი, მეტოქის მეკარემაც აჯობა და მიზანმაც უმტყუნა.

რამდენიმე ეპიზოდში ზესტაფონელები თერთმეტმეტრიანსაც ითხოვდნენ, მაგრამ საბოლოოდ ორი ბურთი იკმარეს.

**ნიკა გვათუა**
ზუგდიდი-თბილისი

## მანჩხავამ ტორპედო დატოვა

ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ქუთაისურმა კლუბმა და **ნუკრი მანჩხავამ** ერთმანეთთან თანამშრომლობა შეწყვიტეს. 29 წლის ნახევარმცველი "ტორპედოში" ზაფხულში ცხინვალის "სპარტაკიდან" გადავიდა და ახალი კლუბის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო. მიმდინარე ჩემპიონატში მან მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, ისიც პირველ ტურში.

მანჩხავა ახალი კლუბის მოძებნას თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეცდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● დანიშვნა

# თემურ მახარაძე ისევ საქმეშია

## გამოცდილ მწვრთნელს დილა ჩააბარეს



თემურ მახარაძე

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ **თემურ მახარაძე** საქმეს უბრუნდება - იგი გორის "დილას" გაწვრთნის.

მახარაძეს გუნდის ხელმძღვანელობა ორშაბათს, 14 ნოემბერს შესთავაზეს და მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა – სიახლე "დილაში" დაგვიდასტურეს. ჯერ უცნობია, კონტრაქტი რა ვადით გაფორმდა, მაგრამ საკითხი შეთანხმებულია.

ორშაბათსვე გორელები მცხეთაში "ვიტ ჯორჯიას" ესტუმრნენ, ამხანაგურად ეთამაშნენ და 2:1 მოიგეს.

ცხადია, მახარაძე შეხვედრას დაესწრო. 61 წლის სპეციალისტი მის მიერ შერჩეულ ასისტენტთან ერთად იმუშავებს. სავარაუდოდ, მას **იური გაბისკირია** დაეხმარება, მაგრამ გუნდში კვლავ იმუშავებს მწვრთნელთა ძველი შემადგენლობაც.

შეგახსენებთ, რომ მახარაძე უმუშევარი იყო გასული წლის მერე, როდესაც რუსთავის "ოლიმპიდან" გაუშვეს. მას შემდეგ გამოცდილი მწვრთნელი, რომელსაც არაერთ გუნდში მიუღწევია წარმატებისთვის, არ დასაქმებულა და უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მისვლა "დილას" ნამდვილად დაეტყობა.

მახარაძის ამბავთან ერთად ისიც გვითხრეს, რომ შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციასთან ერთად, "დილას" ერთ-ერთი სამთავრობო სტრუქტურაც მიხედავს. ახალი მწვრთნელის ამბავი კი დადასტურდა, მაგრამ გუნდის დაფინანსების თაობაზე ჯერ ოფიციალური ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ. თუმცა, მახარაძე გუნდში რომ მიდის, ეს უკვე ნიშნავს, "დილას" ფინანსური რესურსიც ექნება და ამბიციაც.

საინტერესოა სხვა სიახლეებიც: გორის ცენტრალურ სტადიონზე იგეგმება სარეკონსტრუქციო სამუშაოები. როგორც ცნობილია, მთავრობისა და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი პროექტით, ამ სტადიონზე უკვე დაიგო ახალი საფარი. ეს პირველი ეტაპის სამუშაოები იყო. მალე აპირებენ ტრიბუნების, გასახდელ-საშხაპეების, მსაჯთა და დელეგატის ოთახების განახლებას, თანამედროვე ვიპლოჟების მოწყობას... შეიცვლება და უეფას სტანდარტებს დააკმაყოფილებს განათების სისტემა, რადგან გუნდის მესვეურთა სურვილია, გორში საერთაშორისო მატჩებს უმასპინძლონ, მათ შორის, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრებსაც.

**მერაბ მამულაშვილი**

● საკონტროლო მატჩი

# დათოვლილი გორული გოლები

"ვიტ ჯორჯიამ" და "დილამ" სანაკრებო პაუზით ისარგებლეს და "მცხეთა პარკზე" ერთმანეთს ამხანაგურად შეხვდნენ. მოედანი დათოვლილი იყო და სანახაობამ მაინცდამაინც ვერ ივარგა, თუმცა მწვრთნელებმა მაინც შეძლეს ფეხბურთელთა მაქსიმალური რაოდენობის საქმეში ნახვა და გოლებიც გავიდა – გორელებმა 2:1 გაიმარჯვეს. ანგარიში 28-ე წუთზე **გია თოდუამ** გახსნა, 38-ეზე **ბექა ზაქრაძემ** გაათანაბრა, სტუმრებმა კი **დავით რაჟამაშვილის** მიერ 62-ე წუთზე გატანილი გოლით გაიმარჯვეს.

"ვიტ ჯორჯია" პირველ ტაიმში: **ძაძამია - ხურცილავა, ადამაძე, გოგიაშვილი, ღანიაშვილი - გურამ გურეშიძე, მაისაშვილი - კორიფაძე, ვასაძე, ზაქრაძე – ჩიმაკაძე;**

მეორე ტაიმში: **რეჭია - გეთიაშვილი, კასრაძე, ხუმარაშვილი, ხუჭუა (68. ჯავაშვილი) - ვაშაკიძე, ჯაყელი (68. დევდარიანი, დავლაშელიძე, ოთარიშვილი (67. ჯუღელი) - სიხარულიძე, კუხალეიშვილი (66. ლობჯანიძე).**

"დილა" პირველ ტაიმში: **მერლანი - ჭითანავა, მაჭავარიანი, ბაქრაძე, ვ. ხორგუაშვილი - ჯოჯუა, ნემსაძე, ნ. ნოზაძე – გ. თოდუა, ახალკაცი, სადაღაშვილი;**

მეორე ტაიმში: **შეყრილაძე - ახვლედიანი, ბაქრაძე (65. ლ. ჩაგელიშვილი), ქარჩუზაშვილი, ჭითანავა - პ. ხორგუაშვილი (59. ი. ბერაია), ვ. ხორგუაშვილი, მურადაშვილი - რაჟამაშვილი, გოგინაშვილი, დ.ჩაგელიშვილი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ტრანსფერი



# რაჟამაშვილი იმერლებისაა

მართალია, ამ ინფორმაციის თაობაზე "ზესტაფონის" პრესსამსახურმა კომენტარისგან თავი შეიკავა, მაგრამ დაზუსტებით შეგვიძლია გითხრათ, რომ გორის "დილას" 23 წლის ნახევარმცველი **დავით რაჟამაშვილი** ზამთრიდან საქართველოს ჩემპიონთა რიგებში ითამაშებს. ჩვენი ინფორმაციით, "ზესტაფონმა" მას სამწლიანი კონტრაქტი უკვე გაუფორმა.

რაჟამაშვილი უმაღლეს ლიგაში პირველ სეზონს ატარებს, მაგრამ ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს აღმოჩენად უკვე შეგვიძლია მივიჩნიოთ. მიმდინარე ჩემპიონატში მან 12 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


# სტაჟირება და კონტრაქტი არგენტინაში

არგენტინის საფეხბურთო კომპანია „ხეარგ სპორტი" იწვევს პერსპექტიულ ფეხბურთელებს ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონის ასამაღლებლად არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში მ/წ 1 დეკემბრიდან. შესაბამისი მომზადების შემდეგ, ფეხბურთელები წარდგენილი იქნებიან არგენტინის საფეხბურთო კლუბებში ტესტირებაზე. ქართველ ფეხბურთელებს კონტრაქტის გაფორმება შეუძლიათ 18 წლიდან.

არგენტინაში გამგზავრებასთან დაკავშირებით მსურველებმა მიმართეთ არგენტინის საფეხბურთო კომპანიის „ხეარგ სპორტის" წარმომადგენელს საქართველოში. შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ№4, ყოველდღე (კვირის გარდა) 17-დან 19 საათამდე.

ტელ: 292-10-60; 299-79-99; მობ: 579-41-53-35.



დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● U 21. მეტოქეები



# ესპანეთი იქ, ზემოთ, ახლოს შვეიცარია და მერე სხვები ჩვენიანად

**ესპანეთი–შვეიცარია 3:0**

1:0 მუნიაინი (8), 2:0 ალკანტარა (26. პენ.), 3:0 ბარტრა (45)

**ხორვატია–ესტონეთი 4:0**

1:0 ჩოპი (14), 2:0 ვუკუშიჩი (42), 3:0 ადემი (75), 4:0 ვუკუშიჩი (81)

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გრძელდება და თანდათან მცირდება იმ გუნდების რაოდენობა, რომლებიც ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ.

საქართველოს ნაკრებმა ჯგუფიდან გასვლის ბოლო, ისიც თეორიული შანსი რამდენიმე დღის წინ შვეიცარიაში განადგურებით დაკარგა, 14 ნოემბერს კი ჩვენი ახალგაზრდული ისვენებდა და მეტოქეებმა ითამაშეს, რის შედეგადაც **სოსო ჭედიას** გუნდი ჯგუფის სატურნირო ცხრილში მესამიდან მეოთხე საფეხურზე დაეშვა.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ევროპის მოქმედ ჩემპიონ ესპანეთისთვის დიდი წინააღმდეგობის გამწევი მხოლოდ ვიცე-ჩემპიონი შვეიცარია იყო, მაგრამ მათმა შეხვედრამ ამ ორი გუნდის კლასს შორის სხვაობა ნათლად წარმოაჩინა. ესპანელებმა სტუმრები უშანსოდ პირველივე ტაიმში დატოვეს, სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს და მატჩის მეორე ნახევარი ფორმალობად აქციეს. მოკლედ, ეს შვეიცარია სულაც არ აღმოჩნდა იმ დონის გუნდი, მასთან ორ მატჩში თუნდაც ქულა ვერ აგველო.

მეორე წყვილში რა შედეგიც უნდა დაფიქსირებულიყო, ერთ-ერთი გუნდი მაინც გადაგვისწრებდა და ეს ხორვატებმა შეძლეს. **ივო შუშაკის** გუნდმა, რომელმაც მიმდინარე შესარჩევი ტურნირი საქართველოს ნაკრებთან საშინაო მარცხით დაიწყო, ციკლში მეორედ გაიმარჯვა, ესტონელები კი, მართალია, უქულოდ არ არიან, მაგრამ ოთხ შეხვედრაში ერთხელაც არ გაუტანიათ.

იმედია, ბალტიისპირელები ნავსს მაინცდამაინც საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირებაში არ გატეხენ. ჩვენებს უახლოესი მატჩი სწორედ ესტონეთთან უწევთ – სტუმრად, მომავალი წლის 5 ივნისს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 20-2 | 15 |
| 2. შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-3 | 10 |
| 3. ხორვატია | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 4. საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 3-15 | 3 |
| 5. ესტონეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-11 | 1 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ფუტსალი

# ვნახოთ, რა არის ეტო

დღეს საქართველოს ჩემპიონი "იბერია სტარი" ევროპის ფუტსალის თასის ელიტრაუნდში ჩაერთვება და მისი პირველი მეტოქე უნგრული "დიორი ეტო" იქნება. ელიტრაუნდში ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფია, რომელთა გამარჯვებულებიც ფინალურ ოთხეულში გავლენ. ჩვენი, C ჯგუფის მატჩებს პორტუგალია მასპინძლობს.

შეგახსენებთ, "იბერია სტარი" ელიტრაუნდამდე შარშანაც მივიდა და ფინალურ ოთხეულამდე მცირედი დააკლდა. იმედია, ჩვენი ჩემპიონისთვის ეს ევროსეზონი კიდევ უფრო წარმატებული იქნება.

გაგაცნობთ ჩვენი ჯგუფის მატჩების განრიგს:

**16 ნოემბერი**

იბერია სტარი (საქართველო)-დიორი ეტო (უნგრეთი)

სპორტინგი (პორტუგალია)-ტარგუ მურეში (რუმინეთი)

**17 ნოემბერი**

ტარგუ მურეში-იბერია სტარი

სპორტინგი-დიორი ეტო

**19 ნოემბერი**

დიორი ეტო-ტარგუ მურეში

იბერია სტარი-სპორტინგი

"იბერა სტარის" განაცხადი ასეთია:

მეკარეები: ტონი (ბრაზილია), ერნესტ აკოპოვი (სომხეთი), ალექსანდრე ჯამბურია;

მცველები: ედუ, დანიელ საკაი, რომარიო (სამივე – ბრაზილია), ალექსანდრე ძაბირაძე, შოთა კუბლაშვილი;

თავდამსხმელები: ბეტინიო, ლუიშ ბაპტისტა, ბრუნო მელო, ფუტი (ყველა – ბრაზილია), გიორგი ალთუნაშვილი, რონინიო, ვახტანგ წერეთელი, გალაქტიონ ზოიძე, ვახტანგ ჯვარაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ოლეგ სოლოდოვნიკი (უკრაინა)

განაცხადში ბრაზილიელი **რონინიო** ქართველებთან ერთადაა მოხსენიებული და ეს შეცდომა არ გეგონოთ – იგი უკვე საქართველოს მოქალაქეა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბურთისთვის ბიზნესმაც უნდა მოიცალოს

საქართველოს ფუტსალის ასოციაცია ფუტსალში საქართველოს სამოყვარულო ჩემპიონატის - „ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის" მეოთხე სეზონს იწყებს.

ჩემპიონატი 20 ნოემბერს დაიწყება, 2012 წლის მაისში დასრულდება და ორ ეტაპად გაიმართება - რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ პლეი ოფის შეხვედრების ჯერი დადგება. შეჯიბრებაში ჩაებმებიან უმაღლესი სასწავლებლების, სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციების გუნდები: **გიგაბაიტი, სპორტმედია, ნატახტარი, სოკარი, დპდ, პროგრესბანკი, საქართველოს უნივერსიტეტი, სეუ, პატრული.**

მატჩები სპორტკომპლექს „არენაში" (ყოფილი არმიის სპორტული კლუბი) ჩატარდება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ

# მარტვილელთა მყარი საფუძველი და ქართულ-აფრიკული პარალელები

**მართალია, ახლა მთელ ევროპაში სანაკრებო პერიოდია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც რამდენიმე დღეში განახლდება. საქართველოს უმაღლესი ლიგის ბოლო დროის ერთ-ერთი გამოსარჩევი მოვლენა მარტვილის "მერანის" წარმატებული ასპარეზობაა. მალხაზ ჟვანიას გუნდმა ხომ ჩემპიონატის ბოლო სამი მატჩი მოიგო, მეხუთე ადგილზე დამკვიდრდა და არც უკეთეს პოზიციებზე მყოფ გუნდებს ჩამორჩება დიდი სხვაობით.**

**მალხაზ ჟვანიასთან ინტერვიუში განვლილი შეხვედრები გავიხსენეთ, "მერანის" სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ და სხვა საინტერესო თემებსაც შევეხეთ.**

**- რა არის თქვენი წარმატების საფუძველი?**

- ყველაფრის თავიდათავი შრომაა. ერთ მუშტად შეკრული და ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს, ბიჭები საკუთარ თავზე გამუდმებით მუშაობენ და შედეგიც ამას მოაქვს. ახლა მართლაც წარმატებული დრო გვიდგას, მაგრამ ამაზე შეჩერებას არ ვაპირებთ და მეტის მიღწევა გვინდა.

**- "მერანის" შედეგიანი თამაში, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ დიდი ხანია, გუნდის ბირთვი უცვლელია.**

- შემადგენლობის განახლება ყოველთვის საჭიროა, მაგრამ ყველაფერში ზომიერების გრძნობაა საჭირო. დიახ, წლებია, "მერანის" სამწვრთნელო შტაბსა და შემადგენლობაში მხოლოდ მცირედი ცვლილებები ხდება. მყარი საფუძველი უკვე ჩავყარეთ და ახლა მიზანმიმართულად ვმუშაობთ გამძლე სახლის მშენებლობაზე.

**- სეზონის წინ თუ ელოდით, რომ უმაღლეს ლიგაში ასეთი შედეგიანი დებიუტი გექნებოდათ?**

- საქართველოს ჩემპიონატი იმდენაც სპეციფიკური ტურნირია, რომ აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მზად ვიყავით წარმატებისთვისაც და სუსტი სტარტისთვისაც, თუმცა იმაში კი ნამდვილად არ გვეპარებოდა ეჭვი, რომ ჩვენი შრომა ადრე თუ გვიან ნაყოფს გამოიღებდა. ჯერ განსაკუთრებული არაფერი გაგვიკეთებია, თუმცა მჯერა, რომ უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვებები გველის.

**- ბოლო მატჩებიდან რომლებში ითამაშა "მერანმა" ყველაზე ხარისხიანი ფეხბურთი?**

- მიხარია, რომ გამართულ ფეხბურთს უკვე სტაბილურად ვთამაშობთ და არა – ალაგ-ალაგ. მაღალ დონეზე ვითამაშეთ "ბაიასთან", "კოლხეთთან", თასზე "სპარტაკთან"... "დინამოსთან" წაგებულ მატჩშიც ნორმალურად გამოვიყურებოდით.

**- "მერანის" რომელმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს დიდ პროგრესს ბოლო პერიოდში?**

- უპირველესად, მეკარე ჯონი შეროზიას გამოვარჩევ, რომელმაც უმოკლეს დროში გაიარა მანძილი პირველი ლიგიდან ახალგაზრდულ ნაკრებამდე. დღეისთვის სწორედ იგი მიმაჩნია "მერანის" საუკეთესო ფეხბურთელად. გამოვყოფ ელგუჯა გრიგალაშვილის პროგრესსაც. იგი მოედნის ხედვისა და სწრაფი აზროვნების შესანიშნავი უნარითაა დაჯილდოებული და დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. მოუმატეს ფლანგის მცველებმა, რომლებიც შეტევებში ეფექტურად ერთვებიან. ძალიან კმაყოფილი ვარ ვეტერანების, გივი დიდავასი და გიორგი მანწკავასი, რომლებიც მოედანზეც და მის მიღმაც ახალგაზრდა თანაგუნდელებისთვის სამაგალითონი არიან.



მალხაზ ჟვანია

**- ყველა ახალწვეულის თამაშით ხართ კმაყოფილი?**

- ყველასი არა, მაგრამ უმრავლესობამ ჩვენი იმედები გაამართლა. წარმოუდგენელია, ყველა გათვლამ გაამართლოს, მთავარია, რომ უმრავლეს შემთხვევაში სწორი საკადრო გადაწყვეტილებები მივიღეთ.

**- ორი ლეგიონერიდან მხოლოდ ერთს ათამაშებთ.**

- ტაპე ბევრს მუშაობს და პროგრესირებს კიდეც, იატრომ კი ფეხბურთზე ფიქრს მოუკლო და, შეიძლება ითქვას, "მერანში" მისი კარიერა დასრულებულია. გული მწყდება, ასე რომ მოხდა – საკმაოდ ნიჭიერია და წინა სეზონში ძირითადში სისტემატურად ხვდებოდა, ტაპე კი ამ სეზონში ჩამოყალიბდა ჩვენი გუნდისთვის სასარგებლო მოთამაშედ. ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება – მხოლოდ ნიჭის ხარჯზე ვერაფერს მიაღწევ. აფრიკელებში კი, ისევე, როგორც ქართველებში, მრავლად არიან როგორც შრომისმოყვარე, ისე არასერიოზული ფეხბურთელები.

**- შესაძლოა, "მერანის" რამდენიმე ფეხბურთელი უახლოეს მომავალში ძლიერი ქართული თუ უცხოური კლუბების სამიზნედ იქცეს. მზად არის თუ არა იურიდიულად თქვენი კლუბი იმისთვის, რომ ტრანსფერებიდან მოგება ნახოს?**

- ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ და ყველანაირად ვეცდებით, "მერანმა" მოთამაშეთა ტრანსფერებით შემოსავალი მიიღოს. დაბრკოლება გვაქვს გრიგალაშვილის შემთხვევაში, რადგან იგი ბათუმის "დინამოდან" იჯარით გვყავს აყვანილი და ახლა ვცდილობთ, ბათუმელებთან კომპრომისულ შეთანხმებას მივაღწიოთ.

**- არ გაქვთ A კატეგორიის ლიცენზია, რის გამოც ფორმალურად "მერანის" მთავარი მწვრთნელი არ ხართ. ალბათ, უახლოეს მომავალში ამ ხარვეზის გამოსწორებას აპირებთ.**

- მე კი ვაპირებ, მაგრამ დიდი ხანია, საქართველოში A კატეგორიის ლიცენზიის სემინარი არ ჩატარებულა და, თუ არც უახლოეს პერიოდში ჩატარდა, კურსებზე საზღვარგარეთ გავემგზავრები. მართალია, A ლიცენზიის უქონლობა მუშაობისას განსაკუთრებულ დისკომფორტს არ მიქმნის, მაგრამ მას აუცილებლად მივიღებ.

**-შემადგენლობის გაძლიერებას თუ აპირებთ?**

- ამ კითხვაზე მკაფიო პასუხს რამდენიმე დღეში, "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის შემდეგ გაგცემთ. ამ შეხვედრის მოგების შემთხვევაში ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრისკენ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ და თუ მიზანს მივაღწიეთ, კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს შემადგენლობის გასაძლიერებლად. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარს ვიტყვით იმ ფეხბურთელებზე, რომლებსაც ამჟამად "მერანისთვის" დიდი სარგებლობა მოაქვთ.

**- ალბათ, თასის გათამაშებაზეც მაქსიმალურად დაიხარჯებით.**

- რა თქმა უნდა. თასი ჩვენთვის ჩემპიონატზე არანაკლებ პრიორიტეტული ტურნირია. "გაგრა" ძლიერი მეტოქეა, მაგრამ კარგად ვიცით მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და სისუსტეების საჩვენოდ გამოყენებას შევეცდებით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ტრანსფერი

# დინამოს ექსკაპიტანი ტორპედოში

## ფირცხალავას მიწვევა გეგუჩაძის სურვილი იყო. სხვა ქუთაისური ამბებიც

ქუთაისის "ტორპედოს" აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი პაპიაშვილი** ამბობს, რომ **გია გეგუჩაძის** მისვლით კლუბის ამბიცია გაიზარდა და მნიშვნელოვან გაძლიერებას გეგმავენ.

*"ტორპედოში" ცვლილებები გარდაუვალია, მაგრამ ერთი ხელის მოსმით შემადგენლობის გაახალგაზრდავებას და ვეტერანების დათხოვნას არ ვაპირებთ. გუნდს გამოცდილი და მაგალითის მიმცემი ვეტერანიც სჭირდება. რაც მთავარია, ეს მწვრთნელის პრეროგატივაა. ჩვენი მოვალეობა მწვრთნელის მოთხოვნების შესრულება და სასურველი მოთამაშის მოწვევაა.*

*ამჟამად ორი მოთამაშე დავიმატეთ, ლატვიიდან ჩამოსული დავით ჯანელიძე და თბილისის "დინამოს" ყოფილი კაპიტანი ნიკა ფირცხალავა. ფირცხალავას მოწვევა გეგუჩაძის სურვილი იყო. ნიკა არა მხოლოდ კარგი მოთამაშე, კარგი პიროვნებაც ჩანს და მიხარია, ტორპედოელი რომ გახდა. მასთან ოთხწლიანი კონტრაქტი 2+2 სისტემით გავაფორმეთ, განაცხადში კი მხოლოდ ახალი წლიდან შევიყვანთ,"* – გვითხრა პაპიაშვილმა.

20 და 24 ნოემბერს "ტორპედოს" ორი პრინციპული შეხვედრას ელის - თბილისში განახლებულ "ბორის პაიჭაძეზე" "დინამოს" ეთამაშება, მერე კი თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში "ზესტაფონს" უმასპინძლებს. პაპიაშვილის ცნობით, 20 ნოემბერს "დინამოსთან" მატჩისთვის "ტორპედოს" ხელმძღვანელობა ქომაგებს უფასო ტრანსპორტირებაში დაეხმარება. "ტორპედოს" ქომაგთა კლუბი კი საკმაოდ მოძლიერდა და 150 წევრს აერთიანებს – ცხადია, თამაშზე დასწრების მსურველი ქუთაისელების რაოდენობა ბევრად მეტიც იქნება.

პაპიაშვილის თქმით, სალორიის ბაზის განახლება სრული ტემპით მხოლოდ მომავალი წლის მარტიდან მოხერხდება, ამასთან, „ტორპედოში" ბაზის ტერიტორიის გაზრდაც სურთ.

*"პროექტი სტანდარტული ზომის 6 — 4 ბუნებრივი, 2 ხელოვნური საფრით — მოედნის აშენებას ითვალისწინებს. ამჟამინდელ ტერიტორიაზე ოთხი მოედნის მოწყობა სრულიად შესაძლებელია. საამისოდ კვების ბლოკის დემონტაჟია საჭირო. კიდევ ორი მოედნისთვის კი სალორიის ბაზის საზღვრები უნდა გაფართოვდეს, რაშიც შესაბამისი ორგანოების თანადგომის იმედი გვაქვს. პროექტის განხორციელებას, ცხადია, დრო სჭირდება, ეს საქმე უცებ ვერ გაკეთდება".*

გუნდის თავკაცების სურვილია, ქუთაისის ცენტრალურმა სტადიონმა უეფას სტანდარტები დააკმაყოფილოს და ეროვნული ნაკრების მატჩებს უმასპინძლოს.

*"ქუთაისში ეროვნული ნაკრების თამაშების მასპინძლობა გვსურს და, რომ იცოდეთ, საკლუბო მოთხოვნები უფრო მკაცრია, ვიდრე სანაკრებო. ჩვენს სტადიონს უკვე მიენიჭა მესამე კატეგორია, რომელიც უეფას ტურნირების ყველა შესარჩევი ეტაპის მასპინძლობის უფლებას გვაძლევს, მაგრამ არა ჯგუფური ეტაპებისა. საამისოდ მე-4 კატეგორიის მოპოვებაა საჭირო, რასაც ზაფხულამდე შევეცდებით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უკვე გავგზავნეთ მოთხოვნა და შესაბამისი რჩევებიც მივიღეთ. მალე ქუთაისს ესტუმრება არქიტექტორი, რომელიც პროექტს შეადგენს, სარემონტო სამუშაოებიც დაიწყება და ვფიქრობ, უეფას პირობების შესრულება და მეოთხე კატეგორიის მიღება არ გაგვიჭირდება"* – ამბობს პაპიაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# საფეხბურთო წელიწადი: კარგიც, ცუდიც...

გაგრძელება. დასაწყისი ლელო № 269 (13566)

## ოპტიმისტური მოლოდინი

...სომხეთთან ამხანაგური მატჩის მერე საქართველოს ნაკრებს მომდევნო შეხვედრა თვენახევარში ჰქონდა; თანაც, მატჩსაც ხომ გააჩნია: თბილისში ჩვენი შესარჩევი ჯგუფის გამოკვეთილი ფავორიტისთვის, ხორვატიის ნაკრებისათვის უნდა გვემასპინძლა. 26 მარტს დანიშნულ ამ დაპირისპირებას ბევრ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი, — უპირველესად კი იმაზე, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო საქართველოს ნაკრების პრეტენზია 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის ბრძოლისათვის. შეგახსენებთ, რომ ხორვატებთან დაპირისპირებამდე საქართველოს ნაკრები შესარჩევ ციკლში დაუმარცხებლად ასპარეზობდა; ეგ კი არა, 2010 წლის დასაწყისიდან 2011 წლის 26 მარტამდე ევროპაში ორად ორი ნაკრები იყო დარჩენილი, არც ერთი მატჩი (ოფიციალურიც და ამხანაგურიც) რომ არ ჰქონდა წაგებული! მოკლედ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, თუ როგორი მოლოდინი იქნებოდა თბილისში მოახლოებული მატჩისადმი; ანუ, არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ეროვნულ სტადიონზე სრული ანშლაგი იქნებოდა და ამას გარდა, ის არნახული ოპტიმიზმიც უნდა ვახსენოთ, მატჩის დაწყებამდე რომ სუფევდა ქართულ საფეხბურთო საზოგადოებაში! ჰო, იმის მიუხედავად, რომ ხორვატიის ნაკრებში რამდენიმე მართლაც მაღალი კლასის შემსრულებელი (**დარიო სრნა, ლუკა მოდრიჩი, მლადენ პეტრიჩი, ივან რაკიტიჩი, ნიკო კრანჩარი**) თამაშობდა, ქართველ ქომაგთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ნაკრების წაუგებელი სერია ამ მატჩის შემდეგაც გაგრძელდებოდა...

## სწორი გათვლა და ტაქტიკური დუელი

საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ორადორი ისეთი პოზიცია იყო, რაზეც მატჩამდე ქართულ მედიაში დიდი სჯაბაასი მიმდინარეობდა: ერთადერთი, რაზეც გამოკვეთილი ცენტრფორვარდის ადგილს **ლადო დვალიშვილი** დაიკავებდა თუ **დავით სირაძე**, აგრეთვე ზუსტად ვერავინ იტყოდა, **თემურ ქეცბაია** რომელ მეკარეს დაეყრდნობოდა: **ნუკრი რევიშვილსა** თუ **გიორგი ლორიას.** თუმცა, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ერთი სიურპრიზი ქართველ გულშემატკივარსაც შესთავაზა და თავის ხორვატ კოლეგა **სლავენ ბილიჩსაც:** მძიმე ტრავმ(ებ)ისგან გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის მერე ძირითად შემადგენლობაში **ჯაბა კანკავა** გამოჩნდა. თანაც, კანკავამ ადგილი ორი საყრდენი ნახევარმცველის (**ზურაბ ხიზანიშვილი, ბუბა დაუშვილი**) წინ დაიკავა, ფლანგებიდან კი ნაკრების სტაჟიანი წევრები, **ლევან კობიაშვილი** და **ალექსანდრე იაშვილი** ეხმარებოდნენ.

... პირველი ტაიმის შემხედვარე, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, მატჩი საბოლოოდ ჩვენი გამარჯვებით რომ დამთავრდებოდა; თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, ყოველივე ეს ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის მიერ კარგად გათვლილი ტაქტიკური სვლა იყო: პირველი ტაიმი სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა და ხორვატებმა უმკაცრეს პრესინგსაც მიმართეს; ანუ, როგორც კი ჩვენი რომელიმე ფეხბურთელი ბურთს მიიღებდა, მის წინ მაშინათვე მეტოქის ორი მოთამაშე გაჩნდებოდა ხოლმე. თუმცა, როგორც გაირკვა, ჩვენი გუნდი მოვლენების ასეთი განვითარებისათვის მზად იყო: როცა იქნებოდა, მეტოქეს დაღლაც დაეტყობოდა, შეცვლაზე შემოსული ჩვენი სამარქაფოებიც თამაშს გაამწვავებდნენ (ანუ, მეტოქეს აგრესიულ თამაშს აქეთ „მოვახვევდით“) და დაცვაში უშეცდომო თამაშთან ერთად, თუნდაც ერთ (გნებავთ, ერთადერთ) შანსსაც დაველოდებოდით. ყველაფერი ასეც მოხდა, ოღონდ — მეორე ტაიმში, როცა თემურ ქეცბაიამ, ფაქტობრივად, პირწმინდად მოუგო ტაქტიკურ-სტრატეგიული „დუელი“ თავის ხორვატ კოლეგას. თუმცა, მანამდე ისიც უნდა ვთქვათ, პირველ ტაიმში ნუკრი რევიშვილმა ორჯერ რომ გამოავლინა სამეკარეო ოსტატობა, როცა მლადენ პეტრიჩისა და ნიკო კრანჩარის დარტყმები მოიგერია.

## ზღაპრული დასასრული

... შესვენების შემდეგ მოედანზე დავით სირაძე გამოჩნდა, რომელმაც ცენტრფორვარდის პოზიცია დაიკავა, რაც, ნამდვილად პროგნოზირებადი იყო; აი, მომდევნო ცვლილებებმა კი თამაშის შინაარსიც შეცვალეს და, რაც მთავარია, ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში მომხდარი ტაქტიკური გადაადგილებები მეტოქისათვის იყო მოულოდნელ-დამაბნეველი. ჯერ იყო და მოედანზე **ოთარ მარცვალაძე** გამოჩნდა, ვისაც უკანასკნელი სანაკრებო მატჩი ერთი წლის წინათ ჰქონდა ჩატარებული; ჰოდა, ყველას რომ ეგონა, მარცვალაძე მარჯვენა ან მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ითამაშებდა, ცენტრფორვარდად ვიხილეთ! მოკლედ, მარჯვნივ სირაძემ გადაიწია, მარცხენა ფლანგზე კი თამაში **გოგიტა გოგუას** უნდა გაემწვავებინა და ამას გარდა, ხორვატთა კაპიტნის, დარიო სრნას აქტიურობაც შეეზღუდა.

...მატჩის ბოლო 30 წუთი თამაში ჩვენი „კარნახით“ მიმდინარეობდა და ხორვატთა კართან სახიფათო მომენტებმაც მოიმატა: ზურაბ ხიზანიშვილის ზედიზედ ორ დარტყმას გოგუას შორეული „გასროლა“ მოჰყვა; 81-ე წუთზე კი ოთარ მარცვალაძემ ეფექტური დრიბლინგით ლამის ნახევარი მოედანი გაირბინა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ველარ ივარგა. თუმცა, ჩვენების აქტიური და საზრიანი თამაში, მთლიანობაში, ლოგიკური გოლით დამთავრდა: კანკავა-მარცვალაძე-კობიაშვილის კომბინაციაც შთამბეჭდავი იყო და ის ფაქტიც, რომ ამ საგოლე იერიშში, ფაქტობრივად, თითქმის მთელი ჩვენი გუნდი ილებდა მონაწილეობას! კობიაშვილის ზუსტი დარტყმა მატჩის ბოლო წუთზე კი იყო, თუმცა მსაჯის მიერ დამატებულ დროში ხორვატებმა მართლაც რომ „საშინელი“ შტურმი მოგვიწყვეს, მაგრამ ზღაპრული შეხვედრა ჩაატარა ნუკრი რევიშვილმა, რომელმაც **ნიკოლა კალინიჩისა** და **დანიელ პრანიჩის** ახლო მანძილიდან ურთულესი დარტყმები მოიგერია!

...იტალიელი არბიტრის **პაოლო ტალიავენტოს** საფინალო სასტვენის ხმა და მოედანზე ზეიმის დაწყება ერთი იყო! ეს ზეიმი მერე თბილისის ქუჩებშიც გაგრძელდა: ჯგუფის ფავორიტის დამარცხებით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსიც რეალური გახდა და არც ის იყო პატარა ამბავი, რომ 2010 წლის დასაწყისიდან 2011 წლის 26 მარტამდე ევროპაში ერთადერთი წაუგებელი გუნდი რჩებოდა — საქართველოს ნაკრები!



საქართველო-ხორვატია 1:0. ლევან კობიაშვილის (№10) გოლმა გასულ შესარჩევში ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება მოგვიტანა

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

**საქართველო-ხორვატია 1:0**

26.03. თბილისი. ეროვნული. 54500 მაყურებელი

1:0 კობიაშვილი (90, მარცვლაძის პასით)

საქართველო: რევიშვილი — სალუქვაძე, ხუბუტია, ამისულაშვილი, კალაძე — დაუშვილი (73. გოგუა), ხიზანიშვილი — იაშვილი (62. მარცვალაძე), კანკავა, კობიაშვილი — დვალიშვილი (46. სირაძე)

სათადარიგოები: ლორია, გ. კაშია, ალადაშვილი, კვირკველია

ხორვატია: რუნიე — სრნა, ჩორლუკა, ლოვრენი, შტრინიჩი — დუიმოვიჩი — პეტრიჩი (84. პრანიჩი), მოდრიჩი, რაკიტიჩი (61. პერიშიჩი), კრანჩარი (71. იელავიჩი) — კალინიჩი

სათადარიგოები: პლეტიკოშა, შიმუნიჩი, ვუკოევიჩი, მანჯუკიჩი

გაფრთხილება: დუიმოვიჩი (52), კრანჩარი (66), მარცვალაძე (71)

არბიტრი: პ. ტალიავენტო (იტალია)

**გია ტუხაშვილი**

გაგრძელება იქნება

სადაურსა სად...



ანდრეი არშავინი



მიხეილ გორელიშვილი

# რუსებმა ქართველი არშავინი იპოვეს

## მან უკვე რუსეთის ნაკრებშიც ითამაშა

რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრებში კიდევ ერთი ქართველი, **მიხეილ გორელიშვილი** გამოჩნდა. იგი ყაზანის "რუბინში" ირიცხება და რადგან საქართველოში არ ვიცნობთ, მასზე ინფორმაციის მოპოვებას შევეცადეთ - ცხადია, საინტერესოა, ვინ არის უცხო ქვეყნის ნაკრებში მოთამაშე ქართველი.

### მიხეილ გორელიშვილი

**დაიბადა 1993 წლის 29 მაისს**
**რუსეთის მოქალაქე**
**სიმაღლე 174 სმ, წონა 69 კგ**
**პოზიცია: ნახევარმცველი**
**კლუბი – ყაზანის "რუბინი 2" — 25 მატჩი (2 გოლი)**
**ნაკრებში ითამაშა 3 ოფიციალური მატჩი**

მიხეილ გორელიშვილი რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა **დმიტრი ალენიჩევმა** 2011 წლის დასაწყისში შენიშნა და აპრილში საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირის ოთხივე შეხვედრაში თავის გამოჩენის საშუალება მისცა, 25 აგვისტოს კი იტალიელ 19-წლამდელებთან ამხანაგურ მატჩში ათამაშა და მის შესაძლებლობებში რომ დარწმუნდა, შესარჩევი ციკლის შეხვედრებშიც გამოიძახა.

"რუბინის" ქართველ ნახევარმცველს რუსეთის ნაკრებში ოფიციალური დებიუტი წლეულს, ოქტომბერში ჰქონდა – ბულგარეთში 6-11 ოქტომბერს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის შეხვედრები გაიმართა (ამავე ტურნირის სხვა ჯგუფში ამჟამად ქართველი ახალგაზრდები **გიორგი დევდარიანის** ხელმძღვანელობით თურქეთში ასპარეზობენ).

ბულგარეთში ალენიჩევმა გორელიშვილი სამი შეხვედრიდან ორში ძირითადში დააყენა — ირლანდიასთან და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან, ბულგარეთთან კი შეცვლაზე ათამაშა.

მოულოდნელად, რუსებმა სამივე შეხვედრა წააგეს — ირლანდიასთან 1:3, ბულგარეთთან 0:1, ბოსნიასთან 0:2 და ტურნირს ნაადრევად გამოეთიშნენ.

წლეულს "რუბინის" ახალგაზრდულ გუნდში გორელიშვილმა 25 შეხვედრა ჩაატარა, 20 ძირითადში დაიწყო, 5-ჯერ შეცვლაზე შევიდა, საკუთარ ანგარიშზე კი ორი გოლი ჩაიწერა.

რუსულმა ინტერნეტ-გაზეთმა "[illegible]ლოსპორტმა" ზაფხულში მცირე წერილი[illegible] კი გამოაქვეყნა, რომლითაც რუს გულშემატკივარს რუსეთის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" ფორვარდის **ანდრეი არშავინის** ორეული გააცნო, ასეთად კი სწორედ გორელიშვილი წარადგინა.

### *ყაზანის რუბინში არშავინის ორეული თამაშობს*

*18 წლის ჰავბეკი მიხეილ გორელიშვილი გასაოცრად ჰგავს ლონდონის "არსენალის" სახელოვან ფეხბურთელ ანდრეი არშავინს.*

*ვერ დაიჯერებთ და, ორივე ერთ დღეს არის დაბადებული – 29 მაისს! არშავინი ორეულზე 12 წლით უფროსია.*

*სცადეთ და გაარჩიეთ ერთმანეთისგან" – წერდა ინტერნეტ-გაზეთი.*

ვერ გეტყვით, ამ მოთამაშეებს შორის რამდენად დიდი მსგავსებაა, შესაძლოა, შედარება გადაჭარბებულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია, რომ 18 წლის ქართველი რუსების ყურადღებას იმსახურებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ბუალავა შვეიცარიაშია და იმედს არ კარგავს

**მირზა ბუალავა** არც ისე დიდი ხნის წინ საქართველოს ნაკრების კანდიდატი იყო და ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა. საფეხბურთო სკოლა "ნორჩი დინამოელის" გაზრდილი **გაიოზ დარსაძემ** ჯერ თბილისის "ამერში" აიყვანა ნიჭიერ თანატოლებთან ერთად, შემდეგ კი "ზესტაფონში".

მუდმივად იწვევდნენ და თამაშობდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, ერთხელ ეროვნული გუნდის ფორმაც მოირგო, შემდეგ ავსტრიაში ლუშტენაუს "აუსტრიაში" ჩაირიცხა, საიდანაც ამავე ქვეყნის სხვა კლუბში, "ბრეგენცში" გადავიდა.

მაგრამ კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორც წარმოედგინა და ამჟამად 23 წლის ცენტრალური ნახევარმცველი შვეიცარიის რეგიონული ლიგის "გიპოსაუში" თამაშობს.

*"კარიერა ფეხის ტრავმის გამო ამერია. მთელი ორი წელი დავკარგე და სასურველი დონის გუნდი დროულად რომ ვერ ვიპოვე, რაც უცებ გამოჩნდა, იმ წინადადებას დავთანხმდი. "გიპოსაუში" "აუსტრიაში" ჩემი ყოფილი თანაგუნდელი დანიშნეს, ურიგო პირობებიც არ შემოუთავაზებიათ და სხვა რა გზა მქონდა, ფორმა მაინც რომ შემენარჩუნებინა, შვეიცარიაში წავედი.*

*არადა, ზაფხულში დიდ ფეხბურთში დაბრუნების იმედი მქონდა, თურქეთში "გენჩლერბირლიგიში" გასინჯვაზე ვიყავი, შემომთავაზეს იტალიის სერია C-ს გუნდში თამაშიც, მაგრამ აქეთ-იქით გაურკვევლად სიარულს ისევ ყოფილ თანაგუნდელთან წასვლა ვამჯობინე.*

*ცხადია, ასეთი მდგომარეობა არ მაკმაყოფილებს. ყველა ასაკობრივ ნაკრებსა და ეროვნულ გუნდშიც მითამაშია და მიუხედავად იმისა, რომ კარიერა ჯერ ვერ ამეწყო, ამბიცია მაინც არ დამიკარგავს და მინდა დიდ ფეხბურთს დავუბრუნდე. რა გამოვა, ვნახოთ, მაგრამ მე ხელი ნაღდად არ ჩამიქნევია," – გვითხრა ბუალავამ.*

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რასიზმი

# ჩელსის თავს რაღაც ხდება



„ჩელსის“ თავდამსხმელ **დენიელ სტარიჯს**, რომელიც 22 წლის გახლავთ, თურმე საკუთარი გულშემატკივარი აყენებდა რასობრივ შეურაცხყოფას. ყოველ შემთხვევაში, კლუბი საქმეს ამ მიმართულებით იძიებს. თავად ფეხბურთელს არაფერი გაუგია, ხმაური კლუბის მავანმა ვიპ ლოჟის ბინადარმა ატეხა, როდესაც იჩივლა, ორი კვირის წინ ბელგიაში რომ ვიყავით, „გენკთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს ჩემს გვერდით იჯდა მდიდარი გულშემატკივარი, რომელმაც სტარიჯს მაიმუნი დაუძახაო. ამას ემატება „ჩელსის“ წარმომადგენელთა და ბელგიის პოლიციის ერთობლივი გამოძიება — თურმე, იმავე მატჩის მსვლელობისას „ლურჯების“ გულშემატკივართა ჯგუფი თავისი გუნდის მხარდაჭერის მაგივრად, „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მცველის, **ანტონ ფერდინანდის** ლანძღვით იყო დაკავებული. ისინი იძახდნენ: *„ანტონ ფერდინანდ, თვითონაც ძალიან კარგად იცი, ვინ ხარ“*. მიზეზი გასაგებია: ფერდინანდს რასიზმის კიდევ ერთი საქმე აქვს აგორებული — „ჩელსის“ კაპიტან **ჯონ ტერის** შეურაცხყოფაში სდებს ბრალს.

ტერის კიდევ დავუბრუნდებით, სტარიჯს კი „გენკის“ სტადიონზე მაიმუნი უწოდა კაცმა, რომელსაც 100-ევროიანი ბილეთი ჰქონდა ნაყიდი. სექტორი, რომელზეც მდიდარი ხალხი იჯდა, ცენტრალური ტრიბუნის ზედა ნაწილში იყო გამოყოფილი და იქ „ჩელსის“ დირექტორატის წევრების გარდა ბრძანდებოდნენ სპონსორი ფირმის, „სამსუნგის“ წარმომადგენლები, „ბრითიშ ეარვეიზის“ თავმჯდომარე **მარტინ ბრაუფტონი** და კომპიუტერული ბიზნესის გიგანტი, მულტი-მილიონერი **პიტერ ჰარისონი**. ამ სექტორში სულ 300 კაცი იჯდა, რომელთაგან ერთ-ერთს სტარიჯის მოედნის კიდესთან გამოჩენაზე დაუძახია: *„შეხედეთ, მოედანზე უკვე მაიმუნები შეჰყავთ!“*

ეს რასისტი კარგად ჩაცმული, შუა ხნის ადამიანი ყოფილა, რომელიც შემდეგ ფერდინანდის საწინააღმდეგო შეძახილებსაც აჰყოლია, ხოლო ეს ყველაფერი კლუბის აღმასრულებელ შეფ **რონ გარლისთვის** „ჩელსის“ მავან თავგადაკლულ ქომაგს ელექტრონული ფოსტით უცნობებია.

ახლა კი „ჩელსის“ კაპიტნის ამბავს დავუბრუნდეთ. 30 წლის ვარსკვლავი ამბობს, რომ ანტონ ფერდინანდთან დაკავშირებულ ისტორიაში მას მხარს მთელ მსოფლიოში უჭერენ. ის დარწმუნებულია, რომ მისკენაა ყველა მწვრთნელი და ყველა ფეხბურთელი. ამის შესახებ ნაკრებისა და დასავლეთლონდონელთა ცენტრალურმა მცველმა ინგლისისა და შვედეთის ამხანაგური თამაშის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა. კერძოდ, მან თქვა:

*„კონკრეტულად არავის დასახელება არ მინდა, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მირეკავენ და მამხნევებენ. მეუბნებიან, რომ მხარში მიდგანან. ესენი არიან ფეხბურთელები და მწვრთნელები, საფეხბურთო სამყაროს სხვა წარმომადგენლები.*

*ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. აი, ჩამოვედი ნაკრებში და ყველაფერი ძველებურად დამხვდა. ძალიან გამიხარდა, მოთამაშეებმა მხარი საჯაროდაც რომ დამიჭირეს და პირად საუბარშიც. მეგონა, ესპანეთის ნაკრებთან შეხვედრის დროს, როდესაც ინგლისის ნაკრების ფანების წინაშე პირველად გამოვჩნდებოდი, ერთი-ორი კაცი მაინც დამისტვენდა, მაგრამ ყველამ ტაში დამიკრა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, გულზეც მომეშვა“.*

სატრანსფერო ბრძოლა

# ლუკას როდრიგესის ცარცის წრე



„მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ მზად არიან ბრაზილიელი ამომავალი ვარსკვლავის, **ლუკას როდრიგესის** გამო დიდი ვაჭრობა მოაწყონ. „სან პაულუს“ 19 წლის ნახევარმცველს 20 მილიონ ფუნტს აფასებენ, ეს კი 32 მილიონ დოლარამდეა.

როგორც ინგლისური პრესა წერს, ლუკას როდრიგესი „მანჩესტერ იუნაიტედს“ **პოლ სქოულზის** მომავალ შემცვლელად ესახება. ყოველ შემთხვევაში, **ალექს ფერგიუსონი** მისგან ძლიერი ნახევარმცველის გამოყვანას შეეცდება. „ლივერპულსაც“ თავისი გეგმები აქვს და ფეხბურთელის ნაბიჯებს უყურადღებოდ არ ტოვებს.

ლუკასმა თავი სამხრეთ ამერიკის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე გამოიჩინა. ამ შეჯიბრების შემდეგ მას მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ ახალგაზრდა მოთამაშედ მიიჩნევენ. მას „სან პაულუსთან“ 2016 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ მერსისაიდელები ამას არად მიიჩნევენ და ახლა, იანვარშივე აპირებენ ტრანსფერის შეთავაზებას. სხვათა შორის, ლუკას როდრიგესის ყიდვა მარტო ინგლისურ კლუბებს როდი უნდათ. მისით დაინტერესებულები არიან იტალიური გრანდები, „მილანი“ და „იუვენტუსი“.

ინგლისის ნაკრები

# კაპელომ ბექჰემი კიდევ ერთხელ უარყო

ინგლისის ნაკრების თავკაცმა, **ფაბიო კაპელომ** ოფიციალურად განაცხადა, რომ **დევიდ ბექჰემს** ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე არ წაიყვანს. ცნობისათვის, „ლოს ანჯელეს გელექსის“ ნახევარმცველი ევრო 2012-ის დღეებში უკვე 37 წლის იქნება.



ეს, ერთი შეხედვით კარგა ხნის მივიწყებული თემა მას მერე წამოიჭრა, რაც ითქვა, რომ ბექჰემი ფორმის აღსადგენად შეიძლება „პარი სენ ჟერმენში“ გადავიდეს. როგორც ჩანს, ფეხბურთელმა ერთხელაც მოსინჯა დიდ ტურნირზე მოხვედრის შესაძლებლობა, თუმცა, როდესაც პრესკონფერენციაზე კაპელოს მის შესახებ ჰკითხეს, მწვრთნელმა უპასუხა:

*„არა, ბექჰემი ევროპის ჩემპიონატზე არ წამოვა. როგორც ვიცი, ის ლონდონის ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას“.*

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2010 წლის პირველობაზე სამხრეთ აფრიკაში ბექჰემი დაშავებული იყო, თუმცა კაპელომ მწვრთნელთა შტაბის წევრად წაიყვანა. როგორც ჩანს, იტალიელი სპეციალისტი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე იმავეს აღარ გაიმეორებს.

*„ბექჰემის ერთ-ერთ მწვრთნელად წაყვანის შესახებ არ მიფიქრია“* — ასეთი იყო კაპელოს პასუხი.

დევიდ ბექჰემმა ნაკრების შემადგენლობაში ბოლოს ორი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში, ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. მიმომხილველების აზრით, დღეს, როდესაც ინგლისურ ფეხბურთს ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ეზრდება, ეროვნული გუნდის ყოფილ კაპიტანზე ლაპარაკი აღარ შეიძლება.

# ინგლისი შეიძლება ჩემპიონის გახდეს

**ფაბიო კაპელოს** გუნდი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე, პლეიოფის ეტაპზე, მერვედფინალშივე გამოეთიშა შეჯიბრებას (გერმანიასთან წააგო 1:4), მაგრამ „არსენალის“ ფრანგ მწვრთნელ **არსენ ვენგერს** მიაჩნია, რომ ევროპის 2012 წლის პირველობაზე ამ გუნდს სიურპრიზის შემოთავაზება და ჩემპიონობა შეუძლია.

*„მე ინგლისსა და საფრანგეთს ერთ საფეხურზე დავაყენებდი — თქვა ვენგერმა — დღეს, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, რომ ერთი ან მეორე ევროპის ჩემპიონი გახდება, მაგრამ თუ ყველაფერი კარგად დაემთხვევა ერთმანეთს, მოსამზადებელი ეტაპიც კარგად წარიმართა და საუკეთესო მოთამაშეებიც კარგ ფორმაში იქნებიან, სულაც არ არის გამორიცხული, რომ გნებავთ ინგლისმა და გნებავთ საფრანგეთმა ტიტული მოიპოვოს. ასე, რასაკვირველია, ვერ ილაპარაკებ ესპანეთზე, ჰოლანდიასა და გერმანიაზე, რომლებიც ფავორიტები არიან. მათგან სწორედ, რომ გამარჯვებას ელიან. მათთან შედარებით ინგლისი და საფრანგეთი აუტსაიდერები არიან, მაგრამ საინტერესო აუტსაიდერები. დავიცადოთ, ვნახოთ, რა ჯგუფებს შეახვედრებს მათ კენჭისყრა. კენჭისყრასაც ხომ აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა“.*

შემდეგ ვენგერმა ილაპარაკა ფსიქოლოგიურ ტვირთზე, რომელიც ინგლისის ნაკრებს სულ ამძიმებს:

*„ინგლისი ყოველთვის ზეწოლის ქვეშაა. გუნდისგან ყოველთვის განსაკუთრებულ შედეგს ელიან, რაც ფეხბურთელებს წამგებიან მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ, ყველაზე სწორი მხოლოდ იმის თქმა იქნება, რომ ინგლისი კარგი გუნდია, რადგან კარგი ფეხბურთელები ჰყავს“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



მანჩესტერ იუნაიტედი

# ნანის კონტრაქტს განუახლებენ

„მანჩესტერ იუნაიტედი“ იტალიური კლუბების გააქტიურებამ შეაშფოთა და გადაწყვიტა, 24 წლის პორტუგალიელ გარემარბ **ნანის** ხელფასი გაუზარდოს — ვარსკვლავისთვის ახალი ხელშეკრულების ტექსტს ამზადებენ. დღეს ნანი კვირაში 90 ათას ფუნტს იღებს, ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კი **ნემანია ვიდიჩისა** და **რიო ფერდინანდის** რანგში ავა და მისი გასამრჯელო კვირაში 130 ათასი ფუნტი გახდება.



კერძოდ, რომელმა იტალიურმა კლუბებმა შეაშინეს ინგლისის ჩემპიონი? ყველაზე მეტად, თურმე მილანური „ინტერი“ და „მილანი“, აგრეთვე ტურინის „იუვენტუსი“ აქტიურობენ. ამის შემყურეებს „ოლდ ტრეფორდზე“ გადაუწყვეტიათ, რომ 2012 წლის დასაწყისში, როდესაც ნანისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ამჟამინდელი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 18 თვეღა დარჩება, პორტუგალიელთან ახალი კონტრაქტის გაფორმება აჯობებს. მოლაპარაკებები ნანის წარმომადგენლებთან, რომლებიც, რასაკვირველია, ხსენებული 130 ათასის წილში იქნებიან, უკვე დაწყებულია.

ცნობილია, რომ „იუნაიტედის“ თავკაცი, სერ **ალექს ფერგიუსონი** 30 მილიონ ფუნტად ანუ 35 მილიონ ევროდ შეფასებულ ნანის არავითარ შემთხვევაში არ დათმობს. მას მიაჩნია, რომ ამ გარემარბს **კრიშტიანო რონალდოს** დონეზე შეუძლია ასვლა. შეგახსენებთ, რომ ნანი ანუ სრულად **ლუიშ კარლუშ ალმეიდა და კუნია** „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ლისაბონის „სპორტინგისგან“ 2007 წელს, 18,5 მილიონ ფუნტად იყიდა.

ამბობენ, რომ პორტუგალიელის ახალი კონტრაქტი ოთხწლიანი იქნება.

არსენალი

# უილშირის სამეფო პერსპექტივა

„არსენალის“ 19 წლის ნახევარმცველი, **ჯეკ უილშირი** მადრიდის „რეალს“ მიზანში ჰყოლია ამოღებული. მადრიდიდან ინგლისში ჩაღწეულ ხმათა თანახმად, „სამეფო



კლუბს“ თურმე ევროპის კონტინენტზე ხუთი ფეხბურთელი ჰყავს შეგულებული და ყველაზე მეტად მათი შეძენა უნდა. ერთ-ერთი მათგანი უილშირი ყოფილა.

ჩრდილოლონდონელებს ვარსკვლავის გაყიდვა, რასაკვირველია, არ უნდათ და ბოლო წლებში „მესამე ესპანური ომისთვის“ ემზადებიან. შეგახსენებთ, რომ აქამდე „არსენალს“ **ტიერი ანრისა** და **სესკ ფაბრეგასის** გამო „ბარსელონასთან“ ჰქონდა უშელავათო ვაჭრობა და ბრძოლა.

ჯეკ უილშირმა, რომელიც ამჟამად დაშავებულია, 2010 წელს „მეთოფეებს“ თავისი ერთგულება ხუთწლიან კონტრაქტზე ხელმოწერით დაუდასტურა. „რეალს“ კი, როგორც ამბობენ, კარიერის მწვერვალზე მყოფი ვარსკვლავების ძვირად ყიდვა მობეზრდა (**კრიშტიანო რონალდოში** „მანჩესტერ იუნაიტედს“ 80 მილიონი ფუნტი გადაუხადა) და 20-30 მილიონის ფარგლებში დაფასებული ხუთი ახალგაზრდის შეძენას აპირებს. „სამეფო კლუბი“ იმედოვნებს, რომ 2014 წლისთვის ამ სიიდან ყველა შეძენილი ეყოლება.

მანჩესტერ სიტი

# ისევ ტევესის შესახებ

„მანჩესტერ სიტიში“ წარმოდგენა არ აქვთ, ოდესმე კიდევ შეხვდებიან **კარლოს ტევესს** თუ არა. 27 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა კარგად იცოდა, რომ ორშაბათს, კლუბის ოფისში თათბირზე უნდა გამოცხადებულიყო, სადაც მისი უნებართვოდ გაპარვის საკითხს განიხილავდნენ, მაგრამ არ გამოჩენილა. ახლა, ითვლება, რომ ის გაფიცულია.

შეგახსენებთ, რომ კლუბი ტევესისთვის სამი კვირის ხელფასის, ნახევარ მილიონ ფუნტზე მეტის დაქვითვას აპირებს და შეიძლება გააგდოს კიდეც გუნდიდან. ისტლენდელთა პრესმდივანმა განაცხადა:

*„კარლოს ტევესი არგენტინაშია. ის, როგორც ჩანს, დაბრუნებას არ აპირებს და ამიტომ აღარც ჩვენ ვაპირებთ ამ საკითხის კომენტირებას“.*

ფეხბურთელის წარმომადგენლებმა ცოტა სხვანაირი სურათი დახატეს. მათი თქმით, მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ორივენი შექმნილი სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალს ეძებენ. კერძოდ, ტევესის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა:

*„შაბათ-კვირას „მანჩესტერ სიტისთან“ ტელეფონით ბევრჯერ ვილაპარაკეთ. კარლოსი კვლავ არგენტინაშია. მხარეებს ძალიან უნდათ გამოსავალი ნახონ და თან, რაც შეიძლება მალე. სავარაუდოდ, პრობლემა უახლოეს მომავალში გადაწყდება“.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება

# ჟინოლა ჩივის



დავიდ ჟინოლას შეურაცხყოფა მიაყენეს

90-იანი წლების ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი, "პარი სენ-ჟერმენის", "ნიუკასლისა" და "ტოტენჰემის" ყოფილი ვარსკვლავი **დავიდ ჟინოლა** შეურაცხყოფილია და სასამართლოში **ჟერარ ულიეს** წინააღმდეგ ჩივილს აპირებს. საშუალო და უფროსი ასაკის გულშემატკივრებს ეხსომებათ, რომ პირველი კონფლიქტი ამ ადამიანებს შორის ბულგარეთის ნაკრებთან 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის ციკლის შეხვედრის შემდეგ მოხდა. მაშინ მატჩის ბოლო წუთებზე მან **ერიკ კანტონას** არაზუსტი პასი გადააწოდა, რომელიც სტუმრებმა ჩაჭრეს და კონტრშეტევაზე გამარჯვების გოლი გაიტანეს, რისი წყალობითაც ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩნენ. ამ მატჩის შემდეგ არც ჟინოლას და არც კანტონას "სამფეროვანთა" მაისურა აღარ მოურგიათ. რა მოხდა ამ ამბიდან 17 წლის თავზე? ულიემ წიგნი გამოუშვა, რომელსაც "სამწვრთნელო საიდუმლოებები" უწოდა და მასში რატომღაც ჟინოლას გადასწვდა და ნაძირალა უწოდა. ამის შემდეგ დავიდმა და მისმა ადვოკატმა ვეტერანი სპეციალისტის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელის აღძვრა გადაწყვიტეს. *"ორი წლის წინ ულიემ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში საჯაროდ უკვე მიაყენა შეურაცხყოფა დავიდს. მაშინ ჩვენ მას დავუკავშირდით და უმორჩილესად ვთხოვეთ, რომ საყოველთაო ეთიკური ნორმებისთვის სხვა დროს აღარ გადაეხვია. წესით, მისთვის ეს გაფრთხილება საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩანს, რომ მას ადამიანურად ლაპარაკი არ ესმის. ამჯერად ულიე ყველა ზღვარს გადასცდა. თავის დროზე სწორედ მის მიერ აგორებული კამპანიის გამო ჟინოლას ინგლისში საცხოვრებლად გადასვლა მოუხდა, რადგან რეპორტიორები მასა და მის ოჯახს გასაქანს არ აძლევდნენ. დავიდის ვაჟს ის იყო ფეხბურთზე სიარული ჰქონდა დაწყებული, ის საყოველთაო დაცინვის ობიექტი შეიქმნა. ეტყობა, ულიესთვის ესეც არ კმაროდა".*

თავად დავიდი წონასწორობას არ კარგავს და აცხადებს: *"ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სიკვდილამდე აპირებენ ჩემთვის ბულგარეთთან შეხვედრაში დაშვებული შეცდომის წამოძახებას. ეს ყველაფერი კი ნამდვილად არ იქნებოდა, რომ არა ულიეს ღვარძლიანი ფრაზები ჩემ მიმართ. ახლა კი როცა ის მარტო მე კი არა ჩემთვის ძვირფას ადამიანებსაც გადასწვდა, ამის მოთმენას აღარ ვაპირებ".*

ოფიციოზი

# პლატინი პროგრესის წინააღმდეგ და დამატებითი მსაჯების იმედად

**ყოველთვის საინტერესოა, რას ფიქრობს ამა თუ იმ საკითხზე უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი. ფრანგი ფუნქციონერი გახსნილ და საინტერესოდ მოსაუბრე ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება. თუ დროს აქვს, არასოდეს ამბობს უარს ჟურნალისტებთან ურთიერთობაზე. და აი ახლაც, ის ჩვენს კოლეგებს მილანში გამართულ პრესკონფერენციაზე უამრავ საინტერესო თემაზე დაელაპარაკა - დაწყებული ევრო 2012-ის მასპინძელი სტადიონებიდან, დამთავრებული ლიონელ მესით.**

- უკრაინა და პოლონეთი ევროპის ჩემპიონატის ღირსეულად სამასპინძლოდ მშვენივრად არიან მომზადებულნი. მასპინძელი არენები ბრწყინვალედ გამოიყურება. იმისთვის, რომ ჩემპიონატი კიდევ უფრო კომფორტული გახდეს, კიდევ ბევრი პროექტია რეალიზაციის სტადიაში. თუმცა როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ქვეყნებმა ძალიან მძიმედ გადაიტანეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ერთადერთი საკითხი, რომელიც სხვებზე მეტ ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან, გულშემატკივართა განთავსებაა. დარჩენილ რვა თვეში ამ პრობლემის ძირეულად აღმოფხვრა ძალიან ძნელი იქნება.

- ვფიქრობ, მსაჯები კარის ხაზთან მშვენიერი იდეა იყო. ჩემპიონთა ლიგაში ამ ნოვაციამ პოზიტიური შედეგები მოიტანა. ნამდვილად არ ვიცი, მიიღებენ თუ არა გადაწყვეტილებას, რათა ხუთმა არბიტრმა იმსაჯოს სხვა დიდ ტურნირებშიც. ვერაფრით ვხვდები, რატომ არ მოსწონს ეს იდეა ზეპ ბლატერს. იმიტომ ხომ არა, რომ ეს იდეა მას არ ეკუთვნის? ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. ჩემი ამ პოზიციის შესახებ ყველას მოგეხსენებათ. ვიდეო გამეორებებს მირჩევნია, რომ გადაწყვეტილება ისევ ადამიანმა მიიღოს. თუმცა მიმაჩნია, რომ არბიტრებმა ბევრად მეტი დახმარება უნდა მიიღონ თანაშემწეებისგან, ვიდრე ეს ახლა ხდება. მგონია, რომ ფეხბურთში ერთი მსაჯი საკმარისი აღარ არის.



მიშელ პლატინი

პრესკონფერენციის ბოლოს კი პლატინიმ ლამის დარწმუნებულმა თქვა, "ოქროს ბურთს" **ლიონელ მესი** მოიგებსო: *"მიმაჩნია, რომ "ოქროს ბურთის" ყველაზე ღირსეული მფლობელი ისევ ლიონელ მესია. ის ჩემს მიღწევას (ის 1983-84-85 წლებში ზედიზედ სამჯერ დასახელდა აღნიშნული პრიზის გამარჯვებულად) აუცილებლად გაიმეორებს. მერე ალბათ ამასაც არ დასჯერდება და აუცილებლად გააუმჯობესებს".*

პარი სენ-ჟერმენი

# დისკვალიფიკაცია ურჩობისთვის




პეგი ლუინდულა

"პარი სენ-ჟერმენმა" ვეტერან თავდამსხმელს **პეგი ლუინდულას** ურჩობისთვის განუსაზღვრელი ვადით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, - გვამცნობს პარიზული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. აი, რა წერია ამ განცხადებაში: *"მისმა ქმედებებმა კლუბი აიძულა, მის წინააღმდეგ დისციპლინური ტიპის სანქციებისთვის მიემართა. ლუინდულას უკვე ეცნობა, რომ ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება აღარ ექნება. მის შემდგომ ბედს სპეციალურად მოწვეული კრება გადაწყვეტს".* კონკრეტულად რა სახის ქმედებებზეა ლაპარაკი, ამას პსჟ არ იუწყება. ლუინდულას კონტრაქტს ვადა 2012 წლის ივნისში ეწურება, მაგრამ ფეხბურთელს იქამდე უქმად ჯდომა არ სურს. ის **ლეონარდოსგან** "ევიანში" ტრანსფერს ითხოვს. ლიგა 1-ის აუტსაიდერს გამოცდილი ფეხბურთელის გადაბირება ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს სურს.

ლეონარდომ უარყო ხმები, თითქოს **დევიდ ბექჰემს** პსჟ-ში გადასვლის სანაცვლოდ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ჰპირდებიან: *"თამაში ყველას უნდა, მაგრამ მინდორზე გავა მხოლოდ ის, რომ ვინც კონკრეტული მატჩისთვის უკეთეს ფორმაში იქნება. ეს ფეხბურთში დიდი ხნის დაწერილი წესია და ის ბექჰემსაც სხვებივით ეხება. დევიდი თხემით ტერფამდე პროფესიონალია და კონტრაქტზე ხელის მოწერის სანაცვლოდ ასეთ პირობას არასოდეს წამოგვიყენებდა. და საერთოდ ფეხბურთში რა გარანტიებზეა ლაპარაკი?"*

ფრანგული საკლუბო ამბები



მარუან შამახი

# უძღები შვილების გზა შინისკენ

ლიგა 1-ის აუტსაიდერმა, მე-17 ადგილზე გამაგრებულმა "ნიცამ" მთავარი მწვრთნელი 44 წლის **ერიკ რუა** თანამდებობიდან დაითხოვა. კლუბის პრეზიდენტ **ჟან-პიერ რივიერის** გადაწყვეტილებით, მის მოვალეობას დროებით მისი ყოფილი ასისტენტი **რენე მარსილია** შეასრულებს. თუმცა მუსიე ერიკი კლუბს არ დატოვებს და "ნიცას" გენერალური მენეჯერის პოსტს ჩაიბარებს.

მას შემდეგ, რაც **იან მვილამ** განაცხადა, სეზონის დასრულების შემდეგ "რენს" დავტოვებო, ფეხბურთელით დაინტერესებული კლუბები მის ტრანსფერზე საუბარს უკვე აღარ ერიდებიან. პირველი ვინც დაადასტურა, იანის გადაბირება დიახაც მსურსო, "მანჩესტერ სიტია". აქამდე მხოლოდ ზოგადი განცხადებების დონეზე იყო ცნობილი, რომ მვილას სამსახურით "არსენალი" გახლდათ დაინტერესებული. ამბობდნენ კიდევაც, "მეთოფეებმა" ნახევარმცველის შეძენა მოისურვეს, მაგრამ "რენმა" არარეალური თანხა დაასახელაო. ახლა კი საქმე ცოტა სხვაგვარად დგას: ფეხბურთელის კონტრაქტში განსაზღვრულია, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ მის მსურველს 21 მილიონის გადახდა მოუწევს. "რენს" ამაზე მეტის მოთხოვნის უფლება არ აქვს. *"ვფიქრობ, რომ მვილას ყველანაირი მონაცემი აქვს იმისთვის, რომ საფრანგეთის ნაკრებში დამკვიდრდეს. მე ის ძალიან მომწონს იმის გამო, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ინარჩუნებს ცივსისხლიანობას. დარწმუნებული ვარ, რომ მის შეძენას ზაფხულზე მარტო ჩვენ არ მოვისურვებთ,"* – განაცხადა საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა **პატრიკ ვიეირამ**, ვინც ამჟამად "მანჩესტერ სიტის" ადმინისტრაციაშია დასაქმებული.

"ბორდოს" პრეზიდენტ **ჟან-ლუი ტრიოს** თქმით, ის იანვარში "არსენალიდან" **მარუან შამახის** იჯარით გადაბირებას შეეცდება. შეგახსენებთ, რომ მაროკოელი "ემირეიტსზე" წელიწად-ნახევარია ასპარეზობს, მაგრამ ძირითადში დამკვიდრება ვერაფრით მოახერხა და ისე ჩანს, რომ მას ამის შანსი არც მიეცემა. *"რამდენჯერმე ვცადე არსენ ვენგერთან დაკავშირება და აღნიშნულ საკითხზე დალაპარაკება, მაგრამ ის ზარს არ პასუხობს. თუმცა აუცილებლად დაველაპარაკები და საკითხს უეჭველად გავარკვევ,"* – განაცხადა მუსიე ტრიომ.

**ჟერემი ტულალანისა** (ამაზე ჩვენი გაზეთი გუშინდელ ნომერში წერდა) და მარუან შამახის გარდა ლიგა 1-ში შეიძლება კიდევ ერთი "გზასაცდენილი" **ტაიე ტაივო** დაბრუნდეს. ნიგერიელი ამ ზაფხულს "მარსელიდან" "მილანში" გადაბარგდა და "როსონერის" შემადგენლობაში უბრალოდ დაიკარგა. სერია A-ს 10 ტურში მან მხოლოდ ორჯერ ითამაშა. შექმნილი მდგომარეობით 26 წლის ფეხბურთელი ძალიან უკმაყოფილოა. **მასიმო ალეგრი** მას არ ენდობა და როგორც იტალიური პრესა წერს, მაინცდამაინც არც იმის წინააღმდეგი იქნება, თუკი ფეხბურთელს თავიდან მოიშორებს. ამასობაში მისი გადაბირება საკადრო პრობლემებით გაწამებულმა "ლიონმა" მოინდომა. **რემი გარდის** გუნდის უმთავრესი პრობლემა ხომ სწორედ მოკლე სათადარიგოთა სკამია. მით უფრო, რომ "სტად დე ჟერლანიდან" წასვლა დიდი ხანია სურს "ლიონის" ძირითად მარცხენა მცველ **ალი სისოხოს**. ტაივოს სწორედ მისი ადგილის დაკავება მოუწევს. ნიგერიელს "მილანი" 5 მილიონ ევროდ აფასებს.

ბეშიქთაში




# გუტი თურქებს შეუთანხმდა

ჯერ კიდევ გუშინწინ ვრცელდებოდა ინფორმაცია **გუტისა** და "ბეშიქთაშის" გზები მალე სამუდამოდ გაიყრებაო. ის, რასაც პრესა გუშინ მხოლოდ კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით წერდა, დღეს უკვე ოფიციალურად დადასტურდა. ესპანელი ვარსკვლავი და კლუბი შეთანხმდნენ, რომ კონტრაქტი გაეწყვიტათ. მართალია ოფიციალურად ამას ურთიერთშეთანხმება ერქვა, მაგრამ ვადაზე ადრე ხელშეკრულების გაწყვეტის გამო "ბეშიქთაშმა" 35 წლის ვეტერანს 1,4 მილიონი ევრო გადაუხადა. გუტის შეეძლება მისით დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკება, მაგრამ მათთან კონტრაქტს ივნისამდე ვერ გააფორმებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. სუპერშაბათის მოლოდინში



დორტმუნდის ბორუსია – ზემოთ: ლევანდოვსკი, ბენდერი, ჰუმელსი, პიშჩეკი, სუბოტიჩი, ვაიდენფელერი. ქვემოთ: გიოტცე, შმელცერი, გიუნდოგანი, კაგავა, პერიშიჩი

# ვის არ ეშინია ამ ბაიერნის? დორტმუნდს!

## შაბათს გერმანიაში წლის მატჩია, ვნებათაღელვა უკვე დაიწყო

**მართალია, შაბათამდე კიდევ სამი დღეა დარჩენილი, მაგრამ გერმანიაში უკვე დაიწყო ვნებათაღელვა, რომელიც ბუნდესლიგის მე-13 ტურის ცენტრალური მატჩის დამსახურებაა: „ბაიერნი" მოქმედ ჩემპიონსა და უმთავრეს კონკურენტს, დორტმუნდის „ბორუსიას" უმასპინძლებს და ეს შეხვედრა არა მარტო ტურის, არამედ მთელი სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი დაპირისპირებაა. სწორედ ამიტომ, ამ შეხვედრაზე საუბარს დღეიდან ვიწყებთ. ყველაზე მთავარი ის არის, რომ რეკორდმაისტერი შესანიშნავ ფორმაშია, დორტმუნდელები კი შარშანდელზე ბევრად ცუდად ნამდვილად არ გამოიყურებიან, რაც „ალიანს არენაზე" საუკეთესო საფეხბურთო სანახაობის გარანტიაა.**

### ბაიერნი: ყველაზე მაგარი – თუ არა?

ყველაზე მეტი გატანილი გოლი (32), ყველაზე ნაკლები გაშვებული (4), ყველაზე მეტი მატჩი გაშვებული გოლის გარეშე (9), ზუსტი პასების საუკეთესო მაჩვენებელი (88 პროცენტი), მოგებული ორთაბრძოლების საუკეთესო მაჩვენებელი (54.2 პროცენტი), ყველაზე მეტი ზუსტი ჩაწოდება (28.2 პროცენტი), ყველაზე ნაკლები ზუსტი დარტყმა საკუთარ კარში (2.0 საშუალოდ ერთ მატჩში) – მიუნხენის „ბაიერნი" ბუნდესლიგის სტატისტიკის კატეგორიების აბსოლუტურ უმრავლესობაში ლიდერობს. ერთადერთი რამ, რითაც ბავარიული გიგანტი დიდად ვერ დაიკვეხნის, 12 ტურის შემდეგ მოპოვებული 28 ქულაა – მართალია, ეს სულაც არ არის ცუდი შედეგი, მაგრამ 2005/2006 წლებში რეკორდმაისტერს 12 ტურის შემდეგ 31 ქულა ჰქონდა, რაც ბუნდესლიგის ისტორიაში საუკეთესო შედეგია და სხვათა შორის, ეს მიღწევა წინა სეზონში დორტმუნდის „ბორუსიამ" გაიმეორა. გარდა ამისა, „ბაიერნს" ეკუთვნის პირველი წრის რეკორდიც: 44 ქულა 17 ტურის შემდეგ, რაც მიუნხენელებმა ასევე 2005/2006 წლების სეზონში დაამყარეს და ამ მიღწევას წელს ნაღდად ვერ გაიმეორებენ. ასე რომ, მიუნხენური გრანდის ქომაგებს შეუძლიათ, ბევრი რამით იამაყონ, მაგრამ არა ყველაფრით...

ალსანიშნავია, რომ „ბაიერნის" კონკურენტებსაც არ სძინავთ. მაგალითად, საკმარისია, ბავარიელებმა დორტმუნდელებთან წააგონ, რომ მოქმედი ჩემპიონი რეკორდმაისტერს ორი ქულის დისტანციაზე მიუახლოვდება და სხვათა შორის, ასევე მიუახლოვდება „გლადბახისა" და „ვერდერის" დაპირისპირებაში გამარჯვებულიც. თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ბაიერნმა" ზედიზედ ხუთი საშინაო მატჩი მოიგო და ამ ხუთ შეხვედრაში ბურთების იდეალური შეფარდება (24:0) დააფიქსირა, ფაქტია, რომ **იუპ ჰაინკესის** შეგირდებს არაფრის უნდა ეშინოდეთ.

„ბაიერნის" უმთავრესი პლუსი ამ სეზონში პირველ ტაიმში ეფექტურობაა. სტატისტიკის მიხედვით, რეკორდმაისტერი პირველი სამი საგოლე მომენტიდან უმეტესად ორს იყენებს. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ: პირველ 30 წუთში მიუნხენელებს 14 გოლი აქვთ გატანილი და აქედან, 8 გოლი სულაც პირველ 15 წუთში გაიტანეს. ეს ორივე მაჩვენებელი კი საუკეთესოა ბუნდესლიგაში. თანაც, როცა „ბაიერნი" ანგარიშს ხსნის, შეხვედრა არა მარტო გამარჯვებამდე მიჰყავს, არამედ მეტოქეებს უმეტესად ანადგურებს. ფაქტია, რომ რეკორდმაისტერმა ანგარიში ცხრა შეხვედრაში გახსნა და ცხრავე მოიგო. სამაგიეროდ, მიუნხენელებმა პირველი გოლი საკუთარ კარში ორჯერ მიიღეს და ორივე შემთხვევაში დამარცხდნენ („გლადბახთან" და „ჰანოვერთან"). დაკვირვებული თვალი დაითვლიდა და იტყვის, ერთი მატჩი გამოგრჩათო – ის ერთი შეხვედრა „ჰოფენჰაიმთან" 0:0 დასრულდა.

დორტმუნდის „ბორუსიას" შაბათს არც იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ სანაკრებო პაუზა „ბაიერნს" რამეს ავნებს: ამ სეზონში, სანაკრებო პაუზების შემდეგ რეკორდმაისტერმა სამი მატჩი ჩაატარა და სამივე მშრალი ანგარიშით მოიგო – „ვოლფსბურგთან" 1:0, „ფრაიბურგთან" 7:0 და „ჰერტასთან" 4:0. ამასთან, „დორტმუნდისთვის" ყველაზე დიდ საფრთხეს უდავოდ **მარიო გომესი** წარმოადგენს, რომელსაც ამ სეზონში 18 ოფიციალურ მატჩში 20 გოლი აქვს გატანილი...

თუმცა გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ფრაიბურგივით" ან „ჰერტასავით" სუსტი არ არის და ჩვენც თამამად უნდა ვთქვათ, რომ შაბათის სუპერმატჩში უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ვინ მოიგებს მოედნის ცენტრს. გასულ სეზონში „ბორუსიამ" მიუნხენში 3:1 რომ მოიგო, იმ მატჩში სწორედ „ბაიერნის" საყრდენმა ნახევარმცველებმა „ჩაისვარეს". აი, ამით კი რეკორდმაისტერის უმთავრეს პრობლემას მივადექით: **ბასტიან შვაინშტაიგერი** ტრავმირებულია და „დორტმუნდთან" ნაღდად ვერ ითამაშებს, უკრაინელი **ანატოლი ტიმოშჩუკი** კი დისკვალიფიცირებული გახლავთ. ამრიგად, ჰაინკესი იძულებული იქნება, საყრდენებად **ლუის გუსტავო** და ახალგაზრდა **დავიდ ალაბა** გაამწესოს. ეს კი „ბორუსიასთვის" უდავოდ შანსია!

თუ მიუნხენელებს გაუმართლათ და **არიენ რობენმა** გამოჯანმრთელება მოასწრო, ჰოლანდიელი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს და **თომას მიულერი** გამთამაშებლის პოზიციაზე გადაინაცვლებს, რაც ჰაინკესს **ტონი კროოსის** საყრდენად დახევის უფლებას მისცემს და შესაბამისად, „ბაიერნის" ნახევარდაცვის ცენტრში გამოუცდელ ალაბას აღარ ვიხილავთ.

### დორტმუნდი: ბაიერნის მოსამართლე

ექსპერტებსა და მიმომხილველებს ხშირად რაღაც-რაღაცები გვავიწყდება ხოლმე... ახლავე აგიხსნით, რისი თქმაც გვინდა: გასული სეზონის წინ გერმანიაში აბსოლუტურად არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ დორტმუნდის „ბორუსია" გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. აქედან გამომდინარე, **იურგენ კლოპის** გუნდის გაჩემპიონებამ საკმაოდ დიდი სენსაცია იყო. მიუხედავად ამისა, ამ სეზონის დასაწყისში ბევრი მიიჩნევდა, რომ დორტმუნდელთა არასახარბიელო სტარტი მოულოდნელი იყო. ნუთუ „ბორუსიას" სენსაციურმა ჩემპიონობამ რეალობის შეგრძნება ყველას დააკარგვინა? ნუთუ „ვერცხლის სინის" დორტმუნდში დასახლებამ ყველას დაავიწყა, რომ კლოპს ბუნდესლიგაში ჯერაც ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავს? რომ გასულ სეზონში BVB-ს **ნური შაჰინის** სახით მთელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ჰყავდა, რომელიც ზაფხულში „რეალში" გადავიდა? რომ სეზონის დასაწყისში გუნდის ტოპ-თავდამსხმელი **ლუკას ბარიოსი** ტრავმირებული იყო? და რომ საკმაოდ გამოუცდელ გუნდს ბუნდესლიგის ყოველდღიურობასთან ერთად ჩემპიონთა ლიგის სახით მეორე ფრონტიც დაემატა? როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მართლაც ყველას დაავიწყდა. ბარიოსის ტრავმის, შაჰინის წასვლისა და სამმაგი დატვირთვის გათვალისწინებით, დორტმუნდელთა შედეგები ამ სეზონში ძალიან კარგია. რაც უნდა იყოს, 12 ტურის შემდეგ დორტმუნდელები „ბაიერნს" მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩებიან და ესეც რომ არ იყოს, „ბორუსია" გაცილებით სტაბილურია, ვიდრე რეკორდმაისტერის სხვა მდევრები – „ვერდერი", „გლადბახი" და „შალკე".

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **შინჯი კაგავა**, **კევინ გროსკროიტცი** და **მარსელ შმელცერი** სეზონის პირველ მესამედში ცუდ ფორმაში იყვნენ, ბარიოსმა და **ნევენ სუბოტიჩმა** კი ლაზარეთში ამოჰყვეს თავი, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ დორტმუნდელები ჩემპიონთა ლიგაში ცუდად გამოიყურებიან და 4 ტურის შემდეგ, მერვედფინალში გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი აქვთ. სამაგიეროდ, „ბორუსია" გერმანიის ჩემპიონატში გამოსწორდა და მიუხედავად იმისა, რომ „ნიურნბერგიდან" ნაყიდმა **ილქაი გიუნდოგანმა** შაჰინის წასვლით შექმნილი სიცარიელე ვერ ამოავსო, გუნდი 12 ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და ისევ თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობს. კარგია ისიც, რომ ტრავმირებული ბარიოსი პოლონელმა **რობერტ ლევანდოვსკიმ** სრულფასოვნად შეცვალა, ახალწვეული **ივან პერიშიჩი** კლოპის მთავარი ჯოკერია და დორტმუნდში **მორიტც ლაიტნერის** სახით გამოჩნდა კიდევ ერთი ახალგაზრდა სახე, რომელიც, თუ ასე გააგრძელა, ნახევარდაცვაში შეუცვლელი ფიგურა გახდება.

მოკლედ, კლოპის გუნდი გარკვეულწილად მომწიფდა და არც ყველაზე მთავარი უნდა დაგვავიწყდეს: ერთადერთი გუნდი ბუნდესლიგაში, რომელსაც შესანიშნავ ფორმაში მყოფი „ბაიერნის" არ ეშინია, სწორედ დორტმუნდის „ბორუსიაა"...

● შემთხვევა

# ნოიერი გაქურდეს!

## მანუს სახლიდან ათიათასობით ევროს ღირებულების ნივთები წაიღეს



მანუელ ნოიერი

პარასკევს, მიუნხენის ბინაში დაბრუნებულ **მანუელ ნოიერს** სახლში ყველაფერი თავდაყირა დახვდა – „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების 25 წლის მეკარე გაქურდეს. პოლიციამ დეტალები არ გაახმაურა, „ბილდის" ინფორმაციით კი, მანუს სახლში, სადაც ის მეგობარ გოგონასთან ერთად ცხოვრობს, ქურდი თუ ქურდები პარასკევ საღამოს ღია ფანჯრიდან გადაძვრნენ და ძვირფასი ნივთები (კატრინის ოქროულობა, მანუს საათები და ა.შ) გაიტანეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ნოიერმა რამდენიმე ათეული ათასი ევროს ოდენობის ზარალი ნახა.

ალსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს ფეხბურთელების გაქურდვის შემთხვევები გახშირდა. ცოტა ხნის წინ, ნეაპოლში „ნაპოლის" ლიდერ **ედინსონ კავანის** ბინა „დაცალეს", გერმანიაში კი ასეთი ფაქტი ბოლოს ზუსტად ერთი წლის წინ მოხდა, როცა იმ დროს „ლევერკუზენის" თავდამსხმელ **პატრიკ ჰელმესს**, რომელიც დღეს „ვოლფსბურგში" თამაშობს, ავტოფარეხიდან „პორშე" მოჰპარეს. 2010 წლის აგვისტოში ქურდობის მსხვერპლი „შალკეს" ხორვატი ნახევარმცველი **ივან რაკიტიჩი** (ახლა სევილიაშია) გახდა. ამ შემთხვევამდე რაკიტიჩს არაერთხელ დაემუქრნენ, რის გამოც შეშინებული ხორვატი მაშინ საცხოვრებლად დიუსელდორფში გადავიდა...

● ჰამბურგი

# იაროლიმის ეპოქა მთავრდება

## გამოცდილი ნახევარმცველი ალბათ ზამთარშივე წავა



დავიდ იაროლიმი ჰამბურგში 2003 წლიდან თამაშობს

ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი, ჩეხი ნახევარმცველი **დავიდ იაროლიმი** სავარაუდოდ ზამთარში „ჰამბურგს" გამოეთხოვება. ეს ინფორმაცია გუშინ გავრცელდა და გუშინვე, ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** ოფიციალურად დაადასტურა.

*„მან „ჰამბურგისთვის" ბევრი გააკეთა და ღირსეულად უნდა გავაცილოთ. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, მზად ვართ, ზამთარში უფასოდ დავთმოთ,"* – განაცხადა არნესენმა.

32 წლის იაროლიმი „ჰამბურგში" 2003 წლიდან თამაშობს და მას მერე, HSV-ის მაისურით ბუნდესლიგაში 242 მატჩი (14 გოლი) ჩაატარა. მიმდინარე სეზონში კი მას მხოლოდ შვიდ შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ჰამბურგელთა ახალი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** არ მალავს, რომ გუნდის ექსკაპიტანი აღარ სჭირდება. მის ხელში იაროლიმმა მხოლოდ ერთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მაშინაც შეცვლაზე ითამაშა. არნესენის თქმით, იაროლიმს 2-3 წლის შემდეგ, როცა კარიერას დაამთავრებს, „ჰამბურგში" ბავშვთა მწვრთნელად მუშაობას შესთავაზებენ.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლაციოს პოდოლსკიც უნდა!

იტალიური გაზეთის, „კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, რაკი **მიროსლავ კლოზეს** ტრანსფერმა გაამართლა, რომის „ლაციო" ახლა მეორე გერმანელ თავდამსხმელს, **ლუკას პოდოლსკისაც** უმიზნებს. პოლდი „კიოლნში" მაინცდამაინც ბედნიერი არ არის და არ მალავს, რომ მუდმივად გადარჩენისთვის ბრძოლა ყელში ამოუვიდა. ამავდროულად, ლუკასს „კიოლნიდან" წასვლას და ძალების გერმანიის საზღვრებს გარეთ მოსინჯვას გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვიც** ურჩევს, რომელსაც მიაჩნია, რომ პოდოლსკი ამისათვის უკვე მზადაა.

ჩვენი იტალიელი კოლეგები კი წერენ, რომ პოდოლსკი „ლაციოს" სპორტული დირექტორის, **იგლი ტარეს** ყველაზე სასურველი ფეხბურთელია. ალბანელს უნდა, რომ რომაულ კლუბში მიროსა და ლუკასის ის შესანიშნავი დუეტი ალადგინოს, რომელიც წლების წინ გერმანიის ნაკრებში ყველას აღაფრთოვანებდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



კლოზე-პოდოლსკის ტანდემი შესაძლოა რომში აღდგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● იუვენტუსი

# დელ პიერო მინიმუმ 40 წლამდე



ალესანდრო დელ პიერო

არაერთხელ გაცნობეთ, რომ **ალესანდრო დელ პიეროსთვის** მიმდინარე სეზონი უკანასკნელია "იუვენტუსის" შემადგენლობაში. 38 წლის ლეგენდარულ ათიანს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს უნდა დაეტოვებინა ტურინული გრანდი, მაგრამ მაშინ კლუბის მესვეურებს ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივება სთხოვა და თანხმობაც მიიღო.

ალეს ძალიან უნდოდა "იუვეს" ახალ სტადიონზე ეასპარეზა და კონტრაქტიც ამად გახანგრძლივდა. კლუბის პრეზიდენტს **ანდრეა ანიელის** თქმით, ხელშეკრულების ვადა გადახედვას აღარ ექვემდებარება და სეზონის ბოლოს დელ პიერო უკვე "იუვენტუსის" ექსფეხბურთელი გახდება. ანიელის არც იმის თქმა დავიწყებია, რომ თუ პინტურიკიო კარიერის დასრულებას ამ ზაფხულსვე გადაწყვეტს, კლუბის დირექტორატში აუცილებლად დასაქმდება. აქამდე უცნობი იყო, რა სურდა თავად ფეხბურთელს, გუშინ კი დელ პიერო ალაპარაკდა და შემდეგი განაცხადა:

*"შეთანხმების თანახმად, "იუვენტუსი" მომავალ ზაფხულს უნდა დავტოვო და როგორც ვიცი, ეს საკითხი გადახედვას არ ექვემდებარება. ძალიან გამიჭირდება "ბინკონერის" დატოვება, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და მათ შორის ჩემს "იუვეში" ასპარეზობასაც. დავასრულებ თუ არა კარიერას? – არავითარ შემთხვევაში. მუხლი ჯერ კიდევ მიჭრის, ფეხბურთის თამაში არ მომბეზრებია და აუცილებლად ვიპოვი ახალ გუნდს, სადაც ჩემი სამსახური დასჭირდებათ. უფრო კონკრეტულს დღეს ვერაფერს გეტყვით, ბოლოს კი დავძენ, რომ მინიმუმ 40 წლამდე კარიერის დასრულებაზე არც კი ვიფიქრებ".*

**ლაშა ნიკლაური**

● ინტერი

# კლაუდიო რანიერი ავტორიტეტებს არ ცნობს

სერია A-ში "ინტერის" კატასტროფული სტარტის შესახებ იტალიურ პრესაში ძალიან ბევრი იწერება. ჩემპიონატის დაწყებიდან 10 ტურია გასული, იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს 9 შეხვედრა აქვს ჩატარებული და მხოლოდ 8 ქულა მოგროვილი, სატურნირო ცხრილში კი ბოლოდან მეოთხე ადგილი უკავია. "ნერაძურის" რომ დიდი პოტენციალი აქვს, ამაზე ყველა თანხმდება, მაგრამ მას სწორი გამოყენება სჭირდება, რაც ჯერჯერობით არ ჩანს. **კლაუდიო რანიერი** ვერაფრით გაერკვა ვითარებაში და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება მალე პოსტის დატოვება მოუხდეს. სანამ ფეხბურთელები სანაკრებო შეკრებებზე გაემგზავრებოდნენ, რანიერის მთელი გუნდი შეუკრებია და საკმაოდ დიდ ხანს, მკაცრი ტონით უსაუბრია. ჟურნალისტთა მტკიცებით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაც მან განაცხადა, ხელშეუხებელი ფეხბურთელების არ არსებობას ეხებოდა. რანიერის პირდაპირ უთქვამს, პრივილეგიებით არავინ სარგებლობს და ვინც სათანადო ფორმაში არ იქნება, აუცილებლად სათადარიგოთა სკამზე გავამწესებო. როგორც ჩანს, რანიერის სიტყვებს კონკრეტრული ადრესატი ჰყავდა, მაგრამ ვინ? – ამის შესახებ "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს საინტერესო მოსაზრება აქვს...

ლაპარაკია არა ერთ, არამედ რამდენიმე ფეხბურთელზე, რომლებიც გასახდელში ყოჩობენ და თანაგუნდელებს შორის დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობენ – ლაპარაკია **დიეგო მილიტოზე, ესტებან კამბიასოსა** და **ვესლი სნეიდერზე**. თურმე, ალნიშნული ტრიოს ასპარეზობით რანიერი უკმაყოფილოა და ცდილობს, ვითარება რაც შეიძლება მალე გამოასწოროს. "გაძეტას" ვარაუდით, ეს კრება შესაძლოა გუნდში ახალი განხეთქილების საბაბი გახდეს – აქამდეც ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ რანიერისა და მილიტოს შორის ისედაც დაპირისპირებაა. რა გაგრძელება მოჰყვება ამ ამბავს, ძნელი სათქმელია. არ არის გამორიცხული, უკვე მომდევნო შეხვედრაში ჩამოთვლილი ფეხბურთელები ძირითადს მიღმა დარჩნენ.

**ლაშა ნიკლაური**



არც მთლად ასეა საქმე




● მილანი

# ინძაგი წასვლით იმუქრება



ფილიპო ინძაგი

"მილანის" 38 წლის ფორვარდი **ფილიპო ინძაგი** ძალიან უკმაყოფილოა ამჟამინდელი ყოფით და იმუქრება, თუ ვითარება არ შეიცვალა, მილანურ გრანდს აუცილებლად დავტოვებო. **კარლო ანჩელოტისა** და **ლეონარდოს** ფორმაციის "მილანში" პიპოს ადგილი ყოველთვის მოიძებნებოდა, **მასიმილიანო ალეგრი** კი არ სწყალობს და სწორედ ეს გახლავთ ინძაგის უკმაყოფილების მიზეზი. პიპოს თქმით, მას კარგად ესმის, რომ საუკეთესო წლები უკან მოიტოვა, მაგრამ სანამ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას გადაწყვეტს, იქამდე თამაში და მხოლოდ და მხოლოდ თამაში სურს:

*"მე ფეხბურთელი ვარ, მიყვარს ჩემი საქმე და მინდა, რაც შეიძლება ხშირად მიწევდეს მოედანზე გასვლა. მესმის, რომ იმ ასაკში აღარ ვარ, მაგრამ თამაში ჯერ კიდევ უმაღლეს დონეზე შემიძლია. "მილანის" კალიბრის გუნდში ძალიან ძნელია მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ მთლად ასე უფეხბურთოდ გაჩერებაც უკვე შეუძლებელია. პრაქტიკულად არ მიწევს თამაში და ისღა დამრჩენია, რომ სხვაგან წასვლაზე ვიფიქრო – არადა, "როსონერი" ჩემი მეორე ოჯახია და ძალიან მინდა, კარიერა სწორედ აქ დავასრულო".*

**ლაშა ნიკლაური**

● უდინეზე



"უდინეზე" ცხრილს სათავეში უდგას

# პოცო: ზამთარში გავძლიერდებით

ბევრისთვის მოულოდნელად, სერია A-ს მიმდინარე გათამაშება „უდინეზემ" შესანიშნავად დაიწყო და „ლაციოსთან" ერთად სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას. „ბიანკონერი" ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მაინცდამაინც არ გაძლიერებულა, პირიქით, **ალექსის სანჩესს** და **გეკჰან ინლერს** შეელია, შესაბამისად, ასეთ კარგ ასპარეზობას მათგან ვერავინ წარმოიდგენდა. კლუბის პრეზიდენტი **ჯამპაოლო პოცო** განვითარებული მოვლენებით ძალიან კმაყოფილია და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გულშემატკივრებს გაძლიერებას ჰპირდება:

*„ტიფოზთა ნაწილი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ ზაფხულში დიდად არ ვიაქტიურეთ, მაგრამ დამიჯერეთ, ამას ჰქონდა თავისი ახსნა. მთავარ მწვრთნელთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ ეტაპზე არ იყო საჭირო ბევრი ფეხბურთელის გადაბირება. პრიორიტეტული მიზანი გუნდის ერთ მუშტად შეკვრა და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება გახლდათ, რაც შესანიშნავად გამოგვივიდა. გუნდში ერთსულოვნებაა და სწორედ ეს არის წარმატების საწინდარი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზამთარში ფეხბურთელების გადაბირებაზე უარს ვიტყვით. მიუხედავად იმისა, რომ კარგი სტარტი ავიღეთ, გამოჩნდა რგოლები, რომელთაც გაძლიერება არ აწყენდათ და ამ მიმართულებით აუცილებლად ვიმუშავებთ".*

**ლაშა ნიკლაური**

● პალერმო

# მიკოლი არსად არ მიდის

იტალიურ პრესაში ძალიან ბევრი იწერებოდა **ფაბრიციო მიკოლის** "პალერმოდან" რომელიმე სხვა გუნდში გადაბარგების შესახებ, თუმცა ალნიშნული ტრანსფერი ჯერჯერობით არ შედგა. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ არც შედგება, რადგან 32 წლის ფეხბურთელი ძალიან კარგად გრძნობს თავს სიცილიაში და არსად წასვლას არ აპირებს:

*"ჩემ შესახებ პრესაში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს მხოლოდ ჭორებია. "პალერმომ" ძალიან ბევრი რამ მომცა და სიმართლე გითხრათ, არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. მეტიც, ვფიქრობ, რომ შესანიშნავი იქნებოდა კარიერა სწორედ სიცილიურ კლუბში დამესრულებინა. მიზნად ევროსაგზურის მოპოვება გვაქვს დასახული და მჯერა, რომ ამას აუცილებლად შევძლებთ. მართალია, სალვატორე სირიგუსა და ხავიერ პასტორეს სახით ძლიერმა ფეხბურთელებმა დაგვტოვეს, მაგრამ მათ გარეშეც შეგვიძლია წარმატებების მიღწევა და ამას აუცილებლად დავამტკიცებთ".*

**ლაშა ნიკლაური**



ფაბრიციო მიკოლი

● ბარსელონა

# ბარსას ბრაზილიელი დააკლდა

„ბარსელონამ" 10 დღით დაკარგა ბრაზილიელი **ადრიანო კორეია**. 27 წლის განაპირა მცველმა კუნთი ბრაზილიის ნაკრების ვარჯიშზე დაიზიანა, რის გამოც ველარ ითამაშა ეგვიპტესთან 2:0 მოგებულ ამხანაგურ მატჩში. ადრიანო ლა ლიგის მომავალი ტურის მატჩთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მატჩს გამოტოვებს „სან სიროზე" „მილანის" წინააღმდეგ.

ადრიანო „ბარსაში" 2010 წელს „სევილიადან" მოხვდა, ამ სეზონში ყველა ტურნირში ადრიანომ 14 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ევრო 2012 პლეი ოფის საპასუხო მატჩები

**15 ნოემბერი**

**ხორვატია 0**
**თურქეთი 0**

პირველი მატჩი 3:0

**ხორვატია (4-4-2):** პლეტიკოშა - ვიდა, შილდენფელდი, შიმუნიჩი, პრანიჩი - სრნა, ვუკოევიჩი (88. ედუარდო), მოდრიჩი, რაკიტიჩი - ოლიჩი (61. პერიშიჩი), მანჯუკიჩი (78. იელავიჩი).

**თურქეთი (4-3-2-1):** ბოლათი - ბალჩი, თოპრაკი, კორკმაზი, კოიბაში - ჰამით ალთინთოპი (71. უ. ბულუთი), ინანი, ს. შაჰინი - ქაზიმ ქაზიმი, ერკინი (36. ტორე) - ბულუთ ილმაზი.

**გაფრთხილება:** ვიდა, მანჯუკიჩი - ერკინი, ბალჩი, კორკმაზი, ალთინთოპი, ინანი

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-7 (5-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 30 000

**15 ნოემბერი**

**ჩერნოგორია 0**
**ჩეხეთი 1**

პირველი მატჩი 0:2

**ჩერნოგორია (4-4-2):** მ. ბოჟოვიჩი - პავიჩევიჩი, ძუდოვიჩი, სავიჩი, ვ. ბოჟოვიჩი (79. დიაკოვიჩი) - ბეჩირაი (58. დელიბაშიჩი), ზვეროტიჩი, დრინჩიჩი, დამიანოვიჩი (76. ვუკჩევიჩი) - ვუჩინიჩი, იოვეტიჩი.

**ჩეხეთი (4-2-3-1):** ჩეხი - სელასიე, ჰუბნიკი, შივოკი, კადლეცი - პლაშილი, ჟირაჩეკი - რეჟეკი (66. პოშპეხი), როსიცკი, პილარი (69. კოლარი) - პეხარტი (84. ბაროში).

**გოლი:** 0:1 ჟირაჩეკი (81)

**გაფრთხილება:** დამიანოვიჩი, პავიჩევიჩი, ვუჩინიჩი, დრინჩიჩი, სავიჩი - ბაროში, შივოკი

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 19-10; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 11-4 (4-2); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 12 000

**15 ნოემბერი**

**ირლანდია 1**
**ესტონეთი 1**

პირველი მატჩი 4:0

**ირლანდია (4-4-2):** გივენი - სტ. ლედჯერი, დანი, ოში, უორდი - დაფი (79. ფეჰეი), უელანი, ედნრიუზი, ჰანტი (59. მაკგიდი) - კინი (67. კოქსი), დოილი.

**ესტონეთი (4-4-2):** ლონდაკი - იააგერი, რანი, კლავანი, კრუგლოვი (18. პური) - ტენისტე, ვუნკი, ვასილიევი, ლინდპერე (54. კინკი) - სააგი, ვოსკობოინიკოვი (72. პურიე).

**გოლები:** 1:0 უორდი (32), 1:1 ვასილიევი (57)

**გაფრთხილება:** რანი, ვუნკი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 10-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 12-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 51 152

**15 ნოემბერი**

**პორტუგალია 6**
**ბოსნია 2**

პირველი მატჩი 0:0

**პორტუგალია (4-1-4-1):** რუი პატრისიო - ჟ. პერეირა, ბრუნო ალვეში, პეპე, კოენტრაო - ველოზო - ნანი (83. ქვარეჟმა), მეირელეში (63. რუბენ მიკაელი), მოუტინიო, რონალდო - პოშტიგა (84. მარტინში).

**ბოსნია (4-2-3-1):** ბეგოვიჩი - ზაჰიროვიჩი, იაჰიჩი, სპაჰიჩი, პაპაცი - რაჰიმიჩი (56. მალეტიჩი), მედუნიანინი - პიანიჩი (66. ბეშიჩი), მიშიმოვიჩი, ლულიჩი - ჯეკო.

**გოლები:** 1:0 რონალდო (8), 2:0 ნანი (24), 2:1 მიშიმოვიჩი (41), 3:1 რონალდო (53), 3:2 სპაჰიჩი (65), 4:2 პოშტიგა (72), 5:2 ველოზო (80), 6:2 პოშტიგა (82)

**გაფრთხილება:** პოშტიგა, კოენტრაო, მიკაელი - სპაჰიჩი, რაჰიმიჩი, მედუნიანინი, ჯეკო, პაპაცი

**გაძევება:** ლულიჩი (54)

**კუთხური:** 10-0; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 15-3 (9-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 45 000

# ხორვატია, ირლანდია, ჩეხეთი, პორტუგალია



# ესეც ევრო 2012!

მაშ ასე, ევრო 2016-ის 16-ვე მონაწილე ცნობილია. პოლონეთ-უკრაინაში ყველა ადგილი დაჯავშნილია! რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთხელ ვერ შეძლო მიზნის მიღწევა, თუმცა თავიდან **თემურ ქეცბაიას** გუნდის შედეგებმა (და არა თამაშის ხარისხმა) ამის იმედი გაგვიჩინა. სამწუხაროდ, შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც წარსულში არაერთხელ. რას ვიზამთ, კიდევ ერთ დიდ საფეხბურთო ზეიმს უნდა ვუყუროთ ნეიტრალური გულშემატკივრის თვალით.

რა გველის უახლოეს მომავალში?

2 დეკემბერს კიევის უკრაინის ხელოვნებათა სასახლეში ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართება და წინასწარ 4 კალათში განაწილებული ნაკრებები A, B, C და D ჯგუფებში მოხვდებიან. პირველ კალათში გარანტირებული აქვთ ადგილი თანამასპინძლებსა (უკრაინა, პოლონეთი) და მოქმედ ჩემპიონებს (ესპანეთი).

მაშ ასე - ისინი ითამაშებენ ევრო 2012-ზე:



ევრო 2012-ის ორი თილისმა: პოლონელი სლავეკი და უკრაინელი სლავკო

| I კალათი |
|---|
| პოლონეთი (A ჯგ) |
| უკრაინა (D ჯგ) |
| ესპანეთი |
| ჰოლანდია |

| III კალათი |
|---|
| ხორვატია |
| საბერძნეთი |
| შვედეთი |
| პორტუგალია |

| II კალათი |
|---|
| გერმანია |
| იტალია |
| ინგლისი |
| რუსეთი |

| IV კალათი |
|---|
| დანია |
| საფრანგეთი |
| ჩეხეთი |
| ირლანდია |









ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

სამბო. პრესკონფერენცია

# სამბისტებმა მსოფლიო შეაჯამეს

## ჭიდაობა ქართული: წარმატების საწინდარი

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გუშინ პრესკონფერენცია გამართეს მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა სამბისტებმა.**

შეგახსენებთ, რომ ვილნიუსში გამართულ ამ ტურნირზე ჩვენმა ვაჟებმა 1 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს, ქალებმა - 1 ბრინჯაო. გუნდურჩათვლაში ჩვენები მესამე ადგილზე გავიდნენ. რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული **ავთანდილ ცინცაძემ** დაგვიბრუნა (52), **უშანგი კუზანაშვილმა** (57) და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) ფინალური შეხვედრები დათმეს, **ნიკო კუცია** (820 და **დავით ლორიაშვილი** (+100) კი მესამეზე გავიდნენ. ქალებში მედალი **ნინო ოძელაშვილმა** (72) მოიპოვა, რომელიც ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონიცაა. ოძელაშვილის მედალი პირველია ქართველ მოჭიდავე ქალთათვის, ცინცაძის ოქრო კი ერთადერთია წლევანდელი ქართული სპორტისთვის როგორც ოლიმპიურ, ასევე ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულ არაოლიმპიურ სახეობებში. ალსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებისთვის ცინცაძემ წონა დაიკლო და 57-დან 52-ში ჩამოინაცვლა, კუზანაშვილი კი ამ რანგის პირველობაზე პირველად გამოდიოდა ახალ წონაში. სამბოში დებიუტი ჰქონდათ ძიუდოისტებს - ლორიაშვილსა და ჟორჟოლიანს, რამაც წარმატებით ჩაიარა. ჩემპიონატი მთავარი მწვრთნელის რანგში სადებიუტო იყო სამბოს ფედერაციის პრეზიდენტ **თემურ გიორგაძისთვისაც.**

ოძელაშვილთან დაკავშირებით ხაზი გაუსვეს იმას, რომ ქართული მენტალიტეტისთვის ჯერაც უცხოდ რჩება მოჭიდავე ქალი და ის წარსულში ცნობილ ქალ ფალავანს **ანა ბაჯის (ბაჯიაშვილს)** შეადარეს. სამბოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ჩვენმა კოლეგამ **გაბრიელ ბარჯაძემ კი** 1859 წლის ფოტო გაიხსენა, რომელზეც მსოფლიოს გამოჩენილი მოჭიდავე ქალები ყოფილან ალბეჭდილნი. მათ შორის - ვინმე თამარ ბაგრატიონიც. თუ ჭიდაობას სამეფო ოჯახშიც ასე აფასებდნენ, ჩვენი მენტალიტეტისთვის ქალთა ჭიდაობა მთლად უცხოც არ ყოფილა, თუმცა ბაგრატიონთა ყველა შტო სულაც არ მიეკუთვნებოდა დიდგვაროვნებს.

პრესკონფერენციაზე ლიტვური პერიპეტიები ფედერაციის პრეზიდენტმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ გიორგაძემ გაიხსენა, რომელმაც ეს წარმატება სხვა ფაქტორებთან ერთად ჩემპიონატზე მსაჯთა წარმომადგენლობის გაზრდასაც დაუკავშირა - **ემილ რაშთან** ერთად იქ **ოთარ ყურაშვილიც** მსაჯობდა, რაში კი სულაც ტურნირის მთავარი მსაჯი იყო. გიორგაძემ სამბოს გეოგრაფიისა და კონკურენციის ზრდაზეც ილაპარაკა, მერე კი იმ სპორტსმენებზეც თქვა, რომლებსაც ლიტვაში სათანადო მონდომება ვერ შენიშნა და მათი ჩანაცვლების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

*„პირველივე დღეს მოპოვებული ოქრო ძალიან მნიშვნელოვანი დასაწყისი იყო - ასეთი შედეგი რუსებსაც არ ჰქონდათ. მეორე დღესაც ძალიან დიდი შანსი გვქონდა ჩემპიონობის, მაგრამ ჭიდაობაა და ყველაფერი ხდება. მომავალში აუცილებლად გადაიხედება ის წონები, სადაც ახლა წარუმატებლად გამოვედით და სხვებსაც გამოვცდით. ჩემპიონატის დონე ძალიან მაღალი იყო, სამბოს განვითარება სწრაფი ტემპით მიდის. ეს პროცესი კვლავაც გრძელდება და ახლაც დასახეს გარკვეული გზები. საერთაშორისო ფედერაციაში 8 ახალი ქვეყანაც მიიღეს და ასეთებს მწვრთნელთა კადრებითაც ეხმარებიან. მომავალში გაათმაგებულად თუ არ ვიმუშავეთ, წარმატებით ჭიდაობა ძალიან გაგვიჭირდება.*

*ვილნიუსში დაძაბული ბრძოლა გაიმართა გუნდურ პირველობაშიც. მესამე დღეს მეორე ადგილზე ვიყავით - რუსები გვისწრებდნენ, რომლებმაც მეორე დღეს ისე იჭიდავეს, ვერაფრით დავეწეოდით. მთავარი ამოცანა იყო, მეორე ადგილი შეგვენარჩუნებინა, რადგან ბელარუსებზე მხოლოდ ერთი ქულით მეტი გვქონდა. სამწუხაროდ, მეორე ადგილის ბედი ერთმა შეხვედრამ გადაწყვიტა და ბელარუსებმა გაგვისწრეს, ჩვენ კი მესამეზე დავრჩით. სხვათა შორის, მესამისთვისაც დიდი კონკურენცია იყო - ყაზახეთი, უკრაინა... აი, ამ დონის ძლიერი გუნდები გვყავდნენ მეტოქეებად, მაგრამ დამსახურებულად მოვიპოვეთ გუნდური ბრინჯაო“*, - განაცხადა გიორგაძემ.

*„მისასალმებელია, რომ ფედერაციაში საკადრო ცვლილებები და ესტაფეტის გადაბარება უმტკივნეულოდ მოხდა. სამბისტებთან ერთად ამ წარმატებას ძიუდოისტებსაც ვულოცავ. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო ოძელაშვილის მედალი და სამომავლოდ წარმატებები ვუსურვო. ასევე - მწვრთნელებსაც, რომლებმაც დიდი შრომა ჩადეს ამ მიღწევაში“* - მიესალმა სპორტსმენებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გია გალდავა.**

პრესკონფერენციაზე თავისთავად მიადგნენ ქართული ჭიდაობის თემასაც, როგორც აუცილებელ საჭიდაო კომპონენტს. ოთარ ყურაშვილმა გაიხსენა ცინცაძის ფინალი ყაზახ **მედეტ უნდაგანოვთან,** რომელიც დიდხანს თანაბრად მიდიოდა, ჩვენებურმა კი შეხვედრის ბედი სათავისოდ მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გადავლებას მიმართა. არადა, ცინცაძე ჭიდაობის ქართული სტილით არ გამოირჩევა. ხაზგასმით ითქვა, რომ ვინც ქართულ სტილში ჭიდაობს, წარმატებასაც ძირითადად მათ მიაღწიეს. ყურაშვილმა ისიც გაიხსენა, ნახევარფინალში ლორიაშვილთან მოგების შემდეგ მომავალ ჩემპიონს, მსოფლიოს არაერთგზის მომგებ **ვლადიმერ მინაკოვს** გაკვირვება ვერ დაუმალავს, ქართული ილეთებით მოჭიდავე ჩვენებურს იმდენად დიდი წინააღმდეგობა გაუწევია მისთვის. ეგ კი არა, თურმე 62 კილოგრამში გამარჯვებული რუსი **ვიტალი უინიც** „ქართულად“ ასპარეზობს და დამაჯერებლადაც მოუგია. ითქვა ისიც, რომ ტრადიციული ქართული სტილის დანერგვა აუცილებელია და საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაცია, რომელსაც ასევე გიორგაძე ხელმძღვანელობს, მომავალში მუშაობის კიდევ უფრო გაფართოებას აპირებს, უპირველესად კი მოიმატებს შეჯიბრებები ბავშვთა შორის. ამ თემაზე საუბრისას გალდავამ რუსეთში მცხოვრები ქართველი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში **დიმიტრი მინდიაშვილიც** გაიხსენა, რომელიც თურმე ქართული ილეთების შესწავლაში საგანგებოდ ავარჯიშებდა იქაურებს, ხოლო ამ წვრთნის მაგალითად სამგზის ოლიმპიური და ევროპა-მსოფლიოს ექვს-ექვსგზის გამარჯვებული **ბუვაისა საიტიევი** დაასახელა, რომელიც ჩვენებურ ილეთებს მშვენივრად ფლობს. ასევე აღნიშნეს ისიც, რომ სამბისტთა ახლანდელი გუნდის სიძლიერე დიდწილად ნაკრების ობიექტურმა შერჩევამაც განაპირობა. .



ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტოები



შეხვედრის დამთავრების შემდეგ რამდენიმე მედალოსანს გავესაუბრეთ.

**ავთანდილ ცინცაძე:**

*„წონის შეცვლა გუნდის ინტერესმა მოითხოვა, რაც წარმატებული გამოდგა და კმაყოფილი ვარ, ეს ნაბიჯი რომ გადავდგი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მწვრთნელებს, ფედერაციას, ექიმ ზურაბ კახაბრიშვილს, რომლებიც ძალიან დამეხმარნენ მომზადებაში. ვფიქრობ, ახალ წონაში პრობლემები არც მომავალში მექნება“.*

**უშანგი კუზანაშვილი:**

*„ვისაც ახლა შევხვდი, ადრე ყველასთან მიჭიდავია. ალბათ, 2 წლის წინ რომ შემეცვალა წონა, ბევრად უკეთესი იქნებოდა. ყაზახ იერბოლატ ბაიბატიროვთან, რომელთანაც ფინალი წავაგე, ორჯერ მქონდა მონაგები. მომავალში აუცილებლად დავამარცხებ, ახლა კი, როგორც ეტყობა, საგანგებოდ იყო მომზადებული ჩემთან შესახვედრად. ერთი სიტყვით, წონის შეცვლით კმაყოფილი ვარ. ღმერთის წყალობით, მომავალშიც მოვიპოვებ გამარჯვებებს. წინ ევროპის პირველობაა, რომლისთვისაც საგანგებოდ მოვემზადები“.*

**დავით ლორიაშვილი:** *„სამბოში ეს ჩემი პირველი ტურნირი იყო და თან სხვა კატეგორიაშიც ვჭიდაობდი, მაგრამ საბრძოლველად ვიყავი განწყობილი. ძიუდო და სამბო რამდენადმე განსხვავებული სპეციფიკისაა და ცოტა კი გამიჭირდა. ნახევარფინალიც ამიტომ წავაგე მომავალ ჩემპიონთან. მთავარია, შრომა და დაუძლეველი არაფერია. ყველანაირად ვეცდები, ჩემი გასაკეთებელი მაქსიმალურად კარგად შევასრულო. მომავალში რომელ სახეობაში დავრჩები, ჯერ არ გადამიწყვეტია. ამ ეტაპზე ორივე სახეობაში მივიღებ მონაწილეობას და რომელიც უფრო მისალები იქნება, იქ დავრჩები“.*

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ინტერვიუ ლაშა შავდათუაშვილთან



# ზაიზენბახერისთვის შავდათუაშვილი უკვე გაიზარდა

***გორელი** ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ) საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში წლეულს საუკეთესო იყო. ლაშამ ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატებში ოქროს მედალი დაიმსახურა, მსოფლიოზე კი მესამე პრიზიორი გახდა. მისი იმედი ახლა პეტერ ზაიზენბახერსაც აქვს, გუნდში დააყენა და რამდენიმე დღეში ჰოლანდიაში უნდა აჭიდაოს ამსტერდამის გრან-პრიზე. ახალგაზრდა ფალავანს ინტერვიუსთვის გორის ძიუდოს დარბაზში ვეწვიეთ.*

**- წლეულს ევროპის ჩემპიონობის მოპოვების მერე მსოფლიოზეც კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე ასვლას გეგმავდი?**

- კარგად ვიცი, რომ არც ევროპის და არც მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატება იოლად არ მიიღწევა, ყველა შეხვედრაში ბოლომდე უნდა დაიხარჯო. ცხადია, არც ევროპის ჩემპიონობაა ადვილი, მაგრამ ვინაიდან სამხრეთ აფრიკაში პირველობისათვის საბრძოლველად შესაძლოა პლანეტის ისეთი წამყვანი ქვეყნების ძიუდოისტებს შევხვედროდი, როგორებიც არიან იაპონია და კორეა, პრაგმატული მოსაზრებით, რომელიმე სინჯის მედლის მოპოვებასაც დამაკმაყოფილებლად მივიჩნევდი. თუმცა არ იფიქროთ, რომ ოქროზე არ ვოცნებობდი, თანაც კარგად გამოჩნდა, რომ ცოტა დამაკლდა იქამდე.

**- კეიპტაუნში ყველაზე ძლიერ მეტოქედ ვინ მიგაჩნდა?**

- განსაკუთრებით ბერძენ გიორგი აზოიდისთან შეხვედრას ველოდი ინტერესით. ამ მოჭიდავეს შარშან მსოფლიოს თასზე მოვუგე, თუმცა წლეულს, ანალოგიურ შეჯიბრებაზე უკვე მან მაჯობა. აზოიდისმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემამდე ვერ მოაღწია, ნაადრევად გამოეთიშა ასპარეზობას. ნაცნობ მეტოქეთაგან ყველაზე დასამახსოვრებელი სლოვენიელი ანდარს სერეჟისა და ჩემი შეხვედრა იყო. ადრე მას ორჯერ მოვუგე, ახლა კი მესამედ - ფინალში.

**- კორეელ დონგკიო ლიისთან იმ ერთადერთ მარცხზე რას იტყვი?**

- ჯერ კიდევ პირველი გაფრთხილება იყო სადავო, მეორე „შიდო“ კი რატომ მივიღე, დამიჯერეთ, მართლა ვერ გავიგე. მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი აზრით, კორეელმა ვერ მაჯობა და ქართულმა პრესამ და სპეციალისტებმაც ასე ჩათვალეს, ეს შეხვედრა, რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყო. წაგების მიზეზი სპორტსმენმა პირველ ყოვლისა მხოლოდ საკუთარ თავში უნდა ეძებოს, უხეირო მსაჯობაზე წუწუნი კარგს არაფერს მოგვიტანს.

**- საერთოდ, კეიპტაუნში ყველა შეხვედრაში ინიციატივა შენს მხარეს იყო და კორეელის გარდა, ყველას დამაჯერებლად მოუგე.**

- ჩემი აქტიურობით მეტოქე პასიური ხდება, რასაც მსაჯის მხრიდან მეტოქის გაფრთხილება მოსდევს. მერე ეს უკანასკნელი ჩქარობს მდგომარეობის გამოსწორებას და სიჩქარეში უფრო იოლად უშვებს შეცდომებს. ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ ეს სტილია ჩემს ტაქტიკურ არსენალში, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამან რამდენჯერმე გამიმართლა.

**- მიმდინარე სეზონი, ალბათ, დამაკმაყოფილებლად ჩაგეთვლება, მით უფრო, შარშანდელი ერთგვარი ჩავარდნის შემდეგ.**

- შარშან ჩემი წარუმატებლობები დიდწილად საკუთარი ინიციატივით გადამეტებულმა ვარჯიშებმა განაპირობა. ვშიშობდი, თვითშემოქმედებით გამოწვეულ გამოფიტვას დიდ ხნიანი იძულებითი პაუზა არ მოეტანა. საბედნიეროდ, უსიამოვნო პერიოდი მალე დასრულდა. მადლიერი ვარ ჩემი მწვრთნელების, რომლებმაც მიუხედავად იმისა, რომ შარშან საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე და ნაკრებში ასპარეზობა არ მომიწევდა, ჩემი იმედი არ დაკარგეს და ჩეხეთის ტურნირზე საკუთარი სახსრებით გამგზავნეს. ორმაგად სასიხარულო იყო, რომ ნდობა გავამართლე. საერთაშორისო არენაზე შარშან მიღებული გამოცდილება, წლევანდელ წარმატებებში ძალიან წამადგა.

**- პეტერ ზაიზენბახერმაც მოგაქცია ყურადღება და 19-20 ნოემბერს ამსტერდამში გრან-პრიზე საქართველოს ნაკრებში სასპარეზოდ მიგიწვია.**

- მინდა ნაკრების მთავარ მწვრთნელს იმედი გავუმართლო და სამომავლოდ გუნდში ადგილიც დავიმკვიდრო. ცდას არ დავაკლებ, რომ კარიერა დიდებშიც წარმატებით გავაგრძელო.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭადრაკი

# ქართველებმა მოგებით დაიწყეს

**ხორვატიის** ქალაქ ოპატიაში გუშინ დაიწყო მოჭადრაკე სენიორთა 21-ე მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელიც მონაწილეობს. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ნონა გაფრინდაშვილმა,** რომელიც მსგავსი შეჯიბრების გამარჯვებულიცაა, ასპარეზობის სტარტზე რუს მარტა კომიშევას 33-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. ჩრდილოელ მეზობლებს აჯობეს სენიორთა ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა **თამარ ხმიადაშვილმა,** საქართველოს ჩემპიონმა **ნინო მელაშვილმა,** რომლებმაც ნინა შუშპანოვა და ტატიანა შმვრევა დაამარცხეს. ასევე, წარმატებას მიაღწიეს ტურნირის ფავორიტებმა - ელენა ფატალიბეკოვამ, ვალენტინა კოზლოვსკაიამ, გალინა სტრუტინსკაიამ, ლუდმილა საუნინამ (ყველა - რუსეთი). მათ,შესაბამისად, ლარისა ხროპოვას (რუსეთი), შირხინ ბათხენგელის (მონგოლეთი), არია-სოლვეიჯა აბილინას (ლატვია) და მირა კიერზეკს (მაკედონია) მოუგეს. სულ 40-დან 18-მა მოჭადრაკემ ჩაიწერა გათამაშების ცხრილში პირველი ქულა.

დღეს მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართება: ნატალია ტიტორენკო-ნონა გაფრინდაშვილი, გალინა სტრუტინსკაია-ნინო მელაშვილი,თამარ ხმიადაშვილი-ნატალია ჩერნოვა, ელენა ფატალიბეკოვა-ტამარა სოროკინა, ტატიანა ბოგომილი-ვალენტინა კოზლოვსკაია...

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ძალოსნობა




# მეოთხე ლიცენზიის მოპოვებაც შეიძლებოდა

**პარიზში დამთავრებულმა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატმა ის 24 ქვეყანა გამოავლინა, რომლებმაც მსოფლიოს ბოლო ორი პირველობის ჯამში 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიები დაიმსახურეს. პირველ-მეექვსე ადგილებზე ჩინეთი, რუსეთი, ირანი, კორეა, პოლონეთი და უკრაინა გავიდნენ, რომლებმაც 6-6 საგზური მოიპოვეს. ქართველმა ათლეტებმა საფრანგეთის დედაქალაქში 65 ქულას მოუყარეს თავი, რომელსაც შარშან ანტალიაში მოგროვებული 58 ქულა დაემატა და 123 ქულით ჩვენმა გუნდმა საბოლოოდ მე-20 ადგილი დაიკავა, რითაც 3 ლიცენზია გაინაღდა. პარიზული ბატალიების კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივან რამაზ გურგენიძეს, რომელიც ჩემპიონატს ესწრებოდა.**

- თავიდანვე შევნიშნავ, რომ საბოლოო შედეგებით უკმაყოფილო არ ვართ. თუმცა ცოტა მეტი იღბალი რომ ყოფილიყო ჩვენს მხარეს, მე-4 საგზურის მოპოვებაც შეიძლებოდა. სომხეთის ნაკრებმა 132 ქულით ოთხი ლიცენზია დაიბევა. მეზობლების გასასწრებად 9-10 ქულა გვჭირდებოდა, რომლის პოტენციალიც ჩვენს სპორტსმენებს ჰქონდათ, შესაძლებლობები ბოლომდე რომ გამოევლინათ.

უპირველესად 105 კილოში გია მაჭავარიანის (აჭარა) კარგი გამოსვლა მინდა ალვნიშნო. საერთაშორისო შეჯიბრებებში მან პირველად აიტაცა 187 კილო, რითაც მცირე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა და ორჭიდის ჯამში მესამე ადგილის კონკურენტებს - უკრაინელ ტარახტისა და პოლონელ ბონკს საგრძნობლად გაუსწრო, ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა პოლონელი აკვრაშიც ჩამოიშორა, თუმცა თავად 222 კილოგრამით დაასრულა ასპარეზობა. უკრაინელმა ათლეტმა 229 კილო, რომელიც მას გიას გასასწრებად სჭირდებოდა, მხოლოდ მესამე ცდაზე დაიმორჩილა და დიდი ბრინჯაოც ირგუნა. მაჭავარიანმა მე-4 ადგილი დაიკავა და საკუთარ გუნდს მე-3 ადგილისთვის გათვალისწინებული 23 ქულა მოუტანა. საქმე ის არის, რომ რუსი ხაჯიმურატ აკაევი, რომელიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ჩრდილოელ მეზობლებს ექვსკაციან ნაკრებში არ ჰყავდათ, ამიტომ რუსებს ჩასათვლელი ქულები (28) მეორეადგილოსანმა კლიკოვმა მოუტანა, ტარახტის 25 ქულა ერგო.

მაჭავარიანმა წლეულს ეროვნულ ჩემპიონატზე ზუგდიდში 224 კილოგრამი დაძლია. მისი პოტენციალი გვაიმედებს, რომ ლონდონში გიასგან მედალს უნდა ველოდოთ.

105 კილოშივე გამოდიოდა მსოფლიოს ჩემპიონატის ზუგდიდელი დებიუტანტი დავით გოგია, რომელმაც წლეულს 23-წლამდელთა ევროპის პირველობაზე მე-2 ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი მე-14 ადგილზე გავიდა და 12 ქულა მოგვიტანა, რაც ურიგო შედეგი როდია. ბოლო ცდაზე მან 208-კილოგრამიანი შტანგაც აკრა ყველა წესის დაცვით, მაგრამ მსაჯებმა, რატომღაც, არ ჩაუთვალეს. თუმცა ეს წონა საბოლოო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა.

მძიმე წონაშიც ორი ათლეტი ასპარეზობდა - ირაკლი თურმანიძე (აჭარა) და ლაშა ტალახაძე (საჩხერე). ირაკლიმ შარშან ანტალიაში 400 კილოგრამს მოუყარა თავი, პარიზში კი ორი კილოგრამით ნაკლები მოაგროვა და მე-12 ადგილით 14 ქულა შეგვძინა. ტალახაძეს 180 კილოგრამის ატაცებისას კუნთი დაეჭიმა, ამიტომ აკვრაში თავს მხნედ ვერ გრძნობდა. მე-2 ცდაზე 207-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, მესამე ცდის გამოყენებაზე მწვრთნელებმა შეიკავეს თავი - ვერ გარისკეს. არადა, ლაშას საქართველოს ჩემპიონატზე 217 კილოგრამი აქვს დაძლეული.

85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ძალებს ცდიდა ქუთაისელი რაულ ცირეკიძე, რომელიც პეკინის ოლიმპიადის მონაწილეა. მე-15 ადგილი და 11 ქულა - ასეთია ამჯერად ცირეკიძის მონაგარი.

პარიზულ ფიცარნაგზე კიდევ ერთი ქუთაისელი სპორტსმენი გამოვიდა - ახალგაზრდა ძალოსანთა წლევანდელი ევროპის პირველობის მეორე პრიზიორი გიორგი ლომთაძე (69 კგ). მან აკვრაში საწყისი წონა ვერ დაძლია და უადგილოდ დარჩა.

აქვე მინდა დავძინო, რომ პარიზის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატმა, რომელიც, ჩვენდა გასაკვირად, ძალიან ცუდად იყო ორგანიზებული, პლანეტის 81 ქვეყნის 327 ძალოსან ვაჟს მოუყარა თავი. ამგვარ კონკურენციაში მე-20 ადგილი და ოლიმპიადის სამი საგზური, ვფიქრობ, საპატიო შედეგია.

ჩვენს სპორტსმენებს დასასვენებლად დრო არ რჩებათ. 4-დან 26 დეკემბრამდე ეროვნული ნაკრები პოლონეთშია მიწვეული, სადაც 8 სპორტსმენი სამკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის. 28 დეკემბერს ქუთაისში ისინი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის სახელობის ტურნირში იასპარეზებენ. 5-დან 25 იანვრამდე კი ისევ პოლონეთს მიაშურებენ. ლონდონში წამსვლელთა ვინაობა კი გაისად – ოლიმპიურ თამაშებამდე ორი თვით ადრე ეროვნულ ჩემპიონატზე გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**

● სუმო. კიუშუს ბაშო. 13-27 ნოემბერი

# ამაზე ცუდი რაღა იქნება?!

ცუდი, ძალიან ცუდი დასაწყისი - ჯამში 9 შესაძლებლიდან ქართველმა სუმოისტებმა ერთადერთი ორთაბრძოლის მოგება შეძლეს, ეს კიუშუს ბაშოს მეორე დღეს **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** მოახერხა. გუშინ სამივე ჩვენებური დამარცხდა.

ქართველთაგან ყველაზე მაღალი რანგის რიკიში **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** დიდ გასაჭირშია - მას სულ დარჩეულ რიკიშებთან უწევს ასპარეზობა, მაგრამ თავისი უდისციპლინობით და კლუბის ხელმძღვანელის მეტისმეტად მკაცრი განაჩენის გამო, უვარჯიშებელია. გუშინ მან ზედიზედ მესამე ოძეკისთან წააგო ბულგარელ გოლიათ **კოტოოშუსთან**. დღეს კი სუმოს სამყაროში ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე ელის - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო**, რომელსაც ფორმის პიკზე მყოფიც კი ვერასდროს უგებდა.

გაგამარუმ სეკივაკე **კაკურიუსთან** წააგო. წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება 199-კილოიანმა სუმოისტმა ოშიდაშით წააგოს (პირდაპირი, რიტმული მიწოლით), მაგრამ ფაქტია - ქართველმა ზუსტად ასე დათმო ორთაბრძოლა. დღეს გაგამარუ მე-5 მაეგაშირა **იოშიკაძეს** გაეჯიბრება. სამივე ბრძოლა წააგო **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**. „შავი ზღვა" დღეს მე-11 მაეგაშირა **ტოიოჰიბიკის** გაეჯიბრება.

## III დღე

ჰაკუჰო-გოეიდო (უვატენაგე), კოტოოშუ-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ჰომაშო (ცუკიოტოში), ოკინოუმი-ბარუტო (იორიკირი), კიოკუტენჰო-ჰარუმაფუჯი (კიმეტაოში), კისენოსატო-ტოიონოშიმა (ცუკიდაში), კაკურიუ-**გაგამარუ** (ოშიდაში), ტოჩინოვაკა-არანი (იორიკირი), ტოჩიოძანი-იოშიკაძე (ოშიდაში), ამინიშიკი-კიტატაიკი (ჰიკიოტოში), ტაკეკაძე-მიაბიამა (ოკურიტაოში), ტაკაიასუ-ტოკიტენკუ (ოშიდაში), ვაკანოსატო-**კოკაი** (უვატენაგე), ვაკაკოიუ-ფუჯიაზუმა (ჰიკიოტოში), ტამავაში-ტოიოჰიბიკი (ცუკიოტოში), მიოგირიუ-ტაკარაფუჯი (ოშიდაში), დაიდო-ასასეკირიუ (კატასუკაში), საგაცუკასა-კაისეი (ოშიდაში), შოჰოზანი-ცურუგიდაკე (ცუკიდაში), სადანოფუჯი-კიმურაიამა (ცუკიდაში), ბუშუიამა-აოიამა (ჰიკიოტოში).



## IV დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-**ტოჩინოშინი**, კოტოშოგიკუ-კიოკუტენჰო, ბარუტო-გოეიდო, ჰარუმაფუჯი-არანი, კოტოოშუ-ოკინოუმი, კაკურიუ-ტოიონოშიმა, კისენოსატო-ჰომაშო, **გაგამარუ**-იოშიკაძე, ტოჩიოძანი-ამინიშიკი, ტოჩინოვაკა-მიაბიამა, **კოკაი**-ტოიოჰიბიკი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ფოტომატიანე



ძველი თაობის ალპინისტები. მარცხნიდან: რომანოზ ავალიანი, გოჯი ზურებიანი, იაგორ კაზალიკაშვილი, ადსილ ავალიანი. მესტია. 1930 წელი.

## განცხადება

2011 წლის 28 ნოემბერს, სასტუმრო „შერატონის" სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე, საგანგებო ყრილობა.

დღის წესრიგშია: კომიტეტის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების, გენერალური მდივნის და პრეზიდიუმის წევრების არჩევა; ფედერაციის წესდების შეცვლა; სხვადასხვა.

ფედერაციის პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 22 ნოემბრის 17 საათამდე, კომიტეტის ოფისში (ტელ: 593 268792; 593 374137).



# მიხეილ კვინიკაძე

59 წლისა მშობლიურ ქუთაისში ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ცნობილი ვეტერანი სპორტსმენისა და სპორტის მუშაკის, ბრწყინვალე პიროვნების მიხეილ კვინიკაძის სიცოცხლე.

ქუთაისის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სკოლაში მწვრთნელ ზაურ ჩოგოვაძესთან 1962 წელს დაიწყო ვარჯიში. 15 წლისამ საქართველოს პირველობაზე ოსტატობის კანდიდატის პროგრამით მოასპარეზეთა შორის მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ერთი წლის შემდეგ კი რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. საქართველოს ნაკრებში ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავდა ერევანში მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე. 1970 წელს ბაქოში ამიერკავკასიის პირველობაზე ისაკუთრებს პირველ ადგილს. იმავე წელს, ასეთივე წარმატება ხვდა წილად კალინინგრადში შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობაზე. 1972 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

1973 წელიც წარმატებული გამოდგა - მიხეილმა ბრწყინვალედ იასპარეზა უნგრეთის საერთაშორისო ტურნირში, ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში საკავშირო პირველობაზე კი, რგოლებზე ვარჯიშში, ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ვისაც ტანმოვარჯიშის დახეთქილი ხელისგულები უნახავს, მან იცის თუ რა ნებისყოფისა და ტკივილის დაძლევის ფასად უხდება ტანმოვარჯიშეს ღერძზე ვარჯიშის შესრულება, სწორედ მან შეუძლებელი შეძლო და ღერძზე დარჩენილი სისხლის წვეთების ფასად დაიცვა გუნდისა და ქვეყნის ღირსება. სწორედ ამიტომ, პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა მის ნებისყოფასა და სიმამაცეს საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე. ამასთან, ყველგან და ყოველთვის სამაგალითო იყო თანაგუნდელებისთვის.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დიდხანს მუშაობდა ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სკოლაში მწვრთნელ-მასწავლებლად. რაოდენ დასანანია, რომ ამ ღვაწლმოსილმა ადამიანმა ტრაგიკულად დაასრულა ცხოვრება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

*საქართველოს ტანვარჯიშული სახეობების ეროვნული ფედერაცია*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალათბურთი

ევროჩელენჯი

## ბეშიქთაში-არმია

| I პერიოდი | |
|---|---|
| 09:44 | ერდენი 2ქ (2:0) |
| 09:29 | შელბომი 1ქ (2:1) |
| 08:28 | შელბომი 2ქ (2:3) |
| 08:06 | ერდენი 2ქ (4:3) |
| 07:54 | დიასი 2ქ (4:5) |
| 07:29 | კემპი 3ქ (7:5) |
| 07:04 | კემპი 2ქ (9:5) |
| 06:41 | დიასი 3ქ (9:8) |
| 06:21 | ერდენი 1ქ (10:8) |
| 06:04 | გეინსი 2ქ (10:10) |
| 05:40 | ერდენი 2ქ (12:10) |
| 04:53 | უილიამსი 2ქ (14:10) |
| 04:34 | რიჩარდსონი 3ქ (14:13) |
| 04:16 | უილიამსი 3ქ (17:13) |
| 04:02 | კემპი 2ქ (19:13) |
| 03:51 | რიჩარდსონი 2ქ (20:15) |
| 03:21 | კემპი 1ქ (21:15) |
| 02:18 | ერდენი 2ქ (23:15) |
| 01:27 | ტომასი 2ქ (23:17) |
| 01:02 | გეინსი 3ქ (23:20) |
| 00:52 | უილიამსი 2ქ (25:20) |
| **II პერიოდი** | |
| 09:23 | საყვარელიძე 2ქ (25:22) |
| 09:09 | ტომასი 2ქ (24:25) |
| 08:40 | ერდენი 2+1ქ (28:24) |
| 08:09 | კემპი 2ქ (30:24) |
| 07:48 | გეინსი 2ქ (30:26) |
| 07:26 | რიჩარდსონი 2ქ (30:28) |
| 06:58 | უილიამსი 1ქ (31:28) |
| 06:36 | ჰოუკინსი 1+1ქ (33:28) |
| 06:14 | იაგმური 3ქ (36:28) |
| 05:57 | უილიამსი 1+1ქ (38:28) |
| 05:49 | შელბომი 2ქ (38:30) |
| 05:28 | უილიამსი 3ქ (41:30) |
| 05:07 | რიჩარდსონი 3ქ (41:33) |
| 04:49 | ერდენი 1+1ქ (43:33) |
| 04:45 | უილიამსი 2ქ (45:33) |
| 03:46 | უილიამსი 2ქ (47:33) |
| 03:09 | ჰოუკინსი 2ქ (49:33) |
| 02:47 | საყვარელიძე 3ქ (49:36) |
| 02:07 | დაგლი 2ქ (51:36) |
| 01:20 | დიასი 2ქ (51:38) |
| 00:57 | რიჩარდსონი 3ქ (51:41) |
| 00:32 | დაგლი 2ქ (53:41) |
| 00:08 | ჰოუკინსი 2ქ (55:41) |
| **III პერიოდი** | |
| 09:48 | ერდენი 2ქ (57:41) |
| 09:07 | შელბომი 2ქ (57:43) |
| 08:34 | კემპი 3ქ (60:43) |
| 08:20 | დიასი 2ქ (60:45) |
| 07:42 | ტომასი 2ქ (60:47) |
| 07:20 | ტომასი 2ქ (60:49) |
| 06:53 | რიჩარდსონი 2ქ (60:51) |
| 06:20 | რიჩარდსონი 2ქ (60:53) |
| 05:28 | ერდენი 1+1ქ (62:53) |
| 04:47 | უილიამსი 3ქ (65:53) |
| 04:26 | ტომასი 1ქ (65:54) |
| 04:14 | უილიამსი 2ქ (67:54) |
| 03:22 | ერცეგი 2ქ (69:54) |
| 03:12 | დიასი 3ქ (69:57) |
| 02:48 | ერდენი 2ქ (71:57) |
| 02:01 | ტომასი 2ქ (71:59) |
| 01:35 | ჰოუკინსი 2ქ (73:59) |
| 00:58 | ტომასი 2ქ (73:61) |
| 00:55 | ჰოუკინსი 1+1ქ (75:61) |
| 00:38 | კემპი 2ქ (77:61) |
| 00:03 | უილიამსი 3ქ (80:61) |

## 15 ნოემბერი

თურქეთი, სტამბოლი

## ბეშიქთაში-არმია 103:82

25:20, 30:21, 25:20, 23:21

2200 მაყურებელი

*მსაჯები: მ. მაზიჩი (სერბეთი), ო. იოკიჩი (ჩერნოგორია), ა. ჰასანოვი (აზერბაიჯანი).*

| მინსკი | წთ | თამ.სრ. | თამ.სრ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.შეტ | +\- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. იაგმური | 10 | 1/2 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 14 | 3 |
| 5. ჰერსეკი | 5 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 |
| *7. ერცეგი | 23 | 2/6 | 33.3 | 2/2 | 100.0 | 0/4 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 4 | 6 | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 6 | 4 |
| *8. უილიამსი | 39 | 11/19 | 57.9 | 6/10 | 60.0 | 5/9 | 55.6 | 4/7 | 57.1 | 0 | 2 | 2 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 4 | 19 | 31 |
| *9. ერდენი | 29 | 7/11 | 63.6 | 7/11 | 63.6 | 0/0 | 0.0 | 6/7 | 85.7 | 2 | 7 | 9 | 1 | 3 | 3 | 2 | 2 | 4 | 13 | 20 |
| *10. აკინი | 11 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 |
| *21. კემპი | 33 | 7/13 | 53.8 | 5/7 | 71.4 | 2/6 | 33.3 | 2/3 | 66.7 | 2 | 3 | 5 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 9 | 18 |
| 34. ჰოუკინსი | 30 | 6/9 | 66.7 | 5/7 | 71.4 | 1/2 | 50.0 | 4/4 | 100.0 | 0 | 3 | 3 | 4 | 1 | 3 | 1 | 2 | 4 | 16 | 17 |
| 35. დაგლი | 20 | 5/5 | 100.0 | 5/5 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 18 | 10 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 3 | 4 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 39/66 | 59.1 | 30/43 | 69.8 | 9/23 | 39.1 | 16/21 | 76.2 | 9 | 28 | 37 | 19 | 14 | 9 | 3 | 11 | 15 | | 103 |

| მინსკი | წთ | თამ.სრ. | თამ.სრ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.შეტ | +\- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. რიჩარდსონი | 38 | 8/18 | 44.4 | 4/10 | 40.0 | 4/8 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 4 | 5 | 0 | 2 | 1 | 0 | 4 | 1 | -22 | 20 |
| 5. ბაბიაშვილი | 5 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | -1 | 0 |
| 9. კვიმსაძე | 1 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | -6 | 0 |
| *10. ტომასი | 40 | 9/17 | 52.9 | 9/14 | 64.3 | 0/3 | 0.0 | 2/3 | 66.7 | 5 | 4 | 9 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 2 | -21 | 20 |
| *14. შელბომი | 27 | 5/8 | 62.5 | 5/7 | 71.4 | 0/1 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 4 | 4 | 8 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 2 | -17 | 12 |
| *15. დიასი | 39 | 5/8 | 62.5 | 3/6 | 50.0 | 2/2 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 4 | 0 | 2 | 0 | 3 | 0 | -23 | 12 |
| 21. საყვარელიძე | 12 | 2/5 | 40.0 | 1/2 | 50.0 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| *24. გეინსი | 39 | 6/17 | 35.3 | 5/7 | 71.4 | 1/10 | 10.0 | 0/1 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 8 | 4 | 3 | 1 | 3 | 5 | -15 | 13 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 35/74 | 47.3 | 27/47 | 57.4 | 8/27 | 29.6 | 4/8 | 50.0 | 13 | 18 | 31 | 16 | 14 | 9 | 1 | 16 | 10 | | 82 |

| IV პერიოდი | |
|---|---|
| 08:52 | ჰოუკინსი 2ქ (82:61) |
| 08:27 | შელბომი 2ქ (82:63) |
| 07:51 | ტომასი 2ქ (82:65) |
| 07:27 | ჰოუკინსი 2ქ (84:65) |
| 07:12 | გეინსი 2ქ (84:67) |
| 06:39 | რიჩარდსონი 3ქ (84:70) |
| 06:16 | უილიამსი 1ქ (85:70) |
| 05:58 | უილიამსი 3ქ (88:70) |
| 04:57 | გეინსი 2ქ (88:72) |
| 03:54 | დაგლი 2ქ (90:72) |
| 02:56 | შელბომი 2ქ (90:74) |
| 02:35 | კემპი 2ქ (92:74) |
| 02:22 | გეინსი 2ქ (92:76) |
| 02:06 | დაგლი 2ქ (94:76) |
| 01:47 | ერცეგი 2ქ (96:76) |
| 01:24 | შელბომი 1ქ (96:77) |
| 01:03 | დაგლი 2ქ (98:77) |
| 00:20 | ჰოუკინსი 3ქ (101:77) |
| 00:04 | ტომასი 2+1ქ (101:80) |
| 00:04 | უილიამსი 2ქ (103:80) |
| 00:01 | ტომასი 2ქ (103:80) |



# 82 ქულა? მაინც ცოტაა

მატჩის წინ „არმიას" კალათბურთელებისთვის რომ გეკითხათ, თურქეთში „ბეშიქთაშის" კალათში 82 ქულის მოთავსება დაგაკმაყოფილებთ თუ არაო, დადებითი პასუხი არ დააყოვნებდა. ასეთი გუნდის წინააღმდეგ 82 ქულის მოგროვება ხუმრობა როდია?! თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა შეტევაში კარგი გარჯა გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის.

არადა, სტატისტიკაც პოზიტიური იყო: არმიელებმა 47-დან 27 ორქულიანი (57.4 პროცენტი), 27-დან 8 სამიანი ჩააგდეს... ეს, პირველ რიგში, „არმიას" კალათბურთელთა მაღალი კლასის შედეგია. ბეშიქთაშელთა კლასს არ



იკითხავთ - 43-დან 30 ორქულიანი და 23-დან 9 სამქულიანი გამოიყენეს, საერთოდ კი 103 ქულამდე ავიდნენ. ამერიკელმა ვარსკვლავმა **დერონ უილიამსმა** სრულად გამოამჟღავნა შესაძლებლობები, ეფექტური დრიბლინგებითაც დაგვამახსოვრა თავი, პასებითაც და სამქულიანებს მაინცდამაინც მაშინ აგდებდა, როცა „არმია" სხვაობას მეტ-ნაკლებად ამცირებდა. მის ანგარიშზე 31 ქულა და 6 პასია. აკი დაწერა გამოცემა „ევრობასკეტმა" - „ბეშიქთაშის" მაისურით უილიამსმა საუკეთესო მატჩი სწორედ ქართველებთან ჩაატარაო.

ფარქვეშ **სემიჰ ერდენს უილიამ ტომასი და იოაკიმ შელბომი** ებრძოდნენ. თურქმა 20 ქულა ჩააგდო, ხოლო „არმიას" მეფარეთა დუეტმა ჯამში 32 ქულა მიითვალა. მესამე პერიოდში ტომასმა ჩატენვა ჩატენვას მიაყოლა და 17-ქულიანი ჩამორჩენა შვიდამდე დაიყვანა. უილიამმა ერთ ეპიზოდში მონდომებით ჩატენა, შემდეგ ემოციები ვერ შეიკავა და მსაჯებისგან ტექნიკური შენიშვნა დაიმსახურა.

პერიმეტრიდან **ჯერემი რიჩარდსონმა** ისროლა ზუსტად - 8-დან 4 სამქულიანი, ხოლო შეტევათა წარმართვა **სანდიატა გეინსს** როგორ გამოსდის, ამას მის მიერ მოგროვილი პასების რაოდენობით მიხვდებით - 8.

აქამდე მხოლოდ შეტევაზე ვლაპარაკობდით. წაგება კი დაცვაში სუსტი თამაშის ბრალია. ისევე როგორც „არმია", ასევე „ბეშიქთაში" ძირითადად ხუთი კალათბურთელის იმედადაა და ორივე გუნდი ხისტ თამაშს ერიდებოდა, რათა რომელიმე ლიდერს ხუთი ჯარიმა არ მიელო და მოედანი ნაადრევად არ დაეტოვებინა.

ასეა თუ ისე, სენსაცია არ შედგა - „ბეშიქთაშმა" დაგეგმილი გამარჯვება ჩაიწერა და ჯგუფში პირველი ადგილი განიმტკიცა. თავის მხრივ ჰოლანდიურმა ლეიდენმა გერმანიაში „გოტინგენი" დაამარცხა და „არმიას" დარად თითო მოგება-წაგება მოუგროვდა. მომდევნო ტურში სწორედ ჰოლანდიელები გვეწვევიან. მატჩი 22 ნოემბერს სპორტის სასახლეში ჩატარდება.

საკალათბურთო რეფორმები

# ლეგიონერი მსაჯები სუპერლიგაში

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში კლუბების მოძლიერებამ ორგანიზატორები ახალი პრობლემების წინაშე დააყენა, რომელთაგან უმთავრესი მსაჯთა კომპეტენციაა. შარშანაც ვწერდით: კლუბების ხელმძღვანელები გუნდებს დიდი ოდენობის თანხას რომ ახმარენ, მომსახურებაც შესაბამისი სჭირდებათ. საქართველოში კი არ არის იმდენი არბიტრი, რამდენიც სუპერლიგის მატჩების სრულფასოვნად ჩასატარებლადაა საჭირო. სწორედ ამიტომ აუცილებელია უცხოეთიდან არბიტრების მოწვევა-თქო.

გუშინ სპორტის მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** სუპერლიგის კლუბების ხელმძღვანელებს შეხვდა და საუბარი მსაჯობით დაიწყო:

*- საგრძნობლად გაძლიერდა ჩემპიონატი, რასაც სათანადო მსაჯთა კორპუსი სჭირდება. ამისთვის, უცხოეთიდან მოვიწვევთ არბიტრებს, რომლებიც ყველა თამაშს განსჯიან, გვერდში კი ქართველები დაუდგებიან. პარალელურად განხორციელდება მსაჯების გადამზადება, მათი უცხოეთში სემინარებზე გაგზავნა. ეს ყველაფერი ჩემპიონატის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებას შეუწყობს ხელს. ამავდროულად, მკაცრად დაისჯება თითოეული კალათბურთელი თუ მსაჯი რომელიც დაწესებულ ნორმებს გადასცდება. ამ ყველაფერმა ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს განვითარებისა და გაძლიერების საშუალება უნდა მისცეს.*

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** ვკითხეთ უცხოელი არბიტრების ვინაობასა და სუპერლიგაში მათი სავარაუდო გამოჩენის დროზე.

*- ვეცდებით მსაჯები, რაც შეიძლება მალე ჩამოვიყვანოთ. ყველაფერი მოლაპარაკებების ხანგრძლივობაზე იქნება დამოკიდებული. ამ საკითხზე ვმუშაობთ თურქეთის, უკრაინის და კიდევ რამდენიმე ქვეყნის კალათბურთის ფედერაციასთან.*

მეორე, რაზეც სპორტის სამინისტროში იმსჯელეს, საორგანიზაციო საკითხია.

*- გადავწყვიტეთ, სუპერლიგა გაუქმდეს და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება კალათბურთის ფედერაციამ უზრუნველყოს. ეს მიმდინარე სეზონშივე განხორციელდება, მომდევნო ჩემპიონატიდან კი შეიქმნება „კალათბურთის პროფესიული ლიგა", რომელიც ჩემპიონატის ჩატარებაზე იზრუნებს.*

სპორტის სამინისტროსა და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა კლუბების მესვეურებთან საკლუბო სისტემის აწყობის მნიშვნელობაზეც ილაპარაკეს. ქართული კალათბურთის წინსვლისთვის აუცილებელია თითოეულ კლუბს სხვადასხვა ასაკობრივი გუნდი ჰყავდეს და იქიდან ილებდეს შევსებას.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**





ეროვნული ბიბლიოთეკა

● პრესკონფერენცია

# რიჩი დიქსონი მიდის და რჩება

## დაინტერესდით ქართული რაგბით, ქართული პროექტით



რიჩი დიქსონი და გიორგი ნიჟარაძე

„შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** და საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ოფიციალურად გაცხადდა, რომ შოტლანდიელი „ბორჯღალოსნებს" აღარ უთავკაცებს. პრესკონფერენციაზე ვრცლად ისაუბრეს საქართველოს ნაკრებისა და ზოგადად ქართული რაგბის მომავლის გეგმების შესახებ:

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„საქართველოს ნაკრების ახალ ზელანდიაში გამოსვლას არ შევაფასებ. ეს არაერთხელ გავაკეთე. საყოველთაო აღიარებით, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა სერიოზული პროგრესი განიცადა. გამოჩნდა, რომ მეტი შეგვეძლო. ყველა ის შეცდომა, რაც მსოფლიოს თასზე ასპარეზობისას დავუშვით, პირდაპირ კავშირშია მაღალი დონის გუნდებთან თამაშის გამოცდილების დეფიციტთან.*

*საქართველოს ნაკრებში მწვრთნელების შეცვლამ მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე წლი-ნახევრით ადრე მოგვიწია. იმ დროისთვის ყველა მწვრთნელი დაკავებული იყო. სწორედ მაშინ მივმართეთ დახმარებისთვის რიჩი დიქსონს, რომელიც საქართველოში სრულიად სხვა მისიით იმყოფებოდა. ის IRB-მ საქართველოს რაგბის კავშირის კონსულტანტად და განვითარების პროგრამის ხელმძღვანელად მოავლინა.*

*რიჩი დიქსონი იმ პერიოდისთვის უკვე კარგად იცნობდა ქართულ რაგბის და მალე აუღო ალღო საქართველოში არსებულ რეალობას. საგულისხმო იყო ის დეტალიც, რომ მას ჰქონდა შოტლანდიის ნაკრებთან მუშაობის გამოცდილება. დიქსონმა თავისთვის საკმაოდ ძნელი გადაწყვეტილება მიიღო და ჩვენს შეთავაზებას დათანხმდა. მან ძალიან მოკლე დროში შეძლო შესანიშნავი სამწვრთნელო შტაბის შექმნა, რომლის მოქნილმა მუშაობამაც განაპირობა ახალ ზელანდიაში საქართველოს ნაკრების ღირსეული ასპარეზობა.*

*ნაკრების ყველა მწვრთნელს კონტრაქტი მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულებისთანავე დაუმთავრდა. ჯონ მაგლტონმა ავსტრალიურ „მელბურნ რებლზთან" გააფორმა ხელშეკრულება. ჩვენ გუნდთან მუშაობა დაასრულა ფიზმომზადების მწვრთნელმა გარეთ ადამსონმაც. დონ კასკი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მსოფლიოს თასის დაწყების წინ შეუერთდა გუნდს, თუმცა მანამდეც ბევრს აკეთებდა ქართული რაგბისთვის და მომავალშიც გააკეთებს.*

*ბუნებრივია, ახლა წინ ახალი მიზნები გვაქვს. მსოფლიოს თასის შემდეგ გათამაშებაში მთავარი ამოცანა იქნება ბევრად უკეთესი თამაშის ჩვენება. ინგლისში ჯგუფში მინიმუმ მესამე ადგილზე უნდა გავიდეთ, რაც მომდევნო მოსფლიოს თასის საგზურს ავტომატურად მოგვცემს. პროგრამა მაქსიმუმი კი მეორე ადგილისთვის და პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლა იქნება. ჩვენ სწორედ ასეთი, ამბიციური მიზნები უნდა დავისახოთ. კარგად ვაცნობიერებთ, რომ ამის მიღწევა ძალიან ძნელი იქნება, რადგან, როგორც ახალ ზელანდიაში გამოჩნდა, ელიტურ და მეორე ეშელონის ქვეყნებს შორის სათამაშო კლასში სხვაობა მცირდება, ჩვენი უშუალო კონკურენტები სწრაფად ვითარდებიან. ამიტომ მიზნის მისაღწევად მეტი ძალისხმევა და მატერიალური ბაზა იქნება საჭირო.*

*ჩვენ რიჩი დიქსონთან ერთად ვითათბირეთ, ერთობლივად გავაანალიზეთ ყველაფერი და გადავწყვიტეთ, რომ საქართველოს ნაკრებისთვის უნდა მოვინვიოთ მწვრთნელთა ახალი შტაბი. თვითონ რიჩი დიქსონი კი განაგრძობს მუშაობას რაგბის კავშირის კონსულტანტად. ამასთან ჩვენ გვინდა, რომ საქართველომ მიიღოს რაგბის განვითარების რეგიონალური ცენტრის სტატუსი. რაც ითვალისწინებს „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ირანისა და შუა აზიის ქვეყნებისთვის სპეციალისტების მომზადებას. თუ ეს განხორციელდება, ამ პროექტის ხელმძღვანელიც დიქსონი იქნება.*

*რაც შეეხება ახალ მწვრთნელებს, არ გვინდა ვიჩქაროთ და შეცდომა დავუშვათ. საქართველოს ნაკრების გაწვრთნა ძალიან ბევრ, თანაც საკმაოდ ცნობილ სპეციალისტს სურს, თუმცა ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რომლებსაც ჩვენი გუნდის ახალი თავკაცი უნდა აკმაყოფილებდეს.*

*ესენია: უწინარესად მისი ასაკი უნდა იყოს ორმოციდან სამოც წლამდე, კარიერა ამ დროისთვის აღმავალი, ბოლო ათი წლის განმავლობაში სამწვრთნელო საქმიანობაში არ უნდა ჰქონდეს პაუზა მაქსიმუმ ერთ წელიწადზე მეტი. ამასთან საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც დაგვეხმარება ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდაში, მას უნდა მოჰყვეს თან თავის ქვეყანაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. უნდა იყოს ამბიციური. ხელფასის ოდენობა, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ არ უნდა იყოს მთავარი. მან უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა ნაკრები მოამზადოს საიმისოდ, რომ მსოფლიოს თასზე წარმატებას მიაღწიოს.*

*ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მის პიროვნულ თვისებებზე. ის უნდა იყოს კარგი პედაგოგი და ფსიქოლოგი. ამასთან ერთად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ შეეგუება აქაურობას. ერთი სიტყვით, ჩვენ რამდენიმე კანდიდატურა გვყავს შეგულებული, დრო ფიქრისთვის კი საკმარისად, დეკემბრის ბოლომდე გვაქვს. მოვიფიქრებთ და გადავწყვეტთ.*

**ახლა ციდან ყველა მიწაზე უნდა დავეშვათ და ერთად ვიმუშაოთ. ოცნებამ წინ არ უნდა გაუსწროს ობიექტურ რეალობას.**

*თუ რაგბის კავშირის მომავალი ყრილობა გადაწყვეტს, რომ მუშაობა ამჟამინდელმა გუნდმა უნდა განაგრძოს, მაშინ რიჩი დიქსონიც ამ გუნდის წევრად დარჩება, მას ექნება საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი რაგბის კავშირის მუშაობაში.*

*ვფიქრობ, ამჟამად ქართული რაგბი გზაგასაყარზე დგას. ერთი გზა არის განვითარების, რომლის შედეგადაც საქართველოს ნაკრები წინ დიდ ნახტომს გააკეთებს. ეს ყველამ ერთად, ქვეყანამ უნდა შეძლოს, ქართული რაგბი მთელი ქვეყნის მოსავლელია. თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ დაიწყება სტაგნაცია, რომელსაც გარკვეული დროის შემდეგ რეგრესი მოჰყვება. ცხადია, ეს მეორე გზა ჩვენ მიერ არც განიხილება. საამისოდ კი მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო.*

*მიმაჩნია, რომ შემდეგი წელიწადი საქართველოს ნაკრებში უნდა დაეთმოს ექსპერიმენტებს. ახალმა მწვრთნელებმა უნდა გამოსცადონ, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მორაგბე. იმ მოთამაშეთა რიცხვი კი, საიდანაც ნაკრების წევრებს ვირჩევთ, ორმოციდან ასამდე უნდა გაიზარდოს. ვფიქრობთ, რომ თაობათა ცვლა ეროვნულ გუნდში უმტკივნეულოდ ჩაივლის.*

*შემდეგ ოთხწლიან ციკლში დიდი ყურადღება დაეთმობა განათლებას. საქმეს უნდა აკეთებდეს პროფესიონალი. ეს კი განათლების გარეშე შეუძლებელია. უნდა მოვამზადოთ რაც შეიძლება მეტი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები, მსაჯები, მენეჯერები.*

**დაინტერესდით ქართული რაგბით. ეს არის ქართული პროექტი. სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღზრდის პროექტი**

*მაქსიმალურად ვიმუშავებთ იმაზე, რომ მოვიზიდოთ თანხა შიდა ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდებისთვის. ქართულ რაგბის ვერ ექნება სერიოზული პროგრესი, თუ არ განვითარდება ეროვნული ჩემპიონატი. ამისთვის კი საჭიროა არსებობდეს თანაბარ, კარგ პირობებში მყოფი მინიმუმ ხუთი ან ექვსი გუნდი.*

*ქართული კლუბები არსებობენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი საპრიზო თანხებით. ამას აუცილებლად უნდა შეუერთდეს კერძო სექტორიც. მინიმალური ინვესტიციაც კი საკმარისია, რომ კლუბმა ძალიან მალე საკმაოდ სერიოზული წინსვლა, პროგრესი განიცადოს. თუ ეს არ მოხდება, მორაგბეთა გადინება ისევ გაგრძელდება.*

*მინდა მივმართო კერძო სექტორის წარმომადგენლებს, დაინტერესდით ქართული რაგბით. ეს არის ქართული პროექტი. სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღზრდის პროექტი.*

*დიდ ყურადღებას დავუთმობთ მასმედიასთან ურთიერთობას. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი თამაში გადაიცეს ცოცხალ ეთერში, ინტერნეტით, საკაბელო თუ ჩვეულებრივი ტელევიზიებით. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ უფრო იოლად მოვიზიდოთ რაგბიში სპონსორები.*

*ძალიან ბევრი სამუშაოა ახალგაზრდობასთან. უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვები გავზარდოთ სწორად, როგორც სათამაშო ტექნიკის თვალსაზრისით, ასევე ფიზიკურად და მენტალურად. ჩვენ შეგვიძლია უახლოეს პერიოდში რაგბის მოთამაშეთა რიცხვი 30 ათასამდე ავიყვანოთ, თუ ცხადია, გაგრძელდება ინფრასტრუქტურის განვითარება, გაკეთდება მოედნები. ასევე, რაოდენობასთან ერთად უნდა გავზარდოთ ხარისხიც.*

**რიჩი დიქსონი,** საქართველოს რაგბის კავშირის კონსულტანტი:

*„ჩემთვის დიდი პატივი იყო მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ჟურნალისტს ახალზელანდიური ამბების აქტიურად და კარგად გაშუქებისთვის. ამასთან იქ მიღებულმა გამოცდილებამ დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ჩემი საქმიანობა საქართველოს რაგბის კავშირში მომავალში.*

*ჩვენმა ნაკრებმა დიდი პატივისცემა დაიმსახურა, ჩვენ თამასა არა მარტო საჩვენოდ ავწიეთ, არამედ სხვა გუნდებიც ისე გვიყურებენ, როგორც ჩამოყალიბებულ, ძლიერ ნაკრებს.*

*არგენტინასა და იტალიას დიდი დრო დასჭირდათ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბებისთვის, ამ ქვეყნებმა ყველა თავისი რესურსი გამოიყენეს და როცა ელიტის კარი შეაღეს, ის მოთამაშეები, რომლებმაც ეს მოახერხეს, უკვე საკმაოდ ასაკოვანნი იყვნენ. ამიტომ საწყის ეტაპზე მათ წარუმატებლობა განიცადეს.*

*ჩვენ არ გვინდა იგივე შეცდომა გავიმეოროთ. ჩემი საქმიანობა საქართველოში უნდა გაგრძელდეს სხვა მიმართულებით. ძალიან დიდი სამუშაო უნდა ჩავატაროთ, რათა მომავალი თაობები სათანადოდ გავზარდოთ, რათა არ მოხდეს წყვეტა, როცა ელიტაში შევაბიჯებთ.*

*საქართველოს ნაკრებში შეიძლება მოვიდნენ ახალი მწვრთნელები, შეიქმნას ახალი სამწვრთნელო შტაბი. ჩვენ ყველანი მათ გვერდში უნდა დავუდგეთ. ყოველთვის აღტაცებით გავიხსენებ ჩემი ცხოვრების იმ ეტაპს, როცა საქართველოს ნაკრებში ვმუშაობდი, მაგრამ ახლა გვჭირდება ისეთი მწვრთნელები, რომლებიც უფრო მაღალ დონეზე აგვიყვანენ. განვითარების ეს გზა უნდა განვაგრძოთ, თუ გვსურს საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ სარაგბო ერად.*

*წინ რთული სამუშაო გველის. რაგბი კარგი ფანჯარაა ქვეყნისთვის მსოფლიოს ასპარეზზე პოზიციების გასამყარებლად. ამ საქმის კეთებაში ყველაზე დიდი საფრთხე, შესაძლოა, მოუთმენლობა იყოს. სულსწრაფები თუ ვიქნებით, ქართული რაგბი ალივით ამოვარდება და მალევე ჩაქრება. მერე ყველა იკითხავს - რა დაემართა ქართულ რაგბის?*

*ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, აჩქარების გარეშე უნდა მივყვეთ დასახულ გეგმას. ელიტის კარზე სულ მუდამ უნდა ვაკაკუნოთ და როცა გაგვიღებენ, ისე მყარად უნდა შევაბიჯოთ, რომ თამამად ვთქვათ, ჩვენ მოვედით და არსად წასვლას არ ვაპირებთ.*

*ახლა ციდან ყველა მიწაზე უნდა დავეშვათ და ერთად ვიმუშაოთ. ოცნებამ წინ არ უნდა გაუსწროს ობიექტურ რეალობას. 90 წლის ასაკში ინვალიდის ეტლში მჯდომარე ტელევიზორში ელიტაში მოთამაშე საქართველოს ნაკრებს რომ ვნახავ, ვიტყვი, ეს საქართველომ, ყველამ ერთად, მთელმა ქვეყანამ შეძლო".*

**ბესიკ ჯანგავაძე**



საქართველო-ინგლისი. დიმიტრი ბასილაიას ლელო

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ამბები

**ჰოკეი**

### კროსბი ვარჯიშობს, მაგრამ არ თამაშობს

"პიტსბურგ პინგვინზის" კაპიტანმა **სიდნი კროსბიმ** გუშინ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ივარჯიშა. კანადური ჰოკეის ვარსკვლავი, რომელიც იანვრის შემდეგ ტვინის შერყევის გამო არ თამაშობს, **ევგენი მალკინთან** და **ჯეიმს ნილთან** სამეულში მოქმედებდა.

თუმცა ამ დამაიმედებელი ინფორმაციის მიუხედავად, სიდნი გამოტოვებს უახლოეს საშინაო შეხვედრას, რომელშიც "პიტსბურგი" "კოლორადოს" უმასპინძლებს.

### ანაჰაიმმა ჰაგმანი დაიმაგრა

"კალგარის" ფორვარდი **ნიკლას ჰაგმანი**, რომელიც კანადურმა კლუბმა ტრანსფერზე დააყენა, "ანაჰაიმში" გააგრძელებს კარიერას. ამერიკული პრესა წერს, რომ "იხვები" შვედი ჰოკეისტის სამმილიონიანი კონტრაქტის მხოლოდ ნახევარს გადაიხდიან, დანარჩენ თანხას კი "კალგარი" დაფარავს.

მიმდინარე სეზონში ჰაგმანმა 8 მატჩი ჩაატარა და 4 ქულა (1+3) დააგროვა.

### კოლორადოს ახალი კაპიტანი

"კოლორადოს" 35 წლის ფორვარდი **მილან ჰეიდუკი** კლუბის გულშემატკივრებმა კაპიტნად აირჩიეს" – წერს ამერიკული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. ასე რომ, ჩეხი თავდამსხმელი მესამე კაპიტანი გახდა "კოლორადოს" ისტორიაში: მანამდე ეს მისია დაკისრებული ჰქონდათ **ჯო საკიკსა** და **ადამ ფუტს**.

ჰეიდუკი "კოლორადოში" 1998 წლიდან თამაშობს და NHL-ში 927 მატჩი ჩაატარა. ამ დროის განმავლობაში მისი მონაგარი 769 (364+405) ქულას შეადგენს. ჩეხმა 2001 წელს "ეველანშის" შემადგენლობაში სტენლის თასი მოიგო.

*"ჩემთვის უდიდესი პატივია ვიყო "კოლორადოს" კაპიტანი,* - აღნიშნა ჰეიდუკმა. – *ამ გუნდში ჩატარებული პირველივე მატჩიდან ვგრძნობდი გულშემატკივრების, კლუბის ხელმძღვანელებისა და სამწვრთნელო შტაბის მხარდაჭერას. მოუთმენლად ველი, როდის გავალ მაისურზე შესაბამისი წარწერით მოედანზე".*

**კალათბურთი**

### პაომ ლიდერი დაკარგა

ევროლიგის მოქმედი ჩემპიონის "პანათინაიკოსის" ცენტრმა **კოსტას ცარცარისმა** კონტინენტის მთავარი ევროტურნირის მეოთხე ტურში მოსკოვის ცსკა-ს წინააღმდეგ ფეხის ტრავმა მიიღო. ბერძნულმა გრანდმა თავისი ერთ-ერთი ვეტერანი დაახლოებით ერთი თვით დაკარგა.

32 წლის კალათბურთელი შეუერთდა "პანათინაიკოსის" ლაზარეთში მყოფ კიდევ ერთ წამყვან მოთამაშეს **სტრატოს პერპეროგლუს**.

### კასპი მაკაბიში გადავიდა

„კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდმა **ომრი კასპიმ** ლოკაუტის პერიოდში სამშობლოში თამაში გადაწყვიტა. მან კონტრაქტი გააფორმა ისრაელის ჩემპიონ თელ-ავივის „მაკაბისთან" და ამ გუნდს უახლოეს დღეებში შეუერთდება.

გასულ სეზონში კასპიმ 71 მატჩი ჩაატარა NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში და საშუალოდ 8.6 ქულა და 4.3 მოხსნა დააგროვა.

**ფორმულა 1**

### HRT ესპანეთში დაბანაკდება

ესპანური საჯინიბოს HRT-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გუნდის ძირითადი ბაზა ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში გადაიტანოს. თუმცა ტექნიკური შტაბი კვლავაც მიუნხენში იქნება განთავსებული.

იტყობინებიან: ესპანეთში გადასვლა იმით არის განპირობებული, რომ გუნდმა უნდა დაალაგოს ურთიერთობა პოტენციურ სპონსორებთან.

**ოლიმპიზმი**

### ლონდონს რაკეტებით დაიცავენ

ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი **ფილიპ ჰემონდის** განცხადებით, ქვეყანა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს ლონდონის ოლიმპიადის დროს ტურისტების უსაფრთხოება.

მინისტრმა ისიც განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში ინგლისელები გამოიყენებენ „დედამიწა-ჰაერის" კლასის რაკეტებს. გარდა ამისა, თამაშების ჩატარების პერიოდში ათასობით ბრიტანელი მეომარი განთავსდება ლონდონის სპორტული ნაგებობების ტერიტორიაზე.

**ველოსპორტი**

### კონტადორს გაასამართლებენ

მომავალ ორშაბათს ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონი **ალბერტო კონტადორი** ლოზანაში ჩავა და საარბიტრაჟო სასამართლოში დაესწრება სადოპინგო სკანდალთან დაკავშირებული საქმის განხილვას. როგორც იცით, შარშან ესპანელ ველომრბოლს აკრძალული პრეპარატის გამოყენებაში დასდეს ბრალი და თუ მისი დანაშაული დამტკიცდება, სავარაუდოდ, სპორტსმენს ჩამოართმევენ 2010 წელს ტურ და ფრანსზე მოპოვებულ გამარჯვებას.

საქმის მოსმენა ოთხ დღეს გაგრძელდება, თუმცა საბოლოო ვერდიქტი მომავალი წლის იანვარში გახდება ცნობილი. შეგახსენებთ, რომ კონტადორის ინფორმაციით აკრძალული პრეპარატი მის ორგანიზმში უხარისხო ხორცის მიღებით მოხვდა.

**კრივი**

### დიდი კრივი ჰელსინკიში

ამა წლის 3 დეკემბერს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში დიდი საკრივო შოუ გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი მძიმეწონოსანი **რობერტ ჰელენიუსი** (16 მოგება, 11 ნოკაუტით). გუშინ ცნობილი გახდა მისი მეტოქის ვინაობა. ეს გახლავთ ბრიტანელი **დერეკ ჩისორა** (15 მოგება, 9 ნოკაუტით, ერთი წაგება). ამ ბრძოლაში გათამაშდება EBU-ის ვერსიით ევროპის ჩემპიონის ტიტული, რომელიც უკრაინელ **ალექსანდრ დმიტრენკოს** ეკუთვნოდა, მაგრამ ჩამოერთვა იმის გამო, რომ უახლოესი სამი კვირის განმავლობაში ტრავმის გამო ვერ შეძლებდა მის დაცვას.

შეგახსენებთ, რომ ამავე საღამოს მძიმეწონოსანთა შორის კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართება. WBA-ის ვერსიით ტიტულს დაიცავს რუსი **ალექსანდრ პოვეტკინი**, რომელიც ამერიკელ **სედრიკ ბოსველს** შეხვდება.

**ცურვა**

### ფელპსის ახალი კონტრაქტი

ლეგენდარულმა ამერიკელმა მოცურავემ, 14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაიკლ ფელპსმა** სპონსორული ხელშეკრულება გააფორმა კომპანია Procter & Gamble-სთან. გარიგების თანახმად, სახელოვანი სპორტსმენი რეკლამას გაუწევს ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნს.

*„ხუთი წლის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ მოცურავე კონტრაქტს გააფორმებდა კომპანიასთან, რომელიც თმის მოვლაზე სპეციალიზდება. მაგრამ ეს კარგი გარიგებაა. ამ პროდუქციას მრავალი წელია ვხმარობ, რადგან აუზებში ძალიან ბევრი ქლორია,* - ამბობს სააგენტო „როიტერთან" კომენტარში ფელპსი. - *ჩემი სპონსორები - ოჯახის წევრებივით არიან. ზოგიერთი მათგანი ჩემს გვერდით დგას კარიერის საწყისი წლებიდან. ისინი ყოველთვის მხარში მედგნენ კარგ და ცუდ პერიოდებში".*

## კალათბურთი

# NBA დაგვემშვიდობა

გუშინ, გვიან ღამით პრაქტიკულად გადაწყდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 2011-12 წლების სეზონის ბედი. მოთამაშეთა პროფკავშირმა უარყო კლუბების მფლობელთა მიერ შედგენილი კოლექტიური ხელშეკრულების ახალი ვარიანტი, რაც ლოკაუტის გაგრძელებასა და სავარაუდოდ, NBA-ში სეზონის ჩაშლას ნიშნავს.

შეგახსენებთ, თუ კალათბურთელები თანხმობას განაცხადებდნენ ხელშეკრულების ამ ვარიანტზე, მაშინ მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში სეზონი 15 დეკემბერს დაიწყებოდა და თითო გუნდი რეგულარულ ჩემპიონატში 72 მატჩს ჩაატარებდა.

*„მოთამაშეებმა გააცნობიერეს, რომ მზად არ არიან ამ წინადადების მისაღებად, რადგან ის არასამართლიანად მიაჩნიათ. ახლა ვაპირებთ გავაგრძელოთ სასამართლო პროცესი, რომელშიც ლიგის ხელმძღვანელობა მონოპოლიაში იქნება დადანაშაულებული. თუ ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდება, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება შექმნილ სიტუაციაში. ორი წლის განმავლობაში მოთამაშეები კეთილსინდისიერად ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ლოკაუტი, მაგრამ ლიგის ხელმძღვანელობამ და კლუბების მფლობელებმა არ გადმოდგეს შემხვედრი ნაბიჯები",* - განაცხადა პრესკონფერენციაზე პროფკავშირების აღმასრულებელმა დირექტორმა **ბილი ჰანტერმა**.

*„რაც უფრო მეტხანს მიდიოდა მოლაპარაკებები კლუბების მფლობელებთან, მით უფრო უკეთ ვხვდებოდით, რომ ის შედეგს არ მოიტანდა. ახლა, ჩვენს იურისტებს სრულ თავისუფლებას მივცემთ მოქმედებაში და ისინი სარჩელს შეიტანენ ლიგის წინააღმდეგ ანტიმონოპოლიურ კომიტეტში. კვლავინდებურად გვინდა დავუბრუნდეთ ჩვენს სამუშაოს და გავაგრძელოთ მოლაპარაკებები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას არ მივყავართ საჭირო შედეგამდე",* - ეს პროფკავშირების პრეზიდენტის, **დერეკ ფიშერის** სიტყვებია.

*„პროფკავშირის გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ 2011-12 წლების სეზონი რეალური საფრთხის წინაშეა. ჩემი აზრით, მოთამაშეებს ამ საქციელით უბრალოდ კლუბების მფლობელთა შეშინება სურდათ.*

*როცა ორი წლის განმავლობაში აწარმოებთ მოლაპარაკებებს და კომპრომისამდე ვერ მიდიხართ, ამ შემთხვევაში დგება არჩევანის მომენტი - ჩატარდეს თუ არა სეზონი? მე არ მივიჩნევ ამას ულტიმატუმად. ეს მართლაც ნამდვილი ტრაგედიაა. მაკვირვებს ის მონდომება, რომლითაც კალათბურთელები საკუთარ თვითგანადგურებაზე წავიდნენ.*

*მე რომ მოთამაშე ვიყო, პირველ რიგში დავფიქრდებოდი იმაზე, რას აკეთებს ჰანტერი. კალათბურთელებმა უდიდესი შეცდომა დაუშვეს, როცა ცალკეული პიროვნებების პროვოკაციებზე წამოეგნენ",* - ასეთი კომენტარი გააკეთა შექმნილ სიტუაციაზე ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა**.

საყოველთაო შეფასებით, ასეთ სიტუაციაში წაგებულნი, პირველ რიგში, კალათბურთელები დარჩებიან. აუცილებლად ასრულდება სტერნის წინასწარმეტყველება და მოთამაშეებს მოგვიანებით გაცილებით უარეს პირობებზე მოუწევთ დათანხმება, ვიდრე ახლა სთავაზობდნენ. რაღაც მსგავსი რამდენიმე წლის წინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოხდა. მაშინაც ჰოკეისტები ჯიუტად იდგნენ თავისაზე და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლას აპირებდნენ... შემდეგ რა მოხდა? სეზონი მთლიანად დაიკარგა, რის შემდეგაც მოთამაშეებმა პოზიციები დათმეს და იმის ნახევარი მიიღეს, რასაც ერთი წლის წინ კლუბების მფლობელები სთავაზობდნენ.

კარგად დაწერა გუშინდელი შეხვედრის შემდეგ **მატიას კანტორმა**, რომელიც „ტვიტერზე" ლიგის სიახლეებს ათავსებს მეტსახელით - „დოქტორი NBA". *„დღევანდელი დღე - ყველაზე ბედნიერია ევროლიგის ფანებისთვის",* - სამართლიანად აღნიშნა მან. რამდენიმე კარგი კალათბურთელი უკვე წავიდა ევროპაში სათამაშოდ, ბოლო დღეებში ბევრ წერენ რამდენიმე კლუბის მხრიდან **კევინ დურანტით** დაინტერესების შესახებ, ასე რომ, საკალათბურთო ცენტრი, მინიმუმ ერთი წლით, შესაძლოა, ევროპაში გადმოვიდეს.



მოთამაშეებმა უარი თქვეს

## ავტოსპორტი. ნასკარი

# ყველაფერს ბოლო ეტაპი გაარკვევს

გასულ უქმეებზე ფორმულა 1-ის მსგავსად, ბოლოსწინა ეტაპი გაიმართა ნასკარის სერიაში, სადაც უკიდურესად დაიძაბა ბრძოლა ჩემპიონის ტიტულისთვის. საერთო ჩათვლის ლიდერებმა - **კარლ ედვარდსმა** და **ტონი სტიუარტმა** მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს და ახლა ედვარდსი ბოლო ეტაპის წინ მხოლოდ სამი ქულით უსწრებს სტიუარტს.

ბოლოსწინა ეტაპს ფინიქსის საერთაშორისო ავტოდრომი მასპინძლობდა. პოულიდან სტარტი **მეტ კენსეტმა** აიღო, თუმცა ის თავიდანვე შეავიწროეს საერთო ჩათვლის ლიდერებმა. ოღონდ, სანამ ტონი სტიუარტი და კარლ ედვარდსი გააქტიურდებოდნენ, ავარია მოხდა **დევიდ რეგანსა** და **რეგან სმიტს** შორის. მეორე წრეზე მანქანებს შორის კონტაქტის შემდეგ ორივენი კედელს შეეჯახნენ და ტრასაზე ყვითელი დროშები გამოფინეს.



სტარტი

შემდეგ კი დაიწყო შეტევები რბოლის ლიდერ მეტ კენსეტზე. ტონი სტიუარტმა მას 36 წრეზე გაუსწრო და სათავეში ჩაუდგა პელოტონს. სტიუარტი თითქმის მთელი რბოლის განმავლობაში კარგად გამოიყურებოდა და 312 წრიდან 160 ლიდერის რანგში გაატარა. მაგრამ კარლ ედვარდსიც აქტიური იყო და 167 წრეზე მანაც შეძლო წინ გასვლა ისევ და ისევ კენსეტის გასწრების შემდეგ.

და მაინც, გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი სტიუარტს ჰქონდა, რომ არა ფინიშამდე 18 წრით ადრე იძულებითი პიტსტოპი. ამით კარგად ისარგებლეს **კეისი კეინმა** და კარლ ედვარდსმა, რომლებმაც გაითამაშეს კიდეც ფინიშზე პირველობა. კეინმა საერთო ჩათვლის ლიდერს 8 მეათედი წამი მოუგო და 81-რბოლიანი პაუზის შემდეგ ნასკარის სერიის ეტაპზე გაიმარჯვა. 4-წამიანი ჩამორჩენით მივიდა ფინიშთან ტონი სტიუარტი.

ახლა ედვარდსა და სტიუარტს შორის სხვაობა მხოლოდ სამი ქულაა და ყველაფერი 20 ნოემბერს დასკვნით ეტაპზე გაირკვევა, რომელსაც მაიამი უმასპინძლებს.

**NASCAR Sprint Cup**

**ფინიქსი (აშშ)**

1. **კეისი კეინი** („ტოიოტა") - 312 წრე; 2. **კარლ ედვარდსი** („ფორდი") - +0.802; 3. **ტონი სტიუარტი** („შევროლე") - +4.319; 4. **ჯეფ ბარტონი** („შევროლე") - +4.634; 5. **რაიან ნიუმანი** („შევროლე") - +5.865; 6. **ეი ჯეი ოლმენდინგერი** („ფორდი") - +7.297; **დევიდ როიტემანი** („ტოიოტა") - +7.609; 8. **მარკოს ემბროუზი** („ფორდი") - +9.198; 9. **პოლ მენარდი** („შევროლე") - +14.865; 10. **კლინტ ბოუიერი** („შევროლე") - +16.740; 11. **ჯოი ლოგანო** („ტოიოტა") - +21.251; 12. **დენი ჰემლინი** („ტოიოტა") - +23.409; 13. **გრეგ ბაიფლი** („ფორდი") - 1 წრე; 14. **ჯიმი ჯონსონი** („შევროლე") - 1 წრე; 15. **ხუან პაბლო მონტოია** („შევროლე") - 1 წრე...

**საერთო ჩათვლა**

1. **კარლ ედვარდსი** - 2359; 2. **ტონი სტიუარტი** - 2356; 3. **კევინ ჰარვიკი** - 2308; 4. **ბრედ კასელოვსკი** - 2294; 5. **ჯიმი ჯონსონი** - 2291; 6. **მეტ კენსეტი** - 2289; 7. **დეილ ერნჰარდტი** - 2257; 8. **კურტ ბუში** - 2252; 9. **რაიან ნიუმენი** - 2252; 10. **დენი ჰემლინი** - 2249; 11. **ჯეფ გორდონი** - 2247; 12. **კაილ ბუში** - 2224...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ფავორიტებმა საბოლოოდ გაიღვიძეს



ტრადიციულად, ოთხშაბათის ნომერში გთავაზობთ ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის გასული კვირის მიმოხილვას.

ალბათ, არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ „კვირის გუნდის“ ნომინაციაში „ბოსტონ ბრუინზი“ გაიმარჯვებდა. როგორც იცით, სტენლის თასის მოქმედ მფლობელს ძალიან ცუდი სტარტი გამოუვიდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ეს დროებითი ჩავარდნა გახლდათ და გუნდი მალე დაიწყებდა პლეი ოფის ზონაში მოსახვედრად საჭირო ქულების დაგროვებას. აღსანიშნავია კლუბის ხელმძღვანელობის მოთმინება, რადგან პირველი ორი კვირის განმავლობაში ბევრი ჭორი იყო იმაზე, თითქოს „ბოსტონის“ მენეჯმენტი პანიკაშია და მზად არის გუნდის გამოსაცოცხლებლად ტრეიდების განსახორციელებლად.

არანაირი გაცვლები საჭირო არ გახდა და „დათვებმა“ შარშანდელი ძლიერი შემადგენლობით ზედიზედ ხუთმატჩიანი მოგებათა სერია მოაწყვეს. კონკრეტულად ბოლო კვირის განმავლობაში „ბოსტონმა“ ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო. თუ არ ჩავთვლით „აილენდერსთან“ პროგნოზირებად გამარჯვებას, „ბრუინზი“ გაუმკლავდა ძლიერ „ტორონტოსა“ და „ბაფალოს“ და ასევე დღეს საინტერესო „ედმონტონს“.

ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებს გოლების სტატისტიკა - ხუთ მატჩში **ჟულიენის** გუნდმა მეტოქეთა კარში 30 შაიბა გაიტანა! მიუხედავად იმისა, რომ „დათვები“ კონფერენციაში მე-12 ადგილზე იმყოფებიან, მათი შეტევა კონფერენციაში მხოლოდ „ოტავას“, „ვაშინგტონისა“ და „ფილადელფიას“ მაჩვენებლებს ჩამორჩება.

### კვირის სამი ვარსკვლავი

**ტაილერ სეგუინი (ბოსტონი).** გასულ სეზონში სეგუინმა 74 მატჩში 11 გოლი გაიტანა და 22 ქულა დააგროვა. ამ სეზონის 15 შეხვედრაში კი „ბოსტონის“ 19 წლის ფორვარდის ანგარიშზე უკვე 11 შაიბა და 20 ქულა მოდის. პროგრესი აშკარაა და ტაილერი თანდათან „დათვების“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშედ ყალიბდება. ის საშუალოდ მოედანზე 17 წუთს ატარებს.

გასული კვირა მართლაც გამორჩეული იყო სეგუინისთვის. ოთხ მატჩში მის ანგარიშზე ცხრა ქულა მოდის, თანაც 7 (!) შაიბა გაიტანა. უფრო მეტიც, ტაილერმა სამჯერ გაიტანა გამარჯვების გოლი და ერთხელ ჰეთ-თრიკი შეასრულა. მოკლედ, „ბოსტონს“ ძალიან გამოადგა „ტოროტოს“ დრაფტ-პიკი.

**ჯიმი ჰოვარდი (დეტროიტი).** „ბოსტონის“ მსგავსად, სეზონის სტარტი არც „დეტროიტს“ გამოუვიდა და კარგა ხანი პლეი ოფის ზონის მიღმა იყო. მაგრამ დასავლეთის ერთ-ერთი ფავორიტი დროულად მოეგო გონს, ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო და ისევ ჩაეწერა ლიდერთა შორის.

„რედ უინგზის“ გამარჯვებათა ერთ-ერთი გარანტი გახდა მეკარე ჯიმი ჰოვარდი, რომელიც ამ ოთხივე მოგებაში მონაწილეობდა. 27 წლის გოლკიპერი ორზე მეტ გოლს არ უშვებდა მატჩში, ხოლო „ანაჰაიმისა“ და „ედმონტონის“ წინაამდეგ შატაუტი შეასრულა. საბოლოოდ, მისი სტატისტიკური მაჩვენებლები ასეთია: საშუალოდ 1.33 გაშვებული შაიბა და მეტოქეთა დარტყმების მოგერიების 94.8 პროცენტი.

**ჯონათან ტეუვზი (ჩიკაგო).** კვირის მესამე ვარსკვლავი „ჩიკაგო ბლეკჰოქსის“ ცენტრალური ფორვარდი ჯონათან ტეუვზი გახდა. ის თავის გუნდს გასულ კვირას რეგულარული ჩემპიონატის ლიდერობის მოპოვებაში დაეხმარა. ტეუვზის ანგარიშზე 4 მატჩში ოთხი გოლი და ორი საგოლე პასი მოდის.

**კაროლინა-ფილადელფია 3:5**

1:2, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 კ. ჟირუ-10 (იაგრი-10, პრონგერი-7), 0:2 ტელბოტი-6 (რიდი-5, ვორაჩეკი-8), 1:2 დუაიერი-1 (ე. სტაალი-4), 1:3 კ. ჟირუ-11 (იაგრი-11), 1:4 სიმონდსი-4 (კ. ჟირუ-11, პრონგერი-8), 2:4 ტ. რუუტუ-7 (ი. იოკინენი-9, სკინერი-11), 3:4 დუაიერი-2 (ბულიტი), 3:5 რიდი-5 (ვორაჩეკი-9, პრონგერი-9).

**მონრეალი-ბაფალო 2:3 (ბ)**

0:0, 2:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 კოული-4 (სუბანი-6, პასიორეტი-6), 2:0 პასიორეტი-8 (დეშარნე-8, კოული-4), 2:1 პომინვილი-7 (დ. როი-8, ვანეკი-10), 2:2 დ. როი-6 (ვანეკი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** ვანეკი (ბაფალო), პასიორეტი (მონრეალი), ბოიესი (ბაფალო).

**ვინიპეგი-ტამპა ბეი 5:2**

2:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ე. კეინი-6 (ბაფლინი-8, ბურმისტროვი-7), 2:0 ბაფლინი-3 (ე. კეინი-5), 3:0 ფლუდი-3 (სტეპლტონი-4, ლიტლი-4), 3:1 სან ლუი-4 (სტემკოსი-7, ლეკავალიე-7), 4:1 ლედი-5 (ოდუია-4, უელვუდი-6), 5:1 სტეპლტონი-2 (გლასი-6), 5:2 სტემკოსი-11 (გილროი-5).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფილადელფია* | 17 | 10 | 4 | 3 | 23 |
| 2. ბაფალო* | 17 | 11 | 6 | 0 | 22 |
| 3. ვაშინგტონი* | 15 | 10 | 4 | 1 | 21 |
| 4. პიტსბურგი | 17 | 10 | 4 | 3 | 23 |
| 5. რეინჯერსი | 15 | 9 | 3 | 3 | 21 |
| 6. ტორონტო | 17 | 10 | 6 | 1 | 21 |
| 7. ფლორიდა | 16 | 8 | 5 | 3 | 19 |
| 8. ტამპა ბეი | 17 | 8 | 7 | 2 | 18 |
| 9. ნიუ ჯერსი | 15 | 8 | 6 | 1 | 17 |
| 10. მონრეალი | 17 | 7 | 7 | 3 | 17 |
| 11. ოტავა | 18 | 8 | 9 | 1 | 17 |
| 12. ბოსტონი | 15 | 8 | 7 | 0 | 16 |
| 13. კაროლინა | 18 | 6 | 9 | 3 | 15 |
| 14. ვინიპეგი | 18 | 6 | 9 | 3 | 15 |
| 15. აილენდერსი | 14 | 4 | 7 | 3 | 11 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 18 | 11 | 4 | 3 | 25 |
| 2. დალასი* | 16 | 11 | 5 | 0 | 22 |
| 3. მინესოტა* | 17 | 9 | 5 | 3 | 21 |
| 4. ედმონტონი | 17 | 9 | 6 | 2 | 20 |
| 5. დეტროიტი | 15 | 9 | 5 | 1 | 19 |
| 6. ფინიქსი | 15 | 8 | 4 | 3 | 19 |
| 7. სან ხოსე | 15 | 9 | 5 | 1 | 19 |
| 8. ნეშვილი | 16 | 8 | 5 | 3 | 19 |
| 9. ლოს ანჯელესი | 17 | 8 | 6 | 3 | 19 |
| 10. ვანკუვერი | 18 | 9 | 8 | 1 | 19 |
| 11. სტ. ლუისი | 16 | 8 | 7 | 1 | 17 |
| 12. კოლორადო | 17 | 8 | 8 | 1 | 17 |
| 13. კალგარი | 16 | 7 | 8 | 1 | 15 |
| 14. ანაჰაიმი | 17 | 6 | 8 | 3 | 15 |
| 15. კოლამბუსი | 16 | 3 | 12 | 1 | 7 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ფილ კესელი (ტორ) | 24 (12+12) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 22 (11+11) |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 22 (11+11) |
| დანიელ სედინი (ვან) | 22 (6+16) |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 21 (8+13) |
| ჯეისონ პომინვილი (ბაფ) | 21 (7+14) |
| ტაილერ სეგუინი (ბოს) | 20 (11+9) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 20 (6+14) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 20 (5+15) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ფილ კესელი (ტორ) | 12 |
| მილან მიხალეკი (ოტა) | 11 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 11 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 11 |
| ტაილერ სეგუინი (ბოს) | 11 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 11 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 11 |
| რაიან სმიტი (ედმ) | 10 |

**პასები**

| | |
|---|---|
| დანიელ სედინი (ვან) | 16 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 15 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 15 |
| ბრაიან კემპბელი (ფლო) | 15 |
| ჯეისონ პომინვილი (ბაფ) | 14 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 14 |
| ჯეიმი ბენი (დალ) | 14 |

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2012**

**პლეი ოფი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ხორვატია-თურქეთი | 0:0 (3:0) |
| ჩერნოგორია-ჩეხეთი | 0:1 (0:2) |
| ირლანდია-ესტონეთი | 1:1 (4:0) |
| პორტუგალია-ბოსნია | 6:2 (0:0) |

**ევრო 2012**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| კვიპროსი-გერმანია | 0:3 |
| უკრაინა-ლიტვა | 2:0 |
| მალტა-შვედეთი | 0:1 |
| სომხეთი-უელსი | 0:0 |
| მაკედონია-დანია | 1:1 |
| ჩრ. ირლანდია-სერბეთი | 0:2 |
| იტალია-უნგრეთი | 2:0 |
| ბულგარეთი-ავსტრია | 1:1 |

**ევრო 2012**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| ხორვატია-ჰოლანდია | 0:0 |
| ფინეთი-მოლდოვა | 4:2 |
| შვეიცარია-უკრაინა | 1:1 პენ. 3:5 |
| მაკედონია-ყაზახეთი | 2:1 |

**მს. ჩემპიონატი**

**შესარჩევი. აზია**

| | |
|---|---|
| სინგაპური-ჩინეთი | 0:4 |
| იორდანია-ერაყი | 1:3 |
| ლიბანი-ს. კორეა | 2:1 |
| ქუვეითი-საემიროები | 2:1 |
| ჩრ. კორეა-იაპონია | 1:0 |
| უზბეკეთი-ტაჯიკეთი | 3:0 |
| ტაილანდი-ავსტრალია | 0:1 |
| ს. არაბეთი-ომანი | 0:0 |
| ინდონეზია-ირანი | 1:4 |
| კატარი-ბაჰრეინი | 0:0 |

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| ბურუნდი-ლესოტო | 2:1 |
| მადაგასკარი-ეკ. გვინეა | 2:1 |
| ტანზანია-ჩადი | 0:1 |
| კენია-სეიშელი | 4:0 |
| რუანდა-ერითრეა | 3:1 |
| კონგო-სან ტომე | 1:1 |
| კდრ-სვაზილენდი | 5:1 |
| ტოგო-გვინეა ბისაუ | 1:0 |
| მოზამბიკი-კომოროსი | 4:1 |
| ნამიბია-ჯიბუტი | 4:0 |

**კონკაკაფი**

| | |
|---|---|
| ტრინიდადი-გუიანა | 2:0 |
| გრენადა-გვატემალა | 1:4 |
| სტ. ვინსენტი-ბელიზე | 0:2 |
| ჰაიტი-ანტიგუა | 2:1 |

**ს. ამერიკა**

| | |
|---|---|
| კოლუმბია-არგენტინა | 1:2 |
| ეკვადორი-პერუ | 2:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰონდურასი-სერბეთი | 2:0 |
| მაკედონია-ალბანეთი | 0:0 |
| ბელარუსი-ლიბია | 1:1 |
| ნიგერია-ზამბია | 2:0 |
| განა-გაბონი | 2:1 |
| გვინეა-ბურკინა ფასო | 1:1 |
| სლოვენია-აშშ | 2:3 |
| ნიგერი-ბოტსვანა | 1:1 |
| ზიმბაბვე-ს. აფრიკა | 2:1 |
| უკრაინა-ავსტრია | 2:1 |
| დანია-ფინეთი | 2:1 |
| ლუქსემბურგი-შვეიცარია | 0:1 |
| საბერძნეთი-რუმინეთი | 1:3 |
| პოლონეთი-უნგრეთი | 2:1 |
| გერმანია-ჰოლანდია | 3:0 |
| იტალია-ურუგვაი | 0:1 |
| ინგლისი-შვედეთი | 1:0 |
| საფრანგეთი-ბელგია | 0:0 |
| კოსტა რიკა-ესპანეთი | 2:2 |

**უნგრეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| დიორი-ლომბარდი | 1:3 |
| კაპოშვარი-პეჩი | 1:0 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ცედევიტა | 73:56 |
| აზოვმაში-ლე მანი | 79:76 |
| ბანვითი-სკაილაინერსი | 73:72 |
| ბუდუჩნოსტი-ტუროვი | 75:50 |
| დონეცკი-ჰაპოელი (ი) | 80:71 |
| ციბონა-გრაველინი | 71:101 |
| ვეფ რიგა-პაოკ | 80:74 |
| არისი-ნიმბურკი | 55:64 |
| ვილერბანი-ვალენსია | 87:78 |
| გრონინგენი-რუდუპისი | 77:82 |
| ბავარია-ბენეტონი | 72:62 |
| მონსი-ალბა | 74:78 |
| კრკა-ლეტუვოს რიტასი | 65:73 |
| ოსტენდე-აკადემიკი | 65:66 |
| შოლე-ხიმკი | 63:75 |
| გრან კანარია-ლოკომოტივი | 84:76 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ნეფტიხიმიკი-ს. იულიაევი | 3:4 (ბ) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-შტრაუბინგი | 2:3 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| მანგლერუდი-სტავანგერი | 3:6 |
| სტორჰამარი-სპარტა | 3:2 |
| სტიერნენი-ლორენსკოგი | 1:6 |
| ლილეჰამერი-ვოლერენგა | 6:3 |
| ფრისკ ასკერი-რუსენბორგი | 0:7 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-სლოვანი | 1:5 |
| ზვოლენი-კოშიცე | 2:8 |
| პოპრადი-სკალიცა | 3:6 |
| ტრენჩინი-მარტინი | 1:3 |
| ნიტრა-ბისტრიცა | 4:3 (ო) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-პელიკანსი | 5:3 |
| კერპეტი-ილვესი | 2:1 |
| ტპს-იუვიასკიულა | 1:5 |
| ჰიფკ-ლუკო | 4:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| სერვეტი-დავოსი | 3:4 (ბ) |
| ცუგი-ბილი | 3:4 (ბ) |
| ციურიხი-ბერნი | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ვაქსიო-ფრიოლუნდა | 3:1 |

**ჭადრაკი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ჰოუ იფანი (ჩინ)-კონერუ (ინდ) | 0.5:0.5 |

ფორმულა 1

# სად წავა სუტილი?



ადრიან სუტილი

გერმანელი პილოტი **ადრიან სუტილი** ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პერსონაჟად რჩება პილოტთა ბაზარზე. გერმანელ ავტომრბოლს არაერთხელ უთქვამს, რომ სურს მომავალ სეზონში „ფორს ინდიაში“ დარჩენა, მაგრამ ინდური საჯინიბო აჭიანურებს გადაწყვეტილების მიღებას.

აბუ დაბის რბოლის წინ ადრიან სუტილმა გერმანული ტელევიზიისთვის RTL-თვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ძალიან მალე შეიტყობს გუნდის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ - შესაძლოა, ეს მომავალ კვირასაც კი მოხდეს. ამ ინფორმაციას გერმანელი პილოტის მენეჯერი **მანფრედ ციმერმანიც** ადასტურებს.

*„ჩვენ ბრაზილიის ეტაპამდე უნდა გავიგოთ, რომელი გუნდის სახელით გამოვა 2012 წელს ადრიანი“*, - განაცხადა ციმერმანმა.

სუტილს რამდენიმე ვარიანტი აქვს - „ფორს ინდია“, „უილიამსი“, „ლოტუსი“ და HRT. მუხედავად იმისა, რომ იტალიელ **იარნო ტრულის** დადასტურებული კონტრაქტი აქვს, მისი მომავალი „ლოტუსის“ შემადგენლობაში ჯერ გაურკვეველია. დადის ჭორი იმის შესახებ, რომ იტალიელი შეიძლება შეცვალოს ბელგიელმა **ჟერომ დ'ამბროზიომ**, რომელიც ჯერ კიდევ ზაფხულში განიხილავდა „ლოტუსის“ შეფთან **ტონი ფერნანდესთან** კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობას.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

TV პროგრამა

**16 ნოემბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
12:00 ამხანაგური მატჩი. გერმანია-ჰოლანდია.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ამერიკა.
16:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
22:00 ამხანაგური მატჩი. გერმანია-ჰოლანდია.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი - ტოტენჰემი
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. იუტა-დალასი.
14:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
17:00 სპორტული ტანვარჯიში. ფინალი. კაცები.
19:30 სპორტ-NEWS.
20:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-ატლეტიკო.
22:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
22:45 კალათბურთი. ევროლიგა.
01:30 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. იუტა-დალასი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
10:25 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა.
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ნიურნბერგი.
19:30 ცურვა. მსოფლიოს თასი. ტოკიო. იაპონია.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
22:00 საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
23:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

22:10 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ფენერბაჰჩე-კანტუ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

19:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. უნივერსიტეტი-კოპერი (LIVE).
23:40 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზაგრები-ჟალგირისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

19:45 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-უნიკახა (LIVE).
23:25 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. კახა ლაბორალი-ბილბაო (LIVE).

**SPORT+**

19:45 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-უნიკახა (LIVE).
23:25 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. როს კასარესი-უგმკ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



# ირვაინს ჩხუბისთვის ასამართლებენ

30 იანვარს, მილანში დაიწყება სასამართლო პროცესი, რომელიც ღამის კლუბ Hollywood-ში მომხდარ ჩხუბს უკავშირდება. ამ საქმეში ფიგურანტებად გადიან ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ედი ირვაინი** და ქალაქის ყოფილი მერის ვაჟი **გაბრიელე მორატი**. მხარეებმა არ მოისურვეს ერთმანეთში კონფლიქტის მოგვარება და ახლა ყველაფერს სასამართლო დაადგენს.

Correra dello Serra-ს ინფორმაციით, ეს ისტორია 2008 წლის 20 დეკემბერს დაიწყო. სწორედ მაშინ, პოპულარულ ღამის კლუბში მისულმა მორატიმ ირვაინი თავისი ყოფილი შეყვარებულის კომპანიაში აღმოაჩინა. მამაკაცებს შორის ჯერ სიტყვიერ შელაპარაკებას ჰქონდა ადგილი, შემდეგ კი მათ შორის ჩხუბი ატყდა. ედის თქმით, იტალიელმა მას სახეში გაარტყა, ირლანდიელმა პილოტმა კი საპასუხოდ მერის ვაჟს ჭიქა ესროლა.

ჩხუბი საკმაოდ სერიოზული იყო. ექიმებმა მორატისაც და ირვაინსაც საკმაოდ სერიოზული დაზიანებები აღმოუჩინეს. რა თქმა უნდა, არც ერთი მხარე არ აპირებს საკუთარი დანაშაულის აღიარებას. ასე რომ, ახლა სიტყვა მილანელ მოსამართლე **პაოლო ტოტიზეა**.

ჩოგბურთი

# მიურეი ჯოკოვიჩთან მოხვდა, ფედერერი ნადალთან

გუშინ, ლონდონში გაიმართა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) შემაჯამებელი ტურნირის წილისყრა. სეზონის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი ორ ჯგუფში გადაანაწილეს.

აი, როგორი გახლავთ წილისყრის შედეგები:

**A ჯგუფი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
ენდი მიურეი (ბრიტანეთი)
დავიდ ფერერი (ესპანეთი)
ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)

**B ჯგუფი**

რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი)
მერდი ფიში (აშშ)

პარალელურად, ლონდონში გაიმართება წლის შემაჯამებელი ტურნირი წყვილებს შორის და აქაც რვა საუკეთესო დუეტი ორ ჯგუფად არის დაყოფილი:

**A ჯგუფი:** მაიკ ბრაიანი/ბობ ბრაიანი (აშშ), ლეანდერ პაესი/მაეშ ბჰუპატი (ინდოეთი), რობერტ ლინდსტედტი/ჰორია ტეკაუ (შვედეთი/რუმინეთი), მარიუშ ფიურსტენბერგი/მარცინ მატკოვსკი (პოლონეთი).

**B ჯგუფი:** მიკაელ ლოდრა/ნენად ზიმონჯიჩი (საფრანგეთი/სერბეთი), დანიელ ნესტორი/მაქსიმ მირნი (კანადა/ბელარუსი), როჰან ბოპანა/აიმაშულ-ჰაქ ქიურეში (ინდოეთი/პაკისტანი), იურგენ მელცერი/ფილიპ პეტცშნერი (ავსტრია/გერმანია).

შეგახსენებთ, რომ ჯგუფებში თამაშები წრიული სისტემით გაიმართება, რის შემდეგაც ორ-ორი საუკეთესო მონაწილე ნახევარფინალში გავა.

წლის შემაჯამებელი ტურნირი ბრიტანეთის დედაქალაქში 21 ნოემბერს დაიწყება, ფინალის გამართვა 27 ნოემბერს არის დაგეგმილი.



კალათბურთი

# უიღბლო არჩევანი

ინტერნეტ-გამოცემა Bleacher Report-მა საინტერესო რეიტინგი გამოაქვეყნა. ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, უნდა დადგენილიყო ბოლო ათი წლის განმავლობაში NBA-ის დრაფტზე კლუბების მიერ გაკეთებული ყველაზე წარუმატებელი არჩევანის სია. საბოლოოდ, გულშემატკივრებმა 25 კალათბურთელისგან შემდგარი ჯგუფი გამოარჩიეს.

რეიტინგს სათავეში უდგას **ჯეი უილიამსი**, რომელიც 2002 წლის დრაფტზე მეორე ნომრად აირჩია „ჩიკაგო ბულზმა". თავის სადებიუტო სეზონში უილიამსმა ერთხელ სამმაგი დუბლიც კი შეასრულა, მაგრამ 2003 წელს მოტოციკლით ავარიაში მოხვდა და სერიოზული დაზიანებები მიიღო. ჯეიმ 2006 წელს სცადა NBA-ში კარიერის გაგრძელება, მაგრამ მალე დაასრულა თამაში.

უილიამსის შემდეგ მოდიან **ადამ მორისონი** (2006, №3), **გრეგ ოდენი** (2007, №1) და ქართველი **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** (2002, №5). ხუთეულში კიდევ ერთ ევროპელს ვხედავთ - სერბ **დარკო მილიჩიჩს**, რომელიც 2002 წლის დრაფტზე „დეტროიტ პისტონზმა" მეორე ნომრად აიყვანა.

**სრული სია**

25. რობერტ სვიფტი (No. 12, 2004)
24. მარტელ უებსტერი (No. 6, 2005)
23. ტროი ბელი (No. 16, 2003)
22. ბრენდან რაიტი (No. 8, 2007)
21. სედრიკ სიმონსი (No. 15, 2006)
20. ეისი ლოუ (No. 11, 2007)
19. მარკუს ჰეისლიპი (No. 13, 2002)
18. შელდენ უილიამსი (No. 5, 2006)
17. რიის გეინსი (No. 15, 2003)
16. იაროსლავ კოროლიოვი (No. 12, 2005)
15. ფრან ვასკესი (No. 11, 2005)
14. კორი ბრიუერი (No. 7, 2007)
13. მუჰამედ სენე (No. 10, 2006)
12. ლიუკ ჯექსონი (No. 10, 2004)
11. იი იანლიანი (No. 6, 2007)
10. პატრიკ ო'ბრაიანტი (No. 9 in 2006)
9. შონ ლივინგსტონი (No. 4, 2004)
8. რაფაელ არაჟუო (No. 8, 2004)
7. ანდრეა ბარნიანი (No. 1, 2006)
6. დაჟუან ვაგნერი (No. 6, 2002)
5. დარკო მილიჩიჩი (No. 2, 2003)
4. ნიკოლოზ ცქიტიშვილი (No. 5, 2002)
3. გრეგ ოდენი (No. 1, 2007)
2. ადამ მორისონი (No. 3, 2006)
1. ჯეი უილიამსი (No. 2, 2002)


პეტრა კვიტოვა

# კვიტოვას სეზონი

ჩეხი ჩოგბურთელი **პეტრა კვიტოვა** 2011 წლის საუკეთესო ჩოგბურთელად აღიარეს. წლევანდელ სეზონში 21 წლის ჩოგბურთელმა ექვსი ტურნირი მოიგო, მათ შორის უიმბლდონი და წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი. გარდა ამისა, კვიტოვა ჩეხეთის ნაკრებს არსებობის ისტორიაში პირველად ფედერაციის თასის მოგებაში დაეხმარა.

პეტრა განვლილი სეზონის კიდევ ერთი პრიზის მფლობელი გახდა – "ჩოგბურთელი, რომელმაც ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა", ხოლო პროფესიონალიზმისთვის, საქმისადმი მიდგომისა და fair play-ის პრინციპების დაცვისთვის მას **კარენ კრანცკეს** სახელობის პრიზი გადასცეს.

*"ეს მართლაც საოცნებო სეზონი იყო, - განაცხადა კვიტოვამ. - ჩემთვის დიდი პატივია "წლის მოთამაშის" პრიზის მიღება და წარსულის დიადი ვარსკვლავების გვერდით დგომა. განსაკუთრებით მარტინა ნავრატილოვას გამოვყოფდი. ყოველთვის სასიამოვნოდ მომაგონდება 2011 წლის სეზონი და იმედი მაქვს, მომავალში განვავრცობ ამ წარმატებას".*

წლის საუკეთესო წყვილად გამოაცხადეს 2011 წლის უიმბლდონის ტრიუმფატორების – **კვეტა პეშკესა** და **კატარინა სრებოტნიკის** დუეტი.

მარბელიასა და ბუდაპეშტის ტურნირების ფინალისტმა, რუმინელმა **ირინა-კამელია ბეგუმ**, რომელმაც წლის განმავლობაში 214-ე ადგილიდან 38-ე პოზიციაზე გადაინაცვლა, გაიმარჯვა "წლის ახალბედას" ნომინაციაში.

გერმანელმა **საბინ ლისიცკიმ** მოიპოვა "წლის დაბრუნების" პრიზი. ფეხზე უმძიმესი ოპერაციის გადატანის შემდეგ მან მოიგო ტიტულები ბირმინგემსა და დალასში, მიაღწია უიმბლდონის ნახევარფინალამდე და საბოლოოდ, მსოფლიო კლასიფიკაციის მე-15 პოზიციაზე დამკვიდრდა.

გამოცდილმა იტალიელმა **ფრანჩესკა სკიავონემ** მიიღო პრიზი - "მოთამაშეებისთვის სამსახურში", რომელიც გადაეცემა ჩოგბურთელს, ვინც სხვებზე მეტად უჭერს მხარს თავის კოლეგებს – WTA-ში მოთამაშეთა საბჭოსა თუ სხვა მეთოდების დახმარებით.

გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა "საყვარელი ჩოგბურთელი". ის გახდა პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**. "საყვარელი წყვილი" შეადგინეს ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** და რუსმა **მარია კირილენკომ**, ხოლო იმავე გულშემატკივართა ვერსიით წლის გარღვევის ნომინაცია კვლავ პეტრა კვიტოვამ მოიგო.

"პრემიერის" კატეგორიის ტურნირებიდან საუკეთესოდ დაასახელეს "პორშეს გრანპრი" შტუტგარტში, International-ის კატეგორიდან კი გამოარჩიეს Abierto Mexicano TELCEL აკაპულკოში.




# ჰანტუხოვას ფოტოსესია

სლოვაკმა ჩოგბურთელმა **დანიელა ჰანტუხოვამ** მორიგ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ერთ-ერთმა უცხოურმა გამოცემამ მოთამაშე ზედიზედ მეორედ გადაიღო მომავალი წლის კალენდრისთვის. კალენდრის რეალიზაციიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება საქველმოქმედო მიზნებს.

*"ბედნიერი ვარ, რომ მონაწილეობა მივიღე ამ გადაღებებში, მით უმეტეს, ფოტოსესია მონაკოში მიმდინარეობდა, სადაც მე ვცხოვრობ,* - განაცხადა ჰანტუხოვამ. – *უფრო მეტი სიცილი იყო, ვიდრე სამუშაო, რადგან ვიცოდით რა მიზნით ჩავიფიქრეთ ეს აქცია".*

მიღებული თანხა კამბოჯაში ავადმყოფი ობოლი ბავშვებისთვის საავადმყოფოს მშენებლობას მოხმარდება. *"ვნახეთ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო, ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ საქმის გაგრძელება",* - დაამატა სლოვაკმა ჩოგბურთელმა.

კალენდარი 18 ნოემბერს გამოვა. მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში დანიელა თავის ტვიტერზე რამდენიმე ფოტოს დაამატებს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


დანიელა ჰანტუხოვა